პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრობ) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—39.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში — ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 28 დეკემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 295 (2040)

დღიური

— შანხაის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლები გამოემგზავრენ საბჭოთა კავშირში.
— გემების დაჯახება მარმარილოს ზღვაში.
— ოპოზიციის გამოსვლა იაპონიის პარლამენტში.
— დარბაზობა ვიკონტ გოტოს საპატივცემოდ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში.
— სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტ კარპინსკის ავადმყოფობა.
— ქარიშხალი შავ ზღვაზე.—შეწყდა გემების მიმოსვლა.
— მიწისძვრა იალტაში.

ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ინგლისის იმპერიალიზმის კრიზისი დიდიხანია რაც დაიწყო. ის თანდათან ეცემა ეკონომიურად და აქედან მცირდება მისი საერთაშორისო როლიც. პირველ ყოვლისა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები გამოდის მის უძლიერეს მოქიშპედ და კაპიტალისტურ მსოფლიოს ჰეგემონად ხდება. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ამერიკა ფაქტიურად სულ უფრო ეუფლება ინგლისის იმ დომინიონებს (თვითმართველ ერთეულებს), რომელნიც ტერიტორიალურად მასთან უფრო ახლოს მდებარეობენ.

ლონდონის ეკონომიურ და პოლიტიკურ დაქვეითებით აიხსნება ის გარემოება, რომ ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციაზე 1925 წ. დომინიონებმა თითქმის დამოუკიდებლობას მიაღწიეს თავის მეტროპოლიის მიმართ. ეს კონფერენცია სამართლიანად იქნა შეფასებული, როგორც ინგლისის იმპერიის დაშლის ფორმალური დასაწყისი.

ბრიტანეთის იმპერიალიზმის საფუძვლებს განსაკუთრებით არყევს განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთის ხალხებში, რომელთა უმეტესობა დღემდე მის საწველ ფურს წარმოადგენს. ჩინეთის რევოლიუცია თუმცა დროებით დამარცხებულია, მაგრამ მისი კვლავ და უფრო მეტი სიძლიერით აბობოქრება აუცილებელია, ხოლო ამ რევოლიუციის მომავალი ძლევამოსილი განვითარება სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს პირველ ყოვლისა სწორედ ინგლისის იმპერიალიზმს, რომელიც ჩინეთში ყველაზე მეტი პრივილეგიებით სარგებლობს. ბრძოლა დამოუკიდებელი არსებობის მოსაპოვებლად დამახასიათებელია აღმოსავლეთის ყველა დანარჩენ ქვეყნებისათვის. ავილოთ. მაგ. სპარსეთი. მისმა მთავრობამ ამას წინად გადაჭრით უარყო ინგლისის მთავრობის ულტიმატუმი, რომელიც სპარსეთის დამმონებელ მრავალ თავისებურ მოთხოვნებს შეიცავდა. მარტო ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა, როგორც მაჩვენებელი ერთი მხრით ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის გაძლიერებისა აღმოსავლეთში, ხოლო მეორე მხრით ინგლისის პრესტიჟის დაცემის.

ბრიტანეთის იმპერიალიზმის მდგომარეობა ძალზე შერყეულია მის უშუალო კოლონიებშიც. უკანასკნელთა შორის ამ მხრივ პირველ რიგში ახლა უნდა დავაყენოთ ინდოეთი. ინდოეთი [illegible] 4.675.535 კვ. კილომეტრი სივრცით და 320 მილიონამდე მცხოვრებით. ის ამავე დროს მეტად მდიდარი მხარეა. პურეული, ბამბა, სელი, ჩაი, შაქრის ლერწამი, მესაქონლეობა, ქვა-ნახშირი, ნავთი, მარგანეცი და სხვა—ყველაფერი ეს ბლომად მოიპოვება იქ. ინგლისელი იმპერიალისტები დასჯდომიან ასეთ ქვეყანას და სწუწნიან მის სიმდიდრეს, ინდოეთის ხალხი მათი სასტიკი ექსპლოატაციის საგანს წარმოადგენს. ინდოეთი დამონებულია ლონდონელ ყაჩაღების მიერ როგორც ეკონომიურად, ისე, რა თქმა უნდა პოლიტიკურადაც. ინდოეთის „პარლამენტი" ნამდვილად არავითარი უფლებებით არ სარგებლობს და ის სახალხო წარმომადგენლობის მხოლოდ კარიკატურაა. მთელი ძალა-უფლება ინდოეთში ეკუთვნის ინგლისის მეფის მიერ დანიშნულ პირს.

ინდოეთის ხალხი ათეული წლობით აწარმოებს ბრძოლას ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის მრეწველობა სულ უფრო ვითარდება, ამას კერძოთ ხელი შეუწყო მსოფლიო ომმა. აქედან იქმნება წინააღმდეგობანი ინდოეთის ადგილობრივი მრეწველობასა და ინგლისის კაპიტალ შორის, ინდოეთის აღორძინებულ ბურჟუაზიას და ბრიტანელ იმპერიალისტებს შორის, ინდოეთის ბურჟუაზია მოწადინებულია შეასუსტოს ინგლისის კაპიტალის „მზრუნველობა" და მოსპოს მის მიერ ინდოეთის ნაციონალური ეკონომიკისათვის შექმნილი შემზღუდველი პირობები. ამის მიხედვით ის მოითხოვს თავისთავის პოლიტიკურ უფლებების გაფართოვებას. ჩვენ არაფერს ვამბობთ ინდოეთის მუშათა და გლეხთა მასებზე, რომელნიც, ცხადია, ამხედრებული არიან როგორც „მშობლიურ" მჩაგვრელების, ისე უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობა, რეპრესიებთან ერთალლიერი დაპირებებით და ნამცეცების გადაგდების პოლიტიკით ლამობს [illegible]ტიბრიტანულ მოძრაობის შენელებას. ინდოეთში ჩვენ ვიცით, რომ მაგ., 1[illegible] წ. ლონდონის მთავრობა შეპირდა ინდოეთის მოსახლეობას „პასუხისმგებელ მთავრობის" მინიჭებას. ამით მა[illegible]რდა ინდოეთის მხრით ზურგი გა[illegible] მსოფლიო ომის უკანასკნელ [illegible]ტიკულ მომენტში. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ბოლოებში, ინდოეთში ინგლისის წინააღმდეგ გაძლიერებულ მოძრაობის გამო, ლონდონის მთავრობა იძულებული ხდება ერთგვარ მანევრს მიმართოს. ეს [illegible]რია ინგლისის მეფის კომისიის [illegible]ვნა ინდოეთის „კონსტიტუციის" ასასინჯავად, ვითომდა ინდოეთის [illegible]ების გაფართოების მიზნით. ნამდვილად კი აშკარაა, რომ ხსენებული კომისია ვერაფერს სახეიროს ვერ [illegible]ნს ინდოეთს. ეს, სხვათა შორის, [illegible]ს იმ ფაქტიდანაც, რომ კომისია [illegible] შესდგება მხოლოდ ინგლისელ[illegible]გან—ინგლისის პარლამენტის წევრებისაგან, და მასში არ შედის ინდოელი არც ერთი წარმომადგენელი. ასეთ კომისიის დანიშვნამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ ინდოეთის მოსახლეობაში.—ბოიკოტის გამოცხადება ამ კომისიისა და მისი მუშაობის; კონსტიტუციის შემუშავება ინდოეთისათვის [illegible] შეადგენს [illegible] ინგლისის, არამედ თვით ინდოეთის ხალხის უფლება[illegible] ლოზუნგებით მიმდინარეობს [illegible]ძრაობა. ეს მოძრაობა ფორმალურად ჩამოაყალიბა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ეხლანდელმა სესიამ, რომლის შესახებ დღევანდელი დეპეშა მოგვაცემს. „არც კონგრესს, არც ქვეყანას,—განაცხადა კონგრესის თავმჯდომარე ანსარიმ,—არაფერი საქმე აქვთ ინდოეთის საკონსტიტუციო რეფორმების გადასასინჯავად ინგლ. მთავრობის მიერ დანიშნულ კომისიასთან. არც ერთ ინდოელს, რომ თავის თავს პატივს სცემს, არ შეუძლია იცნოს ინგლისის პრეტენზიები, რომ ის (ინგლისი) იყოს ერთად ერთი [illegible]ული ინდოეთის პოლიტიკურ [illegible]რების ხარისხის საკითხის გადაწყვეტაში"-ო. ანსარის საჭიროდ მიაჩნია ორივე მხარის წარმომადგენელთა [illegible] ინგლის-ინდოეთის თანამშრომლობის განსახორციელებლად. ამას[illegible] აუცილებლად თვლის ინდოეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და მის დამტკიცებას ნაციონალური კრების მიერ, რომელიც ამ მიზნით შესდგეს. შემდეგ ანსარი მოითხოვს [illegible] ინგლისის მთავრობის მიერ დაპატიმრებულ ინდოელ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას.

უნდა ითქვას, [illegible]ს პროგრამა ზომიერზე ზომიერ[illegible], „თანამშრომლობა", რომელზედაც [illegible] ლაპარაკობს, პრაქტიკაში არაფერს გამოიღებს, თუ [illegible] არსებულ ძველი მდგომარე[illegible] გაგრძელებას, ინდოეთზე [illegible]ის მიერ ბატონობის კვლავ შენახვას. მაგრამ ნაციონალური კონგრესი შესდგება ნაციონალურ - ბურჟუაზიულ პარტიებისაგან, რომელნიც [illegible] რევოლიუციონურ ბრძოლას ერიდებიან, რომელთაც მასსების [illegible] ეშინიათ. ამის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ქვეყნის [illegible] განთავისუფლებაზე ინგლისის იმპერიალიზმისაგან. მაინც საგულისხმოა, რომ [illegible] კონფლიქტი შეიქნა ინდოეთის ნაციონალისტებსა (კონგრესის სახით) და ინგლისის მთავრობას შორის. [illegible] შეიძლება დროებით [illegible] მისით მოთავდეს (ალბად ესეც იქნება), მაგრამ ეჭვი არ არის, რომ [illegible] პრობლემა ამით ოდნავადაც არ გადაიჭრება და დაწყებული ანტიბრიტანული მოძრაობა ბოლოს და ბოლოს თავის ლოგიკურ [illegible] მივა, რევოლიუციონურ [illegible] იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საბუთს იძლევა თუგინდ ამ [illegible] მასსების ზეგავლენით [illegible] რეზოლიუციები იმპერიალიზმთან მებრძოლ ლიგის დაარსების, [illegible] და აღმოსავლეთის სხვა [illegible] ინდოელ ჯარების გამოყვანის, ინგლისის ანტი-საბჭოთა კამპანიის შესახებ და ბოლოს რეზოლიუცია, რომელიც ინდოეთის ხალხის მთავარ მიზნად აცხადებს სრულ ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია

კონგრესი ინგლისისაგან მოითხოვს ინდოეთის ჯარების გამოყვანას ჩინეთიდან

იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა ჯარები გაგზავნოს შანდუნში, თუ იქ „საშიში მდგომარეობა" შეიქნა.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია

ლონდონი, 26 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, 26 დეკემბერს მადრასში გაიხსნა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია. სესიის გახსნას თან ახლდა ნაციონალისტური მანიფესტაციები. კონგრესის თავმჯდომარემ ანსარიმ შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა პოლიტიკურ პარტიების მთლიანობის აუცილებლობას თავისუფალ, თვითმართველ ინდოეთის იდეალების განსახორციელებლათ.

„არც კონგრესს, არც ქვეყანას, განაცხადა ანსარიმ, არაფერი ექნება საერთო ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნულ კომისიასთან, რომელიც არსდება ინდოეთის კონსტიტუციონური რეფორმის გადახედვის მიზნით. ვერც ერთი თავმოყვარე ინდოელი ვერ შეურიგდება ინგლ. პრეტენზიებს გახდეს ერთად ერთ მსაჯულათ ინდოეთის პოლიტიკური განვითარების გადაჭრაში".

ანსარის განცხადებით, ერთად-ერთი საშუალება ინგლის-ინდოეთის თანამშრომლობის განსახორციელებლად არის ინგლისის და ინდოეთის სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია. ასეთი კონფერენციის მოწვევასთან ერთად ანსარიმ განაცხადა, რომ აუცილებელია ინდოეთის კონსტიტუციის პროექტის შედგენა და ნაციონალური კრების მოწვევა ამ პროექტის განხილვისა და დამტკიცებისათვის.

დასასრულ, ანსარიმ მოითხოვა პოლიტიკურ პატიმართა და „საეჭვო პირთა" განთავისუფლება, რომელნიც იმყოფებიან ბენგალიის ციხეებში.

კონგრესის კომისიამ მიიღო რეზოლიუციები, რომელნიც დასამტკიცებლათ წარედგინება კონგრესს; **რეზოლიუციები შეეხება ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნულ ინდოეთის კონსტიტუციონურ რეფორმების გადამსინჯავ კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადებას, ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობისადმი თანაგრძნობის გამოცხადებას, ინდოეთის ჯარების გამოყვანის მოთხოვნას ჩინეთიდან, ირაქიდან და სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებიდან, რეზოლიუციაში კონგრესი ესალმება იმპერიალიზმთან და კოლონიალურ ჩაგვრასთან მებრძოლ ლიგის დაარსებას, კიცხავს ინგლისის მილიტარისტულ შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ", მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ შესწყვიტოს სამხედრო მზადება ინდოეთში და აღმოსავლეთში. დაბოლოს რეზოლიუცია აცხადებს, რომ ინდოეთის ხალხის მთავარ მიზანს შეადგენს სრული ნაციონალური დამოუკიდებლობა.** (ადს).

ოპოზიცია იაპონიის პარლამენტში

ტოკიო, 26 დეკემბერი. გაზეთების აზრით, პარლამენტი მიიღებს მინსეიტოს პარტიის მიერ შეტანილ რეზოლიუციას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, რის შემდეგაც მთავრობა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს ახალ არჩევნებს. რეზოლიუციის მიღება და პარლამენტის დათხოვნა, ალბათ, მოხდება იანვრის ბოლო რიცხვებში, ახალი არჩევნები კი მოხდება თებერვლის ბოლოს.

27 დეკემბერს პარლამენტში მოსალოდნელია პირველი „ძალთა ჭიდილი" მთავრობის პარტიის სეიუკაის და ოპოზიციონურ პარტიებს შორის, მინსეიტოს პარტიის მეთაურობით. მოხდება ყველა საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარეთა არჩევნები; პარტია მინსეიტოს იმედი აქვს, რომ სეიუკაის პარტიის წარმომადგენლები არ იქნებიან გაყვანილი თავმჯდომარეებათ არც ერთ საპარლამენტო კომისიაში.

დარბაზობა გარეშე საქმეთა კომისარიატში

მოსკოვი, 27 დეკემბერი. ვიკონტ გოტოს საპატივცემლოთ საგარეო საქმეთა სახკომისარიატის კოლეგიამ გამართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრენ ამხ. **ჩიჩერინი, კარახანი, სტომონიაკოვი**, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში **ტროიანოვსკი**, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ელიავა, კერჟენცევი**, საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე **კამენევა**, საგ. საქმეთა სახკომისარიატის თანამშრომლები. ვიკონტი **გოტო**, იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში **ტანაკა**, იაპონია-საბჭოთა დაახლოვების საზოგადოების დირექტორები **ტანაკა** და ესუგი და იაპონიის საელჩოს წევრები.

იმავე დღეს გოტომ დაათვალიერა შრომის ცენტრალური ინსტიტუტი.

„ჩემბერლენის დიდი გეგმა"

ლონდონი, 26 დეკემბერი. „სენდეი უორკერი" კომენტარიებს უკეთებს პრესის ცნობებს საფრანგეთ-იტალიის დაახლოების შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ დაახლოების განხორციელება ხელსაყრელია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის. გაზეთის სიტყვით, საფრანგეთ-იტალიის დაახლოება იქნებოდა ჩემბერლენის ეგრედ-წოდებული „დიდი გეგმის" განხორციელებისათვის. ეს გეგმა ითვალისწინებს ოთხი ევროპიული სახელმწიფოს—ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის ბლოკის შექმნას; ამ ბლოკის მიზანია, ერთის მხრით, იარაღი დააყრევინოს საბჭოთა კავშირს და, მეორე მხრით საწინააღმდეგო ძალა შექმნას ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ნავარაუდევი ბლოკის ოთხი მონაწილე სახელმწიფოს უთანხმოებათა მოწესრიგება გეგმის მიხედვით ასე უნდა მოხდეს: საფრანგეთმა უნდა მიიღოს ჩრდილოეთ აფრიკა იტალიამ სირიის მანდატი—რომელიც ამჟამად საფრანგეთის ხელშია, გერმანიამ—კამერუნი (გერმანიის ყოფილი კოლონია, რომელიც ომის შემდეგ საფრანგეთის ხელში გადავიდა). გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ინგლისი ხელს მოითბობს და „ცოტა რამ კაპიტალს" შეიძენს კოლონიების დანაწილების დროს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში



ამხ. ა. ი. ხასისი

საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული კანტონში, რომელიც აწამეს ჩინეთის რეაქციონურ გენერლებმა

საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლები მოემგზავრებიან საბჭოთა კავშირში

ტოკიო, 26 დეკემბერი. შანხაის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლების ნაწილი, იოკაგამაზე და ტოკიოზე გავლით გამოემგზავრა ვლადივოსტოკში. (ადს).

იაპონიის დახმარებით

ტოკიო, 26 დეკემბერი. გაზეთი „ციუო"-ს ცნობებით, ჩინეთიდან დაბრუნებულმა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **უეხარამ** განაცხადა, რომ სამხრეთ ჩინეთში ერთმანეთს ებრძვის ორი პოლიტიკური მიმდინარეობა. ერთს მეთაურობს **ჩან-კაი-ში**, მეორეს-კი **ვაი-ცზუნ-ჩი**. ორივე მიმდინარეობა ეთანხმება იმ აზრს, რომ კომუნიზმი ჩინეთში უნდა მოისპოს იაპონიის დახმარებით. (ადს).

„საშიშარი მდგომარეობის" შემთხვევაში

ტოკიო, 26 დეკემბერი. გაზეთი „ნიჩი-ნიჩი" იტყობინება, რომ მთავრობამ გადასწყვიტა იმ შემთხვევაში, თუ შანდუნში შეიქმნა „საშიშარი მდგომარეობა", გადაგზავნოს იქ იაპონიის ჯარები, რომელნიც იმყოფებიან პეკინში და ტიან-ძინში. (ადს).

ფინ-იუი-სიანმა ყვითელი მდინარე გადალახა

შანხაი, 27 დეკემბერი. ნანკინის სააგენტოს ცნობით, ფინ-იუი-სიანის ორმოცათასიანმა ჯარმა ყვითელი მდინარე გადალახა ჯარების მეორე ჯგუფი, 30 ათასი კაცისაგან შემდგარი, მდინარეზე გადასასვლელად ემზადება. ჩჟილის პროვინციაში ფინ-იუი-სიანის ჯარებმა დაიჭირეს ტამინფუ და ხანტანხანი.

რევოლიუციონური ჯარები კანტონის მიდამოებში

შანხაი, 27 დეკემბერი. ხო-ლუ-ნისა და ი-ტინის რევოლიუციონურმა ჯარებმა კანტონიდან 2 კილომეტრის მანძილზე დაიჭირეს ვანჩუიუ და ცზენჩინი. გაზეთების ცნობით ხუთი ოლქი „კომუნისტებით არის სავსე". (ადს).

ჩინელ ჯალათების მხეცობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 27 დეკემბ. ახალგაზრდა კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მსოფლიოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას, იმპერიალისტური არმიისა და ფლოტის არისკაცებს და მეზღვაურებს და ჩაგრულ ხალხთა ახალგაზრდა რევოლიუციონერებს მოწოდებით, რომ გაილაშქრონ ჩინეთის რეაქციის მხეცობის წინააღმდეგ (ადს).

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ამოცანები

სოციალისტური მშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერების პერიოდში სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემამ ამოცანად უნდა დაისახოს თავისი საორგანიზაციო, საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის ისეთი მიმართულება, რომელიც პარტიისა და მთავრობის უმაღლესი ორგანოების ლოზუნგებთან და დირექტივებთან სრულიად შეთანხმებული იქნება და უზრუნველყოფს **სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას სოციალისტურ და სოციალიზმისაკენ წარმართულ საწარმოო ურთიერთობათა სახით.** კრედიტი ის მძლავრი იარაღია, რომელმაც უნდა განავითაროს სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა მაშინიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის გზით, გააძლიეროს სასოფლო მეურნეობის ნაყოფიერება, მოაწესრიგოს და გააძლიეროს გლეხთა მეურნეობის გაძღოლის საზოგადოებრივი ფორმები, გააძლიეროს სანედლეულო და საექსპორტო კულტურათა და დარგების წარმოება, ასწიოს მეურნეობა და წელში მოამაგროს გლეხობის მთავარი მასა — ღარიბი და საშუალო ფენები, განამტკიცოს სამეურნეო განაერთები და ორგანიზაციები, რომლებიც შედიან სოციალისტური სახელმწიფოს საერთო სისტემაში.

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემა თავის ძირითად ამოცანას უნდა დაეყრდნოს და მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში თავისი საქმიანობის საგნად შემდეგი უნდა დაისახოს:

მან უნდა გააძლიეროს და გააცხოველოს მუშაობა, რათა განგრძობილ იქნას გლეხობის (პირველ ყოვლისა ღარიბ გლეხობის) მეურნეობათა გაერთიანება კოოპერაციაში და მათი კოლექტივიზაცია;

ყოველნაირად უნდა [illegible]დეს სოფლის ღარიბი ფენების გაერთ[illegible]ოპერაციაში; ამ მიზნით მათ შეღავათები [illegible] საპაიო და შესასვლელი გადასახადის შეტანის საქმეში, რისთვისაც უნდა [illegible] იქნას 3 წლის ვადა; ამასთანავე აუცილებლად უნდა შეიქნას ფონდები [illegible] კოოპერაციაში გასაერთ[illegible].

ამიერ - კავკასიის სა[illegible] სამეურნეო ბანკში, რესპუბლიკანურ, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტოებებში ისეთი ფონდების შექმნილი უნდა იქნეს სასოფლო - სამეურნეო [illegible], სასოფლო - სამეურნეო და ორგანიზაციები ადგილებზე.

სასოფლო - სამეურნეო [illegible] გლეხობის კოოპერატიულ [illegible] მოგებიდან ყოველწლიურ პროცენტიანი ანარიცხებით შექმნილი გაძლიერებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების [illegible] წლის მოგების ანარიცხებით.

ღარიბი გლეხობის [illegible] გამოყენებული უნდა იქნეს იმ[illegible] რომ ღარიბ მეურნეობათ საშუალება [illegible] მონაწილეობა მიიღონ სა[illegible] სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებ[illegible] საშუალება უნდა მიეცეთ შეიტანონ [illegible] გადასახადი და საპაიო ანაბარი, რომელიც ამხანაგობას უბრუნებს [illegible] წლის დამლევს უპროცენტოთ.

შეძლებულ მეურნეობებისათვის კრედიტის გაცემა, რომელსაც ადგილი აქვს, სავსებით უნდა იქნეს ალკვეთილი კრედიტი უნდა მოხმარდეს [illegible] მხოლოდ სოფლის მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებს, განსაკუთრებით მათ მეურნეობათა განზოგადოებულ ფორმებს იმ მიზნით, რომ ამაღლებული იქნეს ღარიბი გლეხის მეურნეობა და განმტკიცებული საშუალო გლეხის მეურნეობა. სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის მიერ მიზნობრივი საწარმოო კრედიტების მიცემა კულაკებისათვის გადაჭრით აღკრძალული უნდა იქნეს.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბი გლეხობისათვის წესიერ და თავის დროზე კრედიტების მიცემას ღარიბი გლეხობის საკრედიტო ფონდიდან. ზემოხსენებული ფონდის გამოყენებას ცალკე ღარიბი გლეხობის მეურნეობისათვის კრედიტის მისაწოდებლად ხელი არ უნდა შეუშალოს, უმთავრესად კი ფონდი უნდა მოხმარდეს ღარიბ გლეხობის მეურნეობათა გაერთიანებებს. ამ ფონდის საშუალებით უნდა განმტკიცდეს არსებული გაერთიანებანი და ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს ახალ გაერთიანებათა შექმნას.

ღარიბ გლეხობის საკრედიტო ფონდის გასაძლიერებლად გაფართოებულ და გაძლიერებული უნდა იქნეს სხვადასხვა ღონისძიებები. საბიუჯეტო ასიგნობიდან შექმნილი ფონდი საჭიროა გაძლიერდეს აგრეთვე თვით სასოფლო - სამეურნეო ბანკის მიერ თანხების გაღებით; ამ მიზნით ამიერ - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა და აგრეთვე რესპუბლიკანურმა ბანკებმა 1926—27 წლის მოგებიდან უნდა გადარიცხონ არა ნაკლებ ათი პროცენტისა.

ამასთან ერთად ზემოხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად საჭიროა მოზიდვა სხვა ორგანიზაციების, რომელნიც სასოფლო მეურნეობის დარგში მუშაობენ, საჭიროა მოზიდვა სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის და სხვა საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების.

კრედიტებს სასოფლო მეურნეობის აღდგენითი და საწარმოო საჭიროებისათვის გაცემული უნდა იქნეს უმთავრესად გრძელვადიანი სესხის სახით. **ამ სესხის და[illegible]ბა და ვადა უნდა შეესაბამებოდეს იმ მეურნეობის მიზანშეწონილობას, რომელსაც კრედიტი ეძლევა.**

გრძელვადიანი კრედიტის გაცემა გადიდებული უნდა იქნეს, როგორც გრძელვადიანი სესხების აღებით, ისე ბანკების მიერ თავის ძირითადი კაპიტალის გამოყენებით ზემოხსენებულ მიზნებისათვის.

მიმდინარე სამეურნეო წელს გრძელვადიან კრედიტს უნდა მოხმარდეს ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკანური ბანკების ძირითადი კაპიტალის არანაკლებ 60 პროცენტი და ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის არა ნაკლებ 75 პროცენტი.

გრძელვადიანი კრედიტის ასეთი გაფართოება ბანკებმა უნდა მოახდინონ მეორე კვარტალის განმავლობაში ისე, რომ საშუალება მიეცეს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს გამოიყენონ ზემოხსენებული კრედიტები და მიაწოდონ ისინი სესხის ამღებს არა უგვიანეს 1928 წლის 1-ლი აპრილისა.

ძირითად კაპიტალის გამოყენება გრძელვადიანი კრედიტის გასაცემად ზემოაღნიშნულ ნორმებს ზევით უნდა აწარმოებდეს, როგორც ახალი თანხების გაცემით გრძელვადიანი კრედიტის საჭიროებისათვის, ისე იმ მოკლე ვადიან სესხის გრძელვადიან სესხად გადაქცევით, რომელნიც უკვე გაცემულნი არიან და აღარ შეესაბამებიან იმ მეურნეობის მიზანშეწონილობას, რომელსაც კრედიტი მიეცა.

საჭიროა სასოფლო მეურნეობის სოციალისტური სექტორისათვის (საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი სამანქანო ამხანაგობანი და სხვა) კრედიტების გაცემის მნიშვნელოვანი გაძლიერება და კრედიტების მიწოდების გაძლიერება ნედლეულო და საექსპორტო კულტურებისათვის: კრედიტები უნდა გაუდიდდეს როგორც თვით წარმოებით პროცესებს, ისე მათ დამხმარე და ხელის შემწყობ პროცესებს, როგორიც არის მაგალითად, მანქანების მიწოდება; მელიორაცია; ნიადაგის განოყიერება; ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო მეურნეობის მაშინიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის საქმის უზრუნველყოფას საკრედიტო თანხებით. მანქანებით მოსამარაგებლად კრედიტის გაღება უნდა გადაიქცეს იმ იარაღად, რომელმაც უნდა შეაკავშიროს გლეხთა და მეტადრე ღარიბ გლეხთა მეურნეობანი საწარმოო განაერთებად (კოლექტიური მეურნეობანი, სამანქანო ამხანაგობანი და სხვ.). გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ კერძო მეურნეობათა ან ცრუ-განაერთთა ნაღდზე ან ნისიად მომარაგება ტრაქტორებით, საცეხვებით და სხვა მსხვილ სასოფლო - სამეურნეო მანქანებითა და იარაღებით, რომლებიც ინდივიდუალურ მეურნეობათა ხელში შეიძლება გადაიქცნენ გლეხობის ექსპლოატაციის საშუალებად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საგრძნობლად გაფართოვდეს და გაღრმავდეს ის **ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც უნდა მივიზიდოთ მოსახლეობის გადანარჩენი თანხები ანაბარების სახით.** ამისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ მეთოდებით, რომლებიც ნაჩვენებია უმაღლესი ორგანოების დირექტივებში. მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში კი პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს კონცენტრაცია სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემაში. სანედლეულო და საექსპორტო კულტურათა ყველა სტადიის ფინანსებით მომარაგება უნდა ხდებოდეს სახ.-ხამ. კრედიტის სისტემის საშუალებით და არა სხვა გზებით, როგორც ეს ეხლა ხდება. ამ სისტემის საშუალებით ფინანსებით უნდა მომარაგდეს ნედლეულობის უმთავრესი დარგები მაინც, მაგალითად: ბამბა, მატყლი, აბრეშუმი და თამბაქო.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გლეხობის თანხები მივიზიდოთ შემდეგის გზით: საკრედიტო ამხანაგობას გადაეცეს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებნი, რათა მოხდეს მათი რეალიზაცია კოოპერატიულ საფუძვლებზე.

ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა უნდა აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა ქვედა-საფეხურის ქსელის მიერ გრძელვადიან და მოკლევადიან სესხების კრედიტის ვადების შემოკლებისა და საკრედიტო სისტემის უმაღლეს საფეხურების მიერ დაწესებულ საპროცენტო განაკვეთების გადიდების წინააღმდეგ. ამის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები ქვედა საფეხურის უჯრედების ხელმძღვანელთა მუშაობიდან მოხსნამდე, თვითეული დარღვევის მაგალითი კი უნდა განხილულ იქნეს საკრედიტო ამხანაგობის წევრთა საგანგებო-საერთო კრებებზე.

საჭიროა საკრედიტო დისციპლინის მკაცრი დაცვა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ყველა საფეხურებზე და გადამჭრელი ღონისძიებები ვადების გადაცილების მოსასპობათ, როგორც ქვედა საფეხურების მხრივ, ისე უკანასკნელ სესხის მიმღებთა მხრივ.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელი სისტემის მდგომარეობა გადაჭრით მოითხოვს **ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას საკრედიტო სისტემის ყველა საფეხურებზე**, განსაკუთრებით ქვედა საფეხურებზე, აპარატის რაციონალიზაციას, საჭირო მუშაკების შერჩევას და მომზადებას.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში კატეგორიულად უნდა განხორციელდეს მაღლამდგომ საფეხურების მიერ ქვედა საფეხურების, განსაკუთრებით ქვედა საფეხურების, მუდმივი შემოწმება და კონტროლი არა მარტო მიღებულ საშუალებათა სავსებით გამოყენების მხრივ, არამედ კრედიტების გაცემის სამეურნეო შედეგების მხრივ, კრედიტების სოციალურ მიმართულების დაცვის მხრივ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საშუალებათა ეკონომიურად და მიზანშეწონილად ხარჯვის, მაღლამდგომ საფეხურების დირექტივებისა და მითითებების შესრულების მხრივაც. თუ საკრედიტო სისტემის რომელიმე პუნქტში თუნდაც მცირეოდნად მაინც ცუდად არის საქმე, თავის დროზე უნდა იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები. აქ არ უნდა შევჩერდეთ ასეთი პუნქტის ლიკვიდაციის და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის წინაშე.

მიმდინარე წელი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის დარგში უნდა იქნეს გადამჭრელ გარდატეხის წელი. ამ დღეებში იწყება საანგარიშო-საარჩევნო კამპანია და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ახალ წესდებაზე გადაყვანა. ეს კამპანია მთელ ამიერ-კავკასიაში უნდა დამთავრდეს 1928 წლის 1-ლ აპრილისათვის. არსებითად ეს კამპანიაა უნდა გადაიქცეს **ყველაზე უფრო მტკიცე და ჯანსაღ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის შერჩევის კამპანიათ.**

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში უაღრესად აქტიური და ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო ამხანაგობათა წევრებმა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაკებმა, არამედ ყველა ადგილობრივმა პარტიულმა, კოოპერატიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მხოლოდ ასეთი ფართო მონაწილეობა და ყურადღება უზრუნველჰყოფს საარჩევნო კამპანიის წარმატებას.

ქ. ჩხენკელი.

სოფლად მუშაობის შესახებ

საკ. კომ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის რეზოლიუცია

მიღებული ერთხმად ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო

1. გლეხური მეურნეობის განვითარების თავისებურობანი პროლეტარული დიქტატურის პირობებში

1. პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა კავშირში ძირიან-ფესვიანად სცვლის სასოფლო მეურნეობის განვითარების პირობებს და მაშასადამე მის წინსვლას, ქმნის აგრარულ ურთიერთობათა განვითარების პრინციპიალურად განსხვავებულ ტიპს, კლასობრივ ძალთა დაჯგუფების სხვაგვარ ტიპს სოფლად და სხვაგვარ მიმართულებას სამეურნეო ფორმების განვითარებაში.

პროლეტარიატის დიქტატურა, მიწის მსხვილი მრეწველობის და ბანკების ნაციონალიზაცია არა მარტო იძლევა სასოფლო მეურნეობის გაძღოლის საშუალებას, არამედ ქმნის სრულიად სხვაგვარ, ვიდრე არის კაპიტალისტურ საზოგადოებაში, **ურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის** კაპიტალისტური საზოგადოების ინდუსტრია თავის განვითარებაში ემყარება ისეთი შინაური ბაზრის შექმნას, რომელიც გულისხმობს საშუალო შეძლების გლეხთა ძირითადი მასის გალატაკებას, **სახელდობრ, საშუალო** გლეხთა ამ ძირითადი მასის გალატაკებას მისი პროლეტარიზაციის გამო. ამრიგად, პროლეტარული დიქტატურის პირობებში შინაური ბაზრის შექმნის პროცესი ძირიან-ფესვიანად განსხვავდება იმისაგან, რაც გვაქვს კაპიტალიზმის დროს. ბაზარი აქ იზრდება გლეხობის ძირითადი მასის არა გალატაკებისა და პროლეტარიზაციის მეოხებით არამედ საშუალო გლეხობისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საშუალებით, სწორედ ამის გამო გლეხობის შიგნით ჩვენ გვაქვს კლასობრივ დაჯგუფებათა და გადაჯგუფებათა სულ სხვაგვარი ხასიათი.

2. მთელი სასოფლო - სამეურნეო განვითარების **გამძღოლი ძალა** არის მბრძანებელი სამეურნეო მაღლობები, პირველ რიგში **მსხვილი მრეწველობა.** მაგრამ, თუ **კაპიტალისტურ** საზოგადოებაში ამ მბრძანებელ მაღლობების გამძღოლი როლი განისაზღვრებოდა მათი **კაპიტალისტური** შინაარსით. სამაგიეროდ **პროლეტარული** სახელმწიფოს ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობა და საკრედიტო ინსტიტუტები, ტრანსპორტი, კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა უძლიერესი ბერკეტია სოფლის **სოციალისტურ** ნიადაგზე გარდაქმნისათვის. მეურნეობის **გეგმიანი ხელმძღვანელობა**, რაიც შესაძლო ხდება იმ საწარმოო საშუალებათა და აპარატების უდიდესი ცენტრალიზაციის მეოხებით, რომელნიც სამეურნეო ბრუნვის პროცესს ემსახურებიან, პროლეტარული ძალა-უფლების ხელში აუცილებლად ქმნის გიგანტურ შესაძლებლობებს სოფლის ეკონომიკის გარდაქმნისათვის, გადახალისებისათვის.

წვრილ მწარმოებელთა **კოოპერაცია** კაპიტალიზმის პირობებში, რომელიც შეზრდილია **კაპიტალისტური** სამეურნეო ორგანოების სისტემაში, პროლეტარული დიქტატურის პირობებში ხდება უდიდეს გადამცემ მექანიზმად, რომელიც **სოციალისტურ** ინდუსტრიას აძლევს საშუალებას გაუძღვეს სოფელს—მარტივ საქონლის მწარმოებელს. პროლეტარული სახელმწიფოს მთელი **პოლიტიკა**—საფინანსო, საგადასახადო, საკრედიტო და ეკონომიური პოლიტიკა საერთოდ მიმართულია იმისაკენ, რომ ყოველგვარ საშუალებით ხელი შეეწყოს სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას და სხვადასხვა პირობების მიხედვით სხვადასხვაგვარად შეიზღუდოს სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიის ექსპლოატატორული მისწრაფებანი.

3. განვითარების ეს საერთო წინასწარი პირობები პროლეტარული დიქტატურის პერიოდში ერთნაირად არ იჩენდა თავს რევოლიუციის სხვადასხვა ეტაპებზე. იმ პერიოდში, რომელიც **უშუალოდ მოჰყვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას**, რამაც დაამყარა სწორი საფუძველი მსხვილი სახელმწიფო ინდუსტრიისა და სოფლის წვრილი მწარმოებლის ერთმანეთთან შეგუებისათვის, პროლეტარიატის მბრძანებელი მაღლობები ძალიან დასუსტებული იყო, კერძო კაპიტალი თავის პირვანდელი დაგროვების პერიოდში იმყოფებოდა და შეტევაზე გადმოდიოდა, წვრილ ბურჟუაზიული სტიქია უდიდეს წვრილმესაკუთრულ საფრთხეს წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის, ვინაიდან გლეხობას გამოცდილებით არ ქონდა დამტკიცებული, თუ რა წარმატება აქვს სოციალისტურ მშენებლობას და საქონლის გაცვლა-გამოცვლის სწორ ორგანიზაციას სოციალისტური ინდუსტრიისა და გლეხური მეურნეობის შორის.

შემდგომ პერიოდში საერთოდ საწარმოო ძალთა და სოციალისტური მრეწველობის ზრდის ნიადაგზე მოხდა პირველ რიგში ძალთა და სამეურნეო ფორმების გადაჯგუფება სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერების მიმართულებით. მბრძანებელი მაღლობების როლი (სახელმწიფო მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი, სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია და სხვ.) გაიზარდა, თუმცა არა იმდენად, რომ დაგვემყარებია მტკიცე კავშირი საშუალო შეძლების გლეხობასთან. მოგვეშორებია იგი კულაკის გავლენისაგან და გადაჭრით გაგვეყოლებია უკან.

მე-14 პარტკონფერენციამ და მე-14 პარტყრილობამ გამონახეს მთელი რიგი ღონისძიებანი საშუალო შეძლების გლეხობასთან მტკიცე კავშირის დასამყარებლად.

4. **მესამე** პერიოდს ახასიათებს სოციალისტური სამეურნეო სექტორის შემდგომი ზრდა იმგვარად, რომ ძალთა გადაჯგუფება ხდებოდა სოციალისტური მშენებლობის ბაზის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების მიმართულებით.

მეურნეობის დარგში, სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე სახელმწიფო მრეწველობამ არამც თუ გადააბიჯა ომამდე არსებულ დონეს, არამედ წარმოების ახალ საფუძველზე მოწყობითა და ზრდით შესძლო ახალ ტექნიკურ ბაზაზე გადასვლა. სახელმწიფო მრეწველობამ და კოოპერაციამ საქონლის ბრუნვის დარგში კერძო ვაჭარი განდევნა მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებიდან და გახდა ბაზრის თითქმის მონოპოლიური ბატონ-პატრონი. კლასობრივი თვალსაზრისით, პარტიას შეუძლია აღნიშნოს პროლეტარიატის ზრდა და კონსოლიდაცია, მისი კავშირის განმტკიცება საშუალო შეძლების გლეხობასთან, თანახმად მე-14 კონფერენციისა და მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებათა, და შეტევის გაძლიერება კერძო კაპიტალის წინააღმდეგ. ამავე დროს ამ პროცესს თან სდევდა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ზრდა, ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია, მოჯამაგირეთა შეკავშირების გაძლიერება, საბჭოების გამოცოცხლება და იერიშების გაძლიერება ახალ პირობებში კულაკების წინააღმდეგ. ეს წინასწარი პირობები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კოოპერაციამ რაც შეიძლება ფართოდ შეაკავშიროს სოფლის ღარიბი და საშუალო შეძლების ფენები, კიდევ უფრო გაძლიერდეს გეგმიანი ზემოქმედება გლეხთა მეურნეობაზე და გადამჭრელი შეტევა იქნას წარმოებული **კულაკის წინააღმდეგ** იმ შედეგთა ნიადაგზე, რომელნიც მიღწეულ იქნა **პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების დარგში.**

2. სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლა სასოფლო მეურნეობაში

5) ერთ-ერთი ძირითადი წინასწარი პირობა სოციალიზმის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში არის **სოფლის საწარმოო ძალთა აღორძინება, გლეხთა ფართო მასების კეთილდღეობის ზრდა.** სოციალისტურ ქალაქს სოფელი შეუძლია გაიყოლიოს მხოლოდ ამ გზით, და ამასთანავე ყოველგვარი საშუალებით შეუწყოს ხელი ინდივიდუალურ - მესაკუთრეობრივ მეურნეობის (რომელიც კიდევ მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში იქნება სასოფლო მეურნეობის ბაზად) თანდათანობითი გადასვლას კოლექტიურ ფორმებზე.

როცა სასოფლო - სამეურნეო წარმოების პროცესს ვიხილავთ აუცილებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების გამოყვანა. აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნოს სასოფლო მეურნეობის საერთო აღორძინება ყველა დარგებში: მარცვლეულის მეურნეობის დარგში, ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის დარგში. სასოფლო მეურნეობამ საერთოდ და მთლიანად გადააბიჯა ომამდე არსებულ საერთო პროდუქციის დონეს, თუმცა მარცვლეული მეურნეობის დარგში ჯერ არ მიუღწევია ამ დონემდე.

სასოფლო მეურნეობის ტექნიკისა და კულტურების ზრდა უდავოა. (მანქანა, ტრაქტორი, ელექტროფიკაცია, მრავალ მინდვრიანი სისტემა, მისი შეერთება მესაქონლეობასთან, თესლეულის გაუმჯობესება, განოყიერება, და სხვ.) მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლიანობის დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალია, განსაკუთრებით ევროპას და ამერიკასთან შედარებით, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ სუსტია, რომ იგი მეტად დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივი ფაქტორებისაგან (გვალვა და ამასთან დაკავშირებული მოუსავლიანობა და სხვ.), რომ სასოფლო მეურნეობის საქონლიანობა ჯერ კიდევ ძალიან მცირეა იმ ამოცანებთან შედარებით, რომელნიც ამჟამად დგანან სასოფლო მეურნეობის წინაშე სოციალისტური სახალხო - სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს თავს სასოფლო - სამეურნეო ექსპორტის შესაძლებლობათა ნაკლებობაში, ექსპორტის რომელიც არის საიმპორტო ოპერაციების ბაზა და რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და თვით სასოფლო მეურნეობის შემდგომი აღორძინებისათვის.

6. თანამედროვე სოფლის უდიდესი უარყოფითი მხარე, რომელიც გამოხატავს მის ისტორიულ წარსულს და ჩვენი ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობის ნაშთებს, არის ეგრედ წოდებული „აგრარული მოსახლეობის სიჭარბე", ე. ი. „ზედმეტი" მუშა ხელის დიდი რაოდენობა, რომელიც სოფლად ვერ პოულობს შრომის გამოყენების საშუალებას და რომელიც მნიშვნელოვნად ადიდებს უმუშევართა რიცხვს ქალაქში. მეორე უარყოფით მოვლენად, რომელიც აბრკოლებს სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპს, უნდა ჩაითვალოს მიწის სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუწყობლობა და ინვენტარის ნაკლებობა გლეხთა მცირე შეძლების ფენებში, რაიც იწვევს სასოფლო - სამეურნეო მიწის სივრცის არასაკმაოდ გამოყენებას გლეხობის ამ ფენების მიერ. დაბოლოს, ეხლანდელი მდგომარეობის უარყოფითი მოვლენა, რომელიც შეეხება ურთიერთობას ქალაქსა და სოფელ შორის, არის ეგრედ წოდებული „მაკრატელი", ე. ი. ფასების განსხვავება ერთი მხრივ მრეწველობის პროდუქტებზე, ხოლო მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე, ეს უარყოფითი მოვლენები შეიძლება აღმოფხვრილ იქნას მხოლოდ მთელი რიგი დიდი სამეურნეო ზომების მიღებით. მოსახლეობის სიჭარბე სოფლად დაძლეულ უნდა იქნას მრეწველობის ზრდასთან ერთად, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ზრდით და შრომის ტევად კულტურების განვითარებით, რაიც თავის მხრივ დაკავშირებულია სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასთან სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების პირვანდელი გადამუშავების ქარხნების აგებასთან, ადგილობრივ შინამრეწველურ სარეწაოების განვითარებასთან და აგრეთვე გადასახლების სწორ პოლიტიკასთან. მიწის სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუწყობლობა მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას მიწადმოწყობის დარგში, ურომლისოდაც შეუძლებელია გლეხთა მეურნეობის რაციონალიზაციის სწრაფი ზრდა და ურომლისოდაც არსებობს საფრთხე იმისა, რომ მიწათსარგებლობის კონცენტრაცია მოხდება კულაკების ხელში. ინვენტარის ნაკლებობა გლეხთა მოსახლეობის ღარიბ ფენებში შეიძლება იქნას დაძლეული მხოლოდ ამ ფენების კოოპერაციაში შეკავშირების გაძლიერებით, მათთვის ინვენტარის მიწოდებით გრძელვადიანი კრედიტის ნიადაგზე. დაბოლოს, „მაკრატელი", ე. ი. განსხვავება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასებს შორის სისტემატიურად უნდა იქნას აღმოფხვრილი სამრეწველო ფასების დაკლების პოლიტიკით რაციონალიზაციისა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე.

7. სასოფლო მეურნეობის განვითარების პროცესს, განხილულს **სოციალურ-კლასიური თვალსაზრისით**, ეხლანდელ მომენტში ახასიათებს ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ტენდენციებს შორის. ეს ბრძოლა განსაკუთრებულ რაღს ასვამს სოფლის დიფერენციაციის პროცესს, რომელსაც ჩვენს პირობებში მეტად განსაკუთრებული თავისებურებანი აქვს. სოფლის ფენებად დაყოფის თავისებურებანი გამომდინარეობს საზოგადოებრივი პირობების შეცვლისაგან. ეს თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ წინააღმდეგ კაპიტალისტური ტიპის განვითარებისა, რომელიც გამოიხატება საშუალო შეძლების გლეხობის **დასუსტებაში**, უკიდურესი ჯგუფების —ღარიბი გლეხობისა და კულაკების ზრდაში, ჩვენ, პირიქით, საშუალო შეძლების გლეხთა ჯგუფის **გაძლიერება**, თუმცა ამასთანავე ჩვენში **ჯერ** კიდევ აქვს ადგილი კულაკთა ერთგვარ ზრდას საშუალო გლეხთა შეძლებული ნაწილის ხარჯზე, ამავე დროს ვხედავთ ღარიბ ჯგუფების შემცირებას, რომლის ერთი ნაწილი პროლეტარდება და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, თანდათანობითი გადადის საშუალო გლეხთა ჯგუფში. ეს თავისებურებანი აუცილებლად გამომდინარეობენ სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობათაგან პროლეტარიატის დიქტატურის თანამედროვე პირობებში. უბრალო საქონლის მწარმოებელი სასოფლო მეურნეობაში, კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეიძლება გადაიქცეს ან წვრილ კაპიტალისტად ან პროლეტარად. მისთვის არ არსებობს განვითარების **მესამე გზა.**

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ეს გზა არის, რამდენადაც მასიური კოოპერაციის საშუალებით (როგორც გაცვლის, ისე წარმოების სფეროში) წვრილ მწარმოებელს შეუძლია სისტემატიურად ჩაებას საერთო სოციალისტური მშენებლობის პროცესში.

მეორე მხრით პროლეტარული დიქტატურის დროს არსებულ განვითარების განსაკუთრებული პირობების გამო ღარიბ გლეხობას აქვს შესაძლებლობა გადავიდეს საშუალო გლეხობის წრეში. ამრიგად ჩვენში დიფერენციაციის პროცესების თავისებურება იწვევს საშუალო გლეხური ფენების შემდგომ ზრდას და ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ საშუალო შეძლების გლეხი „მიწათმოქმედების ცენტრალური ფიგურაა".

რაც შეეხება დიფერენციაციის ტემპს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში, — ის სხვადასხვაა მთელ რიგ ადგილობრივ პირობების მიხედვით, რაც

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქართველოს ეროვნული

რა თქმა უნდა, არ სცვლის პროცესის საერთო ხასიათს და მიმართულებას.

8. ოპოზიციის უხეში შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას, მისდევს რა ის კუდში ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, გლეხური მეურნეობის განვითარების კანონზომიერება კაპიტალიზმის დროს მთლიანად და სავსებით მექანიკურად გადააქვს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ოპოზიცია ვერ ხედავს, რომ სოფლის განვითარების გზებს განსაზღვრავს ქალაქის განვითარება, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს სოფლად ჩვენს პირობებში უპირისპირდება არა მარტო მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის მთელი სისტემა ძლიერი ეკონომიური მბრძანებელი მაღლობებით (პირველ რიგში სოციალისტური ინდუსტრიით კოოპერაციით და სასოფლო მეურნეობაზე გეგმიანი ზეგავლენის სხვა ფაქტორებით). ამით ოპოზიცია რევიზიას უკეთებს მარქსიზმისა და ლენინზმის მეტად მნიშვნელოვან თეორეტიულ დებულებებს, რომლებიც ეხება მსხვილ და წვრილ წარმოების, ქალაქისა და სოფლის, ინდუსტრიისა და სასოფლო მეურნეობის ურთიერთობას, და უბრუნდება ბურჟუაზიულ-რევიზიონისტულ თეორიებს პროლეტარული სახელმწიფოს „ტერმიდორიანული" გადაგვარების შესახებ, წვრილ კაპიტალისტ-კულაკისა და კერძო კაპიტალის გამარჯვების შესახებ იმ სოციალისტური პროლეტარიატის ყველაზე უფრო ცენტრალიზაციაქმნილ მანქანურ ინდუსტრიაზე, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მთელ სახალხო მეურნეობას.

9. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროლეტარული სახელმწიფოს **გეგმიანი მომწესრიგებელი როლი** სასოფლო მეურნეობაში და გაიზარდა **სოციალისტური ელემენტების გავლენა სოფლად.** ეს ფაქტორები წარმოადგენენ ბრძოლის იარაღებს, კულაკის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი რიგი პოზიციები დაიკავა სოფლის ეკონომიკაში, და კერძო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც თანდათან იდევნება სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებიდან, მაგრამ რომელიც მაინც იზრდება აბსოლიუტურად, იჭრება სოფლის ცხოვრებაში და განსაკუთრებით შინამრეწველურ და სახელოსნო მრეწველობის გზით ცდილობს დაიჭიროს შემაერთებელი ხიდი სოფლისა და ქალაქს შორის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების სფეროში სახელმწიფო ორგანოებმა და კოოპერაციამ დაიჭირეს გადამჭრელი მდგომარეობა, ხოლო გასაღების მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში (პური, ბამბა, შაქრის ჭარხალი და სხვ.) დაიკავეს გაბატონებული თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა. ეს მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ: 1) სასოფლო მეურნეობის პროდუქტების უდიდესი მასსა მზადდება კერძო კაპიტალის დაუხმარებლად, რომელიც განდევნილია თავისი წინანდელი პოზიციებიდან; 2) ამ პროდუქციის რეალიზაცია ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწესებულ და მთელ სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით განსაზღვრულ ფასების მიხედვით, ამასთანავე უკანასკნელ ხანებში შესაძლებელი გახდა პურზე მტკიცე ფასების დაწესება გაზაფხულსა და შემოდგომაზე; 3) ფასების განსაზღვრული პოლიტიკის წყალობით სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს ზეგავლენა მოახდინოს თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებზე საწარმოო ძალების უფრო მიზანშეწონილ განაწილების მხრით. ამასთანავე ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ დარგში (ხორცის დამზადება და სხვ.) კერძო კაპიტალს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

10. მომარაგების დარგში ჩვენ უკვე ვაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როცა სოფელს მისთვის საჭირო მთელი საქონლის მასის ნახევარს აწვდის უშუალოდ კოოპერაცია და სახელმწიფო ორგანოები, ამასთანავე სოფლის მანქანებით მომარაგების საქმე მთლიანად კოოპერაციისა და სახელმწიფოს ორგანოების ხელშია; ხოლო მთელ რიგ სამრეწველო საქონლის (მანუფაქტურა, ნავთი და სხვა) მიწოდების საქმეში კერძო კაპიტალი უმნიშვნელო როლს თამაშობს. პროლეტარულ სახელმწიფოს ღონისძიებანი ამ დარგში პირველ რიგში მიმართულია იქეთ, რომ: 1) სამრეწველო საქონელზე სისტემატიურ ფასების დაკლებასთან ერთად, მიაწოდოს გლეხებს უფრო იაფი და კარგი ღირსების საქონელი საკმაო რაოდენობით; 2) განამტკიცოს და გააფართოვოს სოფლის სამრეწველო პროდუქტების უშუალოდ მომარაგების საქმეში დაპყრობილი პოზიციები და სულ უფრო და უფრო განდევნოს კერძო კაპიტალის შუამავლობა; 3) მანქანების მიწოდებით აამაღლოს გლეხური მეურნეობა და ჩააბას ის კოოპერაციაში, განსაკუთრებით საწარმოო კოოპერაციაში.

11. წარსული წლების, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების გამოცდილებამ სავსებით და მთლიანად დაადასტურა ლენინის კოოპერატიული გეგმის სისწორე, რომლის მიხედვით, სწორედ კოოპერაციის საშუალებით წაიყვანს სოციალისტური ინდუსტრია წვრილ გლეხურ მეურნეობას სოციალიზმის გზით, გარდაქმნის ინდივიდუალურ დაქსაქსულ საწარმოო ერთეულებს, როგორც ბრუნვის პროცესის საშუალებით, ისე კიდევ უფრო მეტად თვით წარმოების მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობად გარდაქმნის საშუალებით ახალი ტეხნიკის საფუძველზე (ელექტროფიკაცია და სხვ.).

წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა ეხლანდელ პერიოდში პარტიის ძირითად ამოცანად უნდა იქნას დასახული სოფლად. მიუთითებს რა კატეგორიულად იმაზე, რომ ეს გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშრომელი გლეხობის თანხმობით, პარტია აუცილებლად სთვლის, ფართო პროპაგანდა იქნას წარმოებული, რათა გლეხობამ შეიცნოს მსხვილ განსაზოგადოებულ სასოფლო მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლის აუცილებლობა და სარგებლიანობა, და ყოველგვარი საშუალებით წაქეზებულ იქნას მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უკვე არსებული ელემენტები სოფლად, რომელნიც მნიშვნელოვნად იზრდებიან.

უკანასკნელ წლებში კოოპერაცია (სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო) იქცა ძლიერ ორგანიზმად, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე მილიონ გლეხს და სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად მთელ საქონლის ბრუნვაში ქალაქს და სოფელს შორის გადამჭრელ როლს თამაშობს. უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად მტკიცდება შინამრეწველური-სარეწაო კოოპერაცია. კოოპერაციის შემადგენლობა სოფლად დიდათ განსხვავდება მის შემადგენლობისაგან რევოლიუციის წინა დროში: ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი კოოპერაცია უმთავრესად არის ღარიბ და საშუალო გლეხების კოოპერაცია. ამ შემადგენლობასთან შეფარდებით იცვლება კოოპერატიული ორგანიზაციების მოღვაწეობის მიმართულებაც, რომელნიც ამჟამად გლეხობის ძირითადი მასების ინტერესებს ემსახურებიან და არა მისი კულაკური ზედაფენის ინტერესებს.

რამდენადაც საქმე ეხება სახელმწიფოსა და კოოპერაციის ურთიერთ დამოკიდებულებას, — კოოპერაცია სარგებლობს მთელი რიგი შეღავათიებითა და უპირატესობებით, რაიც გამომდინარეობს იმ აუცილებლობიდან, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ ყოველ მხრივ, მათ შორის მატერიალურადაც, მხარი უნდა დაუჭიროს კოოპერატიულ მშენებლობას.

საერთოდ კოოპერაციის და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უდიდეს ეკონომიური მნიშვნელობასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ კოოპერაცია წარმოადგენს გლეხობის ეკონომიური მასიური გაერთიანებისა, თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარების საუკეთესო ფორმას, მისი სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკურად ხელახალი აღზრდისა და საერთო სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩაბმის ფორმას.

ამაშია კოოპერაციის ძირითადი განსხვავება და უპირატესობა სახელმწიფო-სავაჭრო დამამზადებელ ორგანოებთან შედარებით, და ამით გვეძლევა პერსპექტივა მისი როლის ზრდისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ის, რომ მას არ სწამს გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმის შესაძლებლობა სოციალისტურ მშენებლობაში კოოპერაციის საშუალებით. ეს არის ლენინის კოოპერატიული გეგმის უარყოფა და, მაშასადამე, ოპოზიციის ლენინიზმისაგან პირდაპირი დაშორება. ეს დაშორება არის შედეგი ოპოზიციის საერთო ლიკვიდატორული მიმართულებისა, რომელიც უარყოფს სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში.

სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო და აგრეთვე შინამრეწველურ-სარეწაო, კოოპერაციის განვითარება და მათ მიერ ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვაში მნიშვნელოვანი პოზიციების დაპყრობა იწვევს ეკონომიურ აუცილებლობას და ეკონომიურ შესაძლებლობას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გასაღებისა და მომარაგების ოპერაციების დარგიდან შეიჭრას **წარმოების დარგში.**

იქ, სადაც მონოპოლიური ან თითქმის მონოპოლიური დამამზადებლები არიან სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირებაზე გადასვლა, ესე იგი კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხობის მეურნეობის აღორძინებისათვის პირდაპირი ხელისშეწყობა განსაკუთრებით მწვავედ სდგას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობა ვერავითარ უპირატესობას ვერ ღებულობს კოოპერაციაში ჩაუბმელ მოსახლეობასთან შედარებით. თვით კოოპერაციის განვითარებას თანამედროვე პირობებში ამრიგად მივყევართ იმ მდგომარეობამდე, რომ კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობებს შეიძლება ექნეს დამატებითი უპირატესობანი კოოპერაციაში ჩაუბმელ მოსახლეობასთან შედარებით: ეს იქნება უწინარეს ყოვლისა იმ შემთხვევაში, თუ ისინი გასაღებისა და მიწოდების კოოპერატიულ შეკავშირებიდან სულ უფრო და უფრო გადაველენ ტეხნიკური რეკონსტრუქციის და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების საფუძველზე მსხვილი კოლექტიური მეურნეობისაკენ.

საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირების ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უკვე ახლა და კიდევ უფრო დიდ როლს ითამაშებს მომავალში სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრია (როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული), რომელიც ტეხნიკურად და ეკონომიურად უშუალოდ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და გარდაქმნის უკანასკნელის შინაგან წყობას. ეს პროცესი დაკავშირებულია ინტენსიურ კულტურების, მესაქონლეობის და სხვ. ზრდასთან, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდასთან (კარაქის და ყველის ქარხნები, საკონსერვო ქარხნები, სილის პირველადი დასამუშავებელი ქარხნები. ხილსახმობები, ბეკონის ქარხნები და სხვ.).

13. საწარმოო პროცესზე გეგმიან ზეგავლენის გაძლიერება კოოპერაციის საშუალებით თავის გამოხატულებას პოულობს უკვე ისეთ ფორმებში, რომ კოოპერაციაში შეკავშირებულ მწარმოებლებს პირდაპირ ეძლევა შეკვეთა იმ ან იმ რაოდენობისა და ღირსების პროდუქტებზე, როგორც ამას ადგილი აქვს შაქრის მრეწველობაში და ნაწილობრივ მებამბეობაში (ეგრედ წოდებულ კონტრაქტაციებისა, ხელშეკრულებებისა და სხვ. სისტემა); ამავე დროს შემკვეთელს, ე. ი. სახელმწიფო მრეწველობას საშუალება აქვს ასწიოს წარმოებითი პროცესის ღირსება მით, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრავს წარმოების შესაფერ საუკეთესო წესებს (რიგობრივი თესვა, თესლეულის ღირსება, ნიადაგის გამოყენება და სხვა) და ხელს უწყობს ამ წესების განხორციელებას.

ამასთანავე წარმოებისათვის სათანადო საშუალებების მიწოდება ხშირად ხდება თვით შეკვეთის მიმცემ სახელმწიფო ან კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით. ეს ფორმა შეიძლება და უნდა გახდეს შემდეგში თვით გლეხური წარმოების კოოპერატიულად შეკავშირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებებად ამ სატყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. იმ წვრილ მწარმოებ. ნებაყოფლობით გაერთიანების საშუალებად, რომლებსაც კოოპერაცია აკავშირებს სოციალისტურ მრეწველობასთან.

14. საწარმოო კოოპერატიულ შეკავშირების კალაპოტით მიმდინარეობს ისეთ საწარმოო გაერთიანებათა პირვანდელი ფორმების განვითარება, როგორიცაა არტელები, სხვადასხვაგვარი საწარმოო ამხანაგობანი და სასოფლო-სამეურნეო კომუნები; რომელნიც უმეტეს წილად აერთიანებენ ღარიბ და მცირე შეძლების გლეხობას. განსაზღვრულ კრიტიკულ ხნის შემდეგ ამ ფორმებმა გამოაშკარავეს სიცოცხლისუნარიანობა. და უკვე მრავალ შემთხვევაში დაამტკიცეს თავისი უპირატესობა წვრილ საგლეხო მეურნეობათა წინაშე. პარტიამ უნდა უზრუნველყოს მათთვის სრული მხარის დაჭერა და ყოველ მხრივ წახალისება. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ელემენტების საერთო ბალანსში არსებით როლს თამაშობენ საბჭოთა მეურნეობანი, როგორც მსხვილ სახელმწიფოებრივ სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფორმები. საბჭოთა მეურნეობების სისტემა რომელმაც აგრეთვე განიცადა მწვავე კრიზისი, ამჟამად უკვე გახდა მომგებიანი და იწყებს სულ უფრო და უფრო დიდი როლის თამაშს, როგორც კულტურულ-აგრონომიულ და საჩვენებელი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გლეხურ მეურნეობაზე; ის თამაშობს დიდ როლს, როგორც ნიმუში, რომელიც თვალსაჩინოდ ხდის მსხვილ განსაზოგადოებულ წარმოების უპირატესობას წვრილ-გლეხურ მეურნეობასთან შედარებით.

15. გლეხობაზე ზეგავლენის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მსხვილი მელიორატიული ნაგებობანი, როგორც, მაგალითად, საირიგაციო სამუშაოები შუა-აზიაში (მებამბეობა) და კავკასიაში საირიგაციო სისტემა პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში შეიძლება გახდეს საწარმოო პროცესის მძლავრ რეგულიატორად და ღარიბ და საშუალო გლეხობის ფენებისათვის დახმარების აღმოსაჩენ იარაღად.

გეგმიან ზეგავლენის მეორე მეთოდს წარმოადგენს სახელმწიფო და კოოპერატიული გამქირავებელი პუნქტები. ამ პუნქტებს მოეპოება რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათანადო რაოდენობა და სწორი პოლიტიკის დროს ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს ბრძოლისათვის გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენების ექსპლოატაციის წინააღმდეგ კულაკების მხრივ: ისინი აგრეთვე წარმოადგენენ ფაქტორს, რომელიც იწვევს მიწის დამუშავების კოლექტიურ ფორმებზე გადასვლას ახალი ტეხნიკის საფუძველზე. ამავე დარგს ეკუთვნის მასიური აგრონომიული დახმარება, წმინდა ხარისხის თესლეულისა და მინერალური სასუქის მიწოდება, სამუშაოები გვალვასთან საბრძოლველად. ღონისძიებანი ცენტრალურ შავმიწიან ოლქის ასაღორძინებლად და სხვ.

16. მრეწველობის განვითარება, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების აღორძინება და საერთოდ ღარიბ და საშუალო მოსახლეობის მილიონიან მასების კოოპერატიულად შეკავშირების სახელმწიფო ფონდების ზრდა საშუალებას იძლევა სულ უფრო და უფრო იქნეს განხორციელებული მთელი სახალხო მეურნეობის ტეხნიკური გარდაქმნა, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ელექტროფიკაციის ნიადაგზე. ელექტროფიკაცია გარდაქმნის მთელი მრეწველობის ტეხნიკას და თანდათანობით ახალ ტეხნიკურ საფუძველს ჩაუყრის მთელ სასოფლო მეურნეობას, რადიკალურად გარდაქმნის მის მეთოდებს და გაუკაფავს მას გზას განსაზოგადოებულ შრომისაკენ. ამრიგად საგლეხო მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის ყველა ზემოჩამოთვლილ ბერკეტებს და აგრეთვე საკრედიტო და საგადასახადო სისტემის მძლავრ ზეგავლენას ემატება ტეხნიკური რევოლიუციის უდიდესი ფაქტორი, რომელმაც ყველაზე უფრო სწრაფად უნდა წასწიოს წინ სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და მისი თანდათანობით განსაზოგადოების საქმე კოოპერატიულად შეკავშირების საშუალებით. აუცილებელია გაძლიერდეს ტრაქტორების მიწოდება სოფლისათვის და ამ მიზნით დაჩქარდეს ტრაქტორების წარმოების გაფართოება.

ოპოზიციის ყველაზე უხეშ შეცდომას წარმოადგენს მისი ცდები, რომ ელექტროფიკაციის გეგმა დაუპირდაპიროს ლენინის კოოპერატიულ გეგმას ეს ცდები ააშკარავებს რომ ოპოზიციას სრულებით არ ესმის ის უდაო ფაქტი, რომ ელექტროფიკაციის გეგმა და კოოპერატიული გეგმა წარმოადგენენ ლენინის საერთო გეგმის განუშორებელ ნაწილებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

3. პრაქტიკული მუშაობის მდგომარეობა და ნაკლულოვანებანი.--პრაქტიკული ხაზის გადამახინჯება.

17. მიუხედავად საერთო პოლიტიკის სისწორისა, მიუხედავად სასოფლო მეურნეობის გაძლიერების და პროლეტარულ სახელმწიფოს და მის კოოპერატიულ ორგანოების გავლენის ზრდისა სასოფლო მეურნეობაში. მაინც აღსანიშნავია მთელი რიგი ნაკლულოვანებები, შეცდომები, პარტიის პოლიტიკური ხაზის გადამახინჯება და ზოგჯერ ამ ხაზის აღმაშფოთებელი დარღვევაც.

სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შეცდომები სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების მოწესრიგების საქმეში (1925—26 წლის შეცდომები), შეცდომები, რომლებმაც ჩაფუშეს ჩვენი საექსპორტო-საიმპორტო გეგმა. შემდეგ მრეწველობის საწარმოო პროგრამაც და გამოიწვიეს ტეხნიკურ კულტურების ნათესების შემცირება და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ **სამიწათმოქმედო სასოფლო**-სამეურნეო კრედიტის და კოოპერაციის ორგანოები ძალიან უმნიშვნელო ყურადღებას აქცევდენ სწორი პროლეტარული პოლიტიკის გატარებას სოფლად (სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდება, კრედიტი იჯარის სისტემის გამოყენება, მიწათმოწყობა და სხვ.) და ხშირად სათანადო წინააღმდეგობას არ უწევდენ კულაკების პრეტენზიებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფინსახკომის ორგანოები. მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა პროგრესიულ საგადასახადო დაბეგვრის გატარებაში, ხშირად ვერ ართმევდენ თავს კულაკური ჯგუფის მთელი დასაბეგრი შემოსავლის აღრიცხვისა და სათანადო საგადასახადო ზემოქმედების ამოცანებს. შემდეგ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სახელმწიფო დამამზადებელი ორგანოები საკმაოდ ვერ აფასებენ კოოპერაციის, როგორც მასების ისეთი ორგანიზაციის მნიშვნელობას, რომლის მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოება და იჩენენ კოოპერაციის როლის შემცირების და თვით კოოპერაციის სათანადო სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციების უბრალო ფილიალად გადაქცევის ტენდენციას.

18. თვით კოოპერაციაში შემჩნეულია მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენები, რომლებიც მოწმობენ პარტიის პოლიტიკის გადამახინჯებას. კოოპერაციის **შემადგენლობა** საერთოდ და მთლიანად უდაოდ ღარიბ-საშუალო გლეხურია. მაგრამ მიუხედავად ამისა მასში მაინც არა იშვიათად საგრძნობია ღარიბი გლეხობის შედარებით სუსტი კოოპერატიული შეკავშირება და სოფლის შეძლებული ზედაფენის არაჩვეულებრივად ძლიერი კოოპერატიული შეკავშირება.

კოოპერაციის არჩეულ ორგანოების შემადგენლობაშიც, მიუხედავად გადაწყვეტილებისა ამ ორგანოებში კულაკების დაუშვებლობის შესახებ, იგივე ნაკლულოვანებებია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო **იარაღ - მანქანებით** სოფლის **მომარაგების** დარგში ხშირია შემთხვევა, როდესაც სოფლის შეძლებული ნაწილი შედარებით უკეთესადაა მომარაგებული ამ იარაღ-მანქანებით. იგივე უნდა ითქვას **კრედიტების** განაწილების შესახებაც, საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს პარტიის დირექტივის შეუსრულებლობა კოოპერატიული ორგანოების მიერ როდესაც ეს უკანასკნელნი გლეხობის კოოპერატიული დარაზმვისათვის დანიშნულ ფონდს იყენებენ არა პირდაპირ დანიშნულებისამებრ. მიუხედავად იმისა. რომ უკანასკნელ ხანებში აღებულ იქნა კურსი ამგვარ ფაქტების აღმოფხვრაზე, წინააღმდეგ საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას პირდაპირი დირექტივებისა. მაინც ადგილი აქვს პარტიის ხაზის ზემოაღნიშნულ დამახინჯებას. საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ (ცრუ კოოპერატივების არსებობის ფაქტს, რომლებსაც ამოფარებიან კულაკური „ამხანაგობები". და სარგებლობენ კოოპერატივის ყველა უფლებებითა და პრივილეგიებით. კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის არსებით უარყოფით მხარეს წარმოადგენს აგრეთვე ეგრედწოდებულ „ველური" კოოპერატივების არსებობა, რომლებიც ჯერ კიდევ არიან მოქცეულნი კოოპერაციის საერთო ცენტრალიზაციაქმნილ სისტემაში.

სამიწათმოქმედო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის საერთო ნაკლს წარმოადგენს აქ მუშაობის შეუთანხმებლობა და ხშირად ამ ორგანიზაციების მიერ ხმარებულ ღონისძიების ურთიერთ წინააღმდეგობა.

19. **საბჭოთა მუშაობის** დარგში შეიძლება აღინიშნოს პარტიის პოლიტიკის უდაო წარმატება სოფლად საბჭოების გამოცოცხლების მხრივ, საბჭოები (მათი სექციები, კომისიები) თანდათან ხდებიან სამეურნეო პოლიტიკური ცხოვრების მომწესრიგებელ ცენტრებად. მართვა-გამგეობის სკოლად და ღარიბ-საშუალო გლეხობის ახალი კადრების დაწინაურების იარაღად და სხვ. უპარტიო აქტივის დარაზმვამ საბჭოების გარშემო გაზარდა ამ უკანასკნელთა ავტორიტეტი ფართო მასებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა დარაზმულობის ზრდა, რაც საგრძნობია საბჭოების, კოოპერატიული და სხვ. ორგანოების არჩევნების დროს. მიუხედავად ამისა. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესრულებული.

20. **პარტიული მუშაობის** დარგში უნდა აღინიშნოს არა დამაკმაყოფილებელი მუშაობა მოჯამაგირეთა შორის (რაც გავლენას ახდენს სოფლის უჯრედების შემადგენლობაზე) და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის სუსტი დაკავშირება სამეურნეო მშენებლობის სფეროში მუშაობასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთათვის ფართე დემოკრატიის საფუძველზე ჩატარებული საბჭოების გადარჩევის კამპანიები მოწმობენ პარტიულ ორგანიზაციების ავტორიტეტის ზრდას გლეხობაში. სოფლად დიდ როლს თამაშობს **კომკავშირის ორგანიზაცია**, რომელმაც ამჟამად ამოცანად უნდა დაისახოს თავის შემადგენლობის მოწესრიგება მოჯამაგირე ღარიბ-გლეხურ აქტივის გაძლიერებისა და მათ წრიდან კომკავშირელთა აქტივის ახალ ფართე კადრების აღზრდის თვალსაზრისით, პარტიის ხაზის უფრო მკაფიოდ გატარება, თავის წევრების პოლიტიკური აღზრდა და პარტიის მძლავრ ბერკეტად გადაქცევა სასოფლო მეურნეობის ამაღლებისა და კოლექტივიზაციის საქმეში, ფართე კულტურულ ინიციატივის განვითარებაში და სოციალისტური მუშაკთა ახალი კადრების შექმნაში. გლეხობის კულტურული დონის ამაღლებისა და კოოპერატიულად დარაზმვის საქმეში ღარიბ-საშუალო გლეხურ აქტივიდან ღარიბ და მოჯამაგირე გლეხ-ქალთა ჩაბმის მხრივ უდიდეს როლს თამაშობენ გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები, რომლებმაც უნდა გააძლიერონ მუშაობა პარტიასთან ახლოს მდგომ გლეხ-ქალთა მოზიდვის ხაზით.

4. პარტიის მორიგი ამოცანები

ამნაირად, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ: 1) სამეურნეო დარგში მეტად საგრძნობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი, ხოლო მასთან ერთად მუშათა კლასის ხვედრითი წონაც; 2) კერძო კაპიტალი განდევნილია მთელ რიგ მნიშვნელოვან პოზიციებიდან; 3) სოფლად სავსებით ნათლად გამომჟღავნდა სოციალისტური განვითარების ძირითადი წინააღმდეგობები და ბერკეტები, ე. ი. ერთის მხრივ კულაკობის ზრდა და მეორეს მხრივ საშუალო გლეხთა ჯგუფის გაძლიერება, სოფლის ღარიბი ფენების შეკავშირების ზრდა, კოოპერაციის სწრაფი განვითარება. რომელიც, ლენინის აზრით, პროლეტარული დიქტატურის პირობებში უდრის „სოციალიზმის ზრდას", და სახელმწიფო ორგანოების გეგმიან-მომწესრიგებელი როლის გაძლიერება გლეხურ მეურნეობაში.

მე-14 პარტკონფერენციის და მე-14 პარტყრილობის დროიდან პარტიის სათანადო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოხდა მთელი რიგი უდიდესი (ცვლილებები მეორე ხაზით: 1) გაიზარდა ნათესების არე და შემცირდა დაუმუშავებელ მიწების მოედანი, რაც დაკავშირებულია გლეხობის ძირითადი მასის მეურნეობის საერთო მაღლებასთან; 2) პოლიტიკურ დარგში გაძლიერდა საშუალო გლეხობის ჩამოშორება კულაკებისაგან, განმტკიცდა მუშათა კლასის კავშირი საშუალო გლეხობის მასებთან და გამოაშკარავდა ძირითადი გარდატეხა კულაკის იზოლიაციის მიმართულებით.

ამნაირად, ის მიზნები, რომლებიც პარტიამ დაისახა მე-14 კონფერენციისა და და მე-14 ყრილობის პერიოდში საერთოდ მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. პარტია ამ გამარჯვებამდე მივიდა იმით, რომ აწარმოებდა ბრძოლას როგორც კულაკური საფრთხის ნაკლებ შეფასებასთან, ისე განსაკუთრებით ოპოზიციის გადახრასთან. რომელიც მიმართული იყო საშუალო გლეხობის წინააღმდეგ: პარტია ვერ მიაღწევდა ამ გამარჯვებას, რომ მთელი თავისი იერიში არ მიეტანა ოპოზიციის ოპორტუნისტულ საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო გადახრასთან, ვინაიდან ეს გადახრა, ძირს უთხრის რა პროლეტარიატის კავშირს საშუალო გლეხურ მასებთან და ფერხებს რა საშუალო გლეხობის ჩამოშორებას კულაკებისაგან, ნამდვილად იწვევს კულაკური გავლენის ზრდას სოფლად. საჭიროა გაგრძელდეს საშ. გლეხობასთან კავშირისაკენ მიმართული პარტიის ლენინური პოლიტიკა. პარტიის პოლიტიკის გამარჯვება სოფლად და ამასთან დაკავშირებით შექმნილი ახალი პირობები საშუალებას აძლევენ პროლეტარიატის პარტიას, სამეურნეო ორგანოების მთელი სიძლიერის და გლეხობის ღარიბ-საშუალო მასებზე წინანდებურად დაყრდნობის გზით, განავითაროს შემდგომი იერიში კულაკობის წინააღმდეგ და მიიღოს მთელი რიგი ახალი ზომები, რომლებიც შეზღუდავენ კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად და გლეხურ მეურნეობას წაიყვანენ სოციალიზმისაკენ.

აქედან გამომდინარეობენ პარტიის შემდეგი მორიგი ამოცანები:

1. სახელმწიფო გეგმიანი ხელმძღვანელობის ელემენტები სასოფლო მეურნეობაში

ა) როგორც უმთავრესი პირობა ბაზრის სტიქიის დასაძლევად, სასოფლო-მეურნეობაში გეგმიანობის გასავრცელებლად და სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელი როლის გასაძლიერებლად მთელ სახ. მეურ., უნდა განმტკიცდეს და განვითარდეს სახელმწ. ორგანოებისა და კოოპერაციის მიღწევები სოფლად სამრეწველო საქონლის (მათ შორის შინამრეწველობის პროდუქტების) გასაღების და ქალაქისათვის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმის დაპყრობის დარგში.

ბ) შეურყევლად გაგრძელდეს სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების პოლიტიკა, იმ პირობით, რომ შენარჩუნებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ფასების სიმტკიცე, როგორც უმნიშვნელოვანესი პირობა მშრომელ მასების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის გასამტკიცებლად.

გ) ყოველგვარი დახმარება გაეწიოს ხელშეკრულებითი დამოკიდებულების პრაქტიკის განვითარებას (კონტრაქტაცია და სხვ.) კოოპერაციის ქსელში ჩაბმულ გლეხობასა და იმ სახელმწიფო ორგანოებს შორის, რომლებიც ამყარებენ უშუალო კავშირს გლეხურ მეურნეობასა და სოციალიზაცია ქმნილ მრეწველობის სათანადო დარგს შორის (შაქრის მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა და სხვ.) და აადვილებენ სათანადო რაიონების და დარგების სასოფლო-მეურნეობის სახელმწიფო-გეგმიან მოწესრიგებას.

დ) წვრილ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებისაკენ წახალისების ამოცანასთან დაკავშირებით სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირებას და მის განვითარებას, უნდა გააძლიეროს ყურადღება როგორც გლეხთა ანაბარების კოოპერაციაში მიზიდვის საქმისადმი, ისე განსაკუთრებით გადამმუშავებელი კოოპერატიული წარმოებების მოწყობის საქმისადმი და სხვ.

ე) კოოპერაციის (სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო და შინამრეწველურ-სარეწაო) გაძლიერების მიხედვით, აგრეთვე საქონლის ბრუნვის დარგიდან კულაკის და კერძო ვაჭრის განდევნასთან დაკავშირებით, კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის უნდა დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კოოპერაციის მუშაობის ფარგლების შემდგომ გაფართოებას იმგვარად, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები და ხელმძღვანელობა.

2. გადასახადი

ა) ყურადღება მიექცეს იმას, რომ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება ხელმოკლე გლეხობის (საბჭოთა კავშირის გლეხთა მეურნეობის მთელი რაოდენობის 35 პროცენტი). სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ განხორციელებული იქნეს სრული სისწორით.

ბ) იმ მიზნით, რომ გადასახადი დაწესდეს სოფლის ყველაზე უფრო შეძლებულ ფენების შემოსავალზე, რომელიც თანდათან იზრდება, დაევალოს ცეკას დაამუშაოს საკითხი ყველაზე უფრო სრულ პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის შესახებ.

3. კოოპერაცია

ა) გაფართოებული და გაძლიერებული იქნეს სამომხმარებლო, სას.-სამეურნეო და შინა-მრეწველურ-სარეწაო კოოპერაციის ქსელი იმ გვარად, რომ უახლოესი ხნის განმავლობაში კოოპერაციაში ჩაბმული იქნეს სოფლის მთელი უღარიბესი ნაწილი და საშუალო შეძლების გლეხობის უმრავლესობა. გადიდებულ იქნას ის თანხები, რომლებსაც კოოპერაცია ხარჯავს გლეხობის კოოპერატიული შეკავშირებისათვის.

ბ) გაძლიერდეს კოოპერაციაში ჩაბმა გლეხ-ქალთა და კერძოდ იმ ქალთა, რომლებიც მუშაობენ სასოფლო მეურნეობის დარგში, სადაც ქალის შრომას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (ფრინველების მოშენება, შინამრეწველობის დარგები და სხ.).

გ) შინამრეწველობიდან კერძო კაპიტალის შემდგომი განდევნის მიზნით, სახელმწიფო ორგანოებმა კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყონ ხელი შინამრეწველურ-სარეწაო კოოპერაციას, უნდა გაძლიერდეს მუშაობა შინამრეწველობის სარეწაოების მექანიზაციისათვის და სხვ.

დ) სასოფლო-სამრეწველო კოოპერაციის სისტემაში საჩქაროდ იქნეს შეყვანილი ეგრედწოდებული „ველური" კოოპერატივები, რომლებიც აღმოცენდნენ კოოპერაციის ორგანიზაციული მუშაობის სისუსტის გამო.

ე) მოწონებული იქნის სპეციალური სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაარსების პრაქტიკა (გარდაქმნილი სასოფლო-სამეურნეო კავშირი, „ხლებოცენტრი", მასლოცენტრი", „ლნოცენტრი", ჭარხლის მთესველთა კოოპერაცია და სხვ.), საჭირო იქნეს ცნობილი ასეთი სახის კოოპერაციის შემდგომი განვითარება, როგორც ისეთი ფაქტორისა, რომელიც უტყუარ საშუალებას წარმოადგენს კოოპერატიულ წესით საქონლის გასაღება და მომარაგებიდან გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობის განსაზოგადოებაზე გადასასვლელად.

ვ) გაძლიერებული იქნეს ბრძოლა ხელმოკლე უინვენტარო გლეხთა მეურნეობის განსათავისუფლებლად კულა

ქალაქის საბჭოების მუშაობა

საქართველოს ს. ს. რ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მომავალ, იანვრის სესიაზე დღის წესრიგში დასმული იქნება ქალაქის საბჭოების მუშაობის საკითხი და ქალაქის საბჭოების ახალი დებულების განხილვა და დამტკიცება.

ქალაქის საბჭოების მუშაობის შესახებ საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან ამას წინად შემდგარ თათბირის ამოცანას შეადგენდა ქალაქის საბჭოების მუშაობის გამოცდილებისათვის, პრაქტიკისათვის ჯამის გაკეთება, იმ მიღწევების გათვალისწინება, რომელნიც ჩვენ ამ დარგში მოგვეპოება უმთავრესად კი, არსებული ნაკლულოვანებათა გამომჟღავნება და გათვალისწინება.

უნდა ვსთქვათ, რომ თათბირმა მთლიანად მოახერხა დასახული ამოცანის გადაჭრა.

აქ, საქართველოში, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველების საკითხი მთელი თავისი მნიშვნელობით დაისვა მხოლოდ 1926 წლის დამლევს (ცეკას პლენუმი დეკემბერში).

პარტიამ რომ საბჭოების გაცხოველების საკითხი წამოაყენა, პირველ პერიოდში უმთავრესად ხელი მოჰკიდა საბჭოების გაცხოველების საკითხს სოფლად.

ბუნებრივია, რომ პირველ ხანებში მთელი ჩვენი ყურადღება მივაქციეთ სოფლის საბჭოების გამაგრებას; ქალაქის საბჭოების გაცხოველების საკითხები კი რამოდენადმე უკანა რიგზე დავწიეთ. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივაღწიეთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, პარტია უშუალოდ შეუდგა ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველებისა და გაძლიერების ამოცანათა გადაჭრას და ეს საკითხი დასახა, როგორც დღის წესრიგის პოლიტიკურად საჭირბოროტო საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცეკას დეკემბრის (1926 წ.) პლენუმმა დადგენილება გამოიტანა ქალაქის საბჭოების მუშაობის საკითხის შესახებ; პლენუმმა მოგვცა გენერალური გეზი, მოგვცა სხვადასხვა მითითებანი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით, რა მეთოდებით შევძლებთ ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველებას.

საქ. კომპარტიის ცეკას 1926 წ. დეკემბრის პლენუმის ძირითადი თეზისი ამბობს: „ქალაქის საბჭოების გაცხოველება საქართველოში ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა ქალაქის პროლეტარიატსა და მშრომელთა შორის მუშაობის დროს. საბჭოების გაცხოველება უნდა მიიმართებოდეს საბჭოების აღმასრულებელი ორგანოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისა და გაჯანსაღების, ბიუროკრატიზმთან და სამეურნეო უთავბოლობასთან ბრძოლის, ქალაქის საბჭოების საქმიანობაში მუშების ჩაბმის, მასიური მუშაობის გაუმჯობესებისა და პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ხაზით. ქალაქის საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობისა და მათი საორგანიზაციო უფლებრივი ჩარჩოების ჩამოყალიბების მიზნით, საბჭოთა მშენებლობის შესახებ გამართულ საკავშირო თათბირის დადგენილების საფუძველზე, საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ დამუშავდეს ახალი დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ და დამუშავდეს საკითხი ქალაქის საბჭოების მუშაობის ახალი ამოცანების შესახებ, კერძოდ იმ ქალაქებში, სადაც უმნიშვნელო პროლეტარული მოსახლეობაა".

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დღის წესრიგში დასვეს ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველებისა და გაუმჯობესების ამოცანა.

რა მივიღეთ ამ ამოცანის წამოყენების შედეგად? ის გამოკვლევანი, რომელნიც უკანასკნელ ხანებში ჩვენ ჩავატარეთ პარტიულ და საბჭოთა ხაზით, და ის მოხსენებანი ადგილებიდან, რომელნიც ჩვენ მოვისმინეთ ქალაქის საბჭოების შესახებ გამართულ თათბირზე, იმას გვიჩვენებენ, რომ ქალაქის საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების მხრით ჩვენ ბევრი მიღწევა გვაქვს.

ჩვენ რომ გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენდენ ქალაქის საბჭოები 1927 წლამდე და შევადაროთ იმას, თუ რა გვაქვს ამჟამად საბჭოების აღმასრულებელი ორგანოებისა, მათი პლენუმების შემადგენლობისა და მუშაობის მხრით, სექციების მუშაობის, მასიური მუშაობის; ამომრჩევლებთან კავშირის გაბმისა და სხვა მხრით, — მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლაც დიდი მიღწევები გვაქვს.

ჩვენმა საბჭოებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ თავისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ეს ითქმის თითქმის ყველა ქალაქის საბჭოების შესახებ, მეტადრე კი თბილისისა, ბათომისა და გორის საბჭოების შესახებ.

რას წარმოადგენენ ამჟამად ჩვენი ქალაქის საბჭოები სოციალური შემადგენლობის მხრით?

დაზგის მუშები ჩვენს ქალაქებში 44,4 პროცენტია. ჩვენს პარტიულსა და საბჭოთა აპარატში მომუშავე მუშები — 6,3 პროცენტი. ამგვარად, მუშები ჩვენს აპარატში სულ 50,7 პროცენტია.

მოსამსახურე 31,8 პროცენტია. გლეხი 2,7 პროცენტი.

დანარჩენნი 14,8 პროცენტი. ეს დანარჩენნი შესდგებიან შინამრეწველებისაგან, ხელოსნებისაგან და სხვ.

თუ შევადარებთ ჩვენი საბჭოების ახლანდელ სოციალურ შემადგენლობას და 1926 წლის შემადგენლობას, მაშინ დავინახავთ, რომ მუშათა პროცენტი თვალსაჩინოდ გაზრდილა. 1926 წელს ყველა ჩვენს ქალაქებში მუშების რიცხვი, საშუალოდ, უდრიდა 26,3 პროცენტს; 1927 წელს მუშების რიცხვი 24,4 პროცენტით გაიზარდა; ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა.

1926 წელს საბჭოებში ძალიან ბევრი მოსამსახურე გვყავდა — 50,4 პროცენტი; ახლა მოსამსახურეთა რიცხვი 31,8 პროცენტს უდრის; მოსამსახურეთა პროცენტი 18,6 პროცენტზე ჩამოვიდა.

ქალაქის საბჭოების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების მხრით თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ.

თუ ავიღებთ ისეთ ქალაქს, როგორიც თბილისია, დავინახავთ რომ წარმოებაში დაბანდებული მუშების პროცენტი საბჭოში 52,6 უდრის, პარტიულ და საბჭოთა აპარატში დასაქმებულ მუშების პროცენტი 9,6-ს. სულ მათი რიცხვი 62,2 პროცენტს უდრის.

თბილისში მოსამსახურე 27,4 პროცენტი გვყავს, მაშინ; როდესაც 1926 წლის შემადგენლობის საბჭოში 64,2 პროცენტი გვყავდა.

შეგვიძლია თუ არა, შევჩერდეთ იმ შედეგებზე, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ საბჭოების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების მხრით? რასაკვირველია, არა. გამუშერების გეზი კვლავ უნდა განვაგრძოთ. უახლოესი არჩევნების დროს ქალაქის საბჭოების მუშათა სექტორი უფრო მეტად უნდა გავაფართოოთ.

ეს ითქმის განსაკუთრებით ქალაქის საბჭოების აღმასრულებელი ორგანოების შესახებ, სადაც მუშათა პროცენტი ჯერ კიდევ საკმაო ვერაა.

რაც შეეხება საბჭოებში ქალების ჩაბმას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი მონაწილეობა უმნიშვნელოა, არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის საბჭოებშიაც კი.

უთბილისოდ ჩვენი ქალაქების საბჭოებში სულ 129 ქალია, რაც 11 პროცენტს შეადგენს, თბილისიანად კი ქალების რიცხვი 11,9 პროცენტს უდრის.

ქალაქის საბჭოები სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ქალების მონაწილეობის მაგალითს უნდა გვიჩვენებდნენ. თუ სოფლის საბჭოში და აღმასკომში ძნელია გლეხ-ქალის გაყვანა მისი ჩამორჩენილობისა და სოფლის მამაკაცთა დახავსებული აზროვნების წყალობით, სამაგიეროდ ქალაქად მუშა - ქალებში საკმაოდ მოიპოვება ისეთი ელემენტი, რომელიც შეიძლება იყოს საბჭოს აქტიური წევრად.

რამდენია კომუნისტი ქალაქის საბჭოებში? კომპარტიის წევრი 54,9 პროცენტია,—6,9 პროცენტით მეტი; ვიდრე 1926 წლის შემადგენლობაში იყო; კომკავშირის წევრი — 5,8 პროცენტია, — 0,8 პროცენტით ნაკლები; ვიდრე წარსული წლის შემადგენლობის საბჭოებში იყო. უპარტიო — 45,4 პროცენტია, — 6,1 პროცენტით ნაკლები; ვიდრე 1926 წლის საბჭოებში იყო.

ეს ციფრები იმას გვიჩვენებს, რომ კომკავშირელთა რიცხვი საბჭოებში საკმაო არ არის. უახლოესი არჩევნების დროს უფრო მტკიცე გეზი უნდა ავიღოთ, რომ ჩვენი მუშა - კომკავშირელები ქალაქის საბჭოების აქტიურ მუშაობაში ჩავაბათ. ქალაქის მუშა - ახალგაზრდობა საკმაოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ჩვენს საბჭოებში.

თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ქალაქის მშრომელი მოსახლეობის აქტივობას 1927 წლის არჩევნების დროს, დავინახავთ, რომ არჩევნებში შეკავშირებული მოსახლეობის, ე. ი. პროფკავშირთა წევრების, მუშების და მოსამსახურეთა 63,1 პროცენტი იღებდა მონაწილეობას. ეს პროცენტი სრულიად დამაკმაყოფილებელია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ, რათა კვლავაც გავაძლიეროთ მოსახლეობის აქტივობა, მაგრამ მაინც ეს უკვე დიდი მიღწევაა.

შეუკავშირებელი მოსახლეობის მონაწილეობა არჩევნებში 45,6 პროცენტით გამოიხატება. შეკავშირებული მოსახლეობის მონაწილეობა აღემატება შეუკავშირებელი მოსახლეობის მონაწილეობას 17,5 პროცენტით. სრულიად ბუნებრივია, რომ შეკავშირებული მოსახლეობა მეტ აქტივობას იჩენს; ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ რანაირ აქტივობას იჩენენ არჩევნების დროს შეკავშირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენები? თუ ჩვენ ავიღებთ ქალაქის შეკავშირებული მოსახლეობის ისეთ ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობის მუშები—მეტალისტები, მშენებლები, მეღვინეები და სხვანი, მაშინ დავინახავთ, რომ მათი მონაწილეობა არჩევნებში გამოიხატება 66,1 პროცენტით. შეკავშირებული მოსახლეობის მეორე ფენს შეადგენენ სახალხო კვების მუშაკნი, კომუნალურ მეურნეობის მუშაკნი და სხვანი; მათი მონაწილეობა არჩევნებში 57,6 პროცენტით გამოიხატება ტრანსპორტის მუშაკთა მონაწილეობა არჩევნებში გამოიხატება 65,7 პროცენტით. მოსამსახურეთა მონაწილეობა—61,2 პროცენტით. ყველაზე მეტ აქტივობას იჩენენ მოპოვებითი და დამმუშავებელი მრეწველობის მუშე- თუ ჩვენ ავიღებთ ტრანსპორტის მუშაკებს, რომელთა მონაწილეობა 65,7 პროცენტით გამოიხატება, მაშინ დავინახავთ, რომ ისინი რამოდენადმე ჩამორჩებიან მოპოვებითი და დამმუშავებელი მრეწველობის მუშებს. მე ვფიქრობ, რომ ეს ბუნებრივია და ტეხნიკური მიზეზებით აიხსნება: არჩევნების დროს მუშათა თვალსაჩინო კადრები გზაში იმყოფებიან; ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტრანსპორტის მუშაკები აქტივობის ნაკლებობის გამო ჩამორჩებოდნენ. ყოველ შემთხვევაში მოპოვებითი და დამმუშავებელი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებმა არჩევნების დროს უფრო მეტი აქტიობა გამოიჩინეს, ვიდრე კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა, ვიდრე მოსამსახურეებმა.

ეს, რასაკვირველია, კარგია. ასეთი მოვლენა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, როგორც დადებითი ფაქტი. მუშათა კლასი თავისი აქტივობით მოსახლეობის ყველა ფენებზე წინ უნდა იდგეს.

ქალაქის საბჭოების პლენუმების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქ სხვადასხვა არსებითი ნაკლულოვანებანიც გვაქვს.

რა საკითხებს არჩევენ ქალაქის საბჭოების პლენუმები? ცნობები, რომლებიც შეეხება ოთხი გამოკვლეული ქალაქის საქმიანობას 9 თვის განმავლობაში, შემდეგ სურათს გვიჩვენებენ: პლენუმებზე განხილულ ყველა საკითხთა შორის 50 საორგანიზაციო საკითხი იყო, კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საკითხი—8, სამეურნეო ხასიათის საკითხი (კოოპერაცია, ვაჭრობა, მრეწველობა) სულ 8 იყო.

რას გვიჩვენებს ეს ციფრები? პირველ ყოვლისა იმას, რომ ჩვენი საბჭოები ჯერ ისევ საორგანიზაციო პერიოდს განიცდიან, ეს ერთი; მეორე იმას, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო საკითხებს ჩვენი საბჭოები ჯერ კიდევ საკმაოდ ახლოს ვერ მიუდგნენ.

ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი პლენუმზე არ შეაქვთ განსახილველად. ავიღოთ მაგალითად, ქალაქის ბიუჯეტი; ეს რომ უმნიშვნელოვანესი საკითხია, ყველასათვის აშკარაა. ეს ხომ, ნამდვილად რომ ვსთქვათ, მთელი წლის საქმიანობის გეგმაა. მუშავდებოდა თუ არა ეს ძირითადი საკითხი საბჭოებში? ყოველთვის არა. უმეტეს წილად ქალაქის ბიუჯეტს მხოლოდ აღმასკომები განიხილავდნენ.

სექციების მუშაობა ცხოველდება. სექციები საბჭოების ყველა წევრების აქტიურ მუშაობაში ჩაბმის იარაღი ხდება. აქა-იქ (თბილისი, ბათომი, გორი და ჭიათურა) სექციების მუშაობაში ჩაბმულნი არიან საბჭოების არაწევრებიც.

სექციების მუშაობაში საბჭოების არაწევრთა ჩაბმა საუკეთესო საშუალებაა, რომ საბჭოების გარშემო მუშათა აქტივი შეიქმნას. ეს აქტივი იმ რეზერვად გადაიქცევა, რომლის საშუალებითაც ჩვენი საბჭოთა ორგანოები ძალ-ღონეს შეიძენენ, რათა სოციალისტური სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ახალ ახალი პირები ჩააბან. ეს არის საბჭოთა დემოკრატიის საფუძველი.

აქტივის შექმნა საბჭოების გარშემო—ეს მარტო საბჭოების საქმე კი არ არის. აქ საჭიროა ისეთი ორგანიზაციების უშუალო დახმარება, როგორიცაა პროფესიონალური კავშირები და სხვ. ამ დახმარების გარეშე საბჭოები ვერ განახორციელებენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.

საბჭოების კანდიდატები დღემდე არ არიან [illegible] მუშაობაში და ზედმეტია სერიოზული ლაპარაკი საბჭოების მასიურ მუშაობაში არა წევრთა ჩაბმაზე, თუ თვითონ პირველად ამ მუშაობაში ჩაბმული არ იქნებიან კანდიდატები ეს უკანასკნელნი საბჭოში მუშაობას უნდა აწარმოებდნენ საბჭოს წევრთან თანაბრათ.

დაწინაურების დარგში დღემდე მუშაობას ვაწარმოებთ მხოლოდ პროფესიონალური ხაზით. საბჭოების მიერ ბევრი მუშა-აქტივისტია დაწინაურებული? არც ერთი. ამ დარგში დღემდე არაფერი გაგვიკეთებია. დრო კი არის შეუდგეთ ამ ამოცანის განხორციელებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თეორიულ მსჯელობიდან ამ საკითხის შესახებ უკვე დროა გადავიდეთ პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

საჭიროა, რომ უახლოეს პერიოდისათვის ქალაქის საბჭოებმა დასაწინაურებლად წამოაყენონ მუშების განსაზღვრული რიცხვი და გაატარონ ცხოვრებაში ეს დაწინაურება.

სექციების მუშაობაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სექციების ბიურო ასრულებს სექციების სამუშაოს. ბიურო აწყობს სხდომებს, იხილავს წინადადებებს და სხვ. თვით სექციამ კი არაფერი იცის ამის შესახებ.

სექციები ამასთანავე არასაკმაოდ ამუშავებენ წინასწარ საკითხებს და თანამოხსენებებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. სექცია ძლიერ იშვიათად გამოდის თანამოხსენებით საბჭოს პლენუმის სხდომაზე.

საბჭოების და საბჭოს წევრთა ანგარიშგების დარგში ჩვენ ამჟამად ვსდგამთ პირველ ნაბიჯს, მაგრამ ყველა საბჭოებმა ეს პირველი ნაბიჯი უნდა გადასდგან უფრო მტკიცეთ და გაბედულად. ჩვენში საბჭოების ანგარიშგების საქმე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ერთ ერთ ძირითად მომენტს, რომლითაც საბჭოთა სისტემა განირჩევა საპარლამენტო სისტემისაგან, წარმოადგენს საბჭოს წევრის განუწყვეტელი კავშირი ამომრჩევლებთან და ის გარემოება, რომ ამომრჩევლებს უფლება აქვთ ყოველ წუთს გაიწვიონ საბჭოდან თავისი დეპუტატი. პარლამენტში დეპუტატს ირჩევენ რამდენიმე წლით, ვსთქვათ, ხუთი წლით. დეპუტატი სავსებით მოწყვეტილია თავის ამომრჩევლებს და უკანასკნელთ უფლება არა აქვთ გაიწვიონ ის პარლამენტიდან. ამის გამო ეს დეპუტატი, მუშათა დეპუტატიც კი, მაგალითად, ინგლისში, ამერიკაში, ხდება ჩინოვნიკი, ბურჟუაზიული პარლამენტარი. ის არ განიცდის თავის ამომრჩევლების მუდმივ გავლენას, ამომრჩევლებს უფლება არა აქვთ ვადამდე გაიწვიონ ის პარლამენტიდან. საბჭოთა სისტემა კი გულისხმობს დეპუტატის ორგანიულ, მუდმივ კავშირს თავის ამომრჩევლებთან. სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მომენტი. თუ საბჭოს დეპუტატები მუდმივად რეგულიარულად არ ჩაბარებენ ანგარიშს თავის ამომრჩევლებს, ცხადია, რომ ისინი დაკარგავენ ამ ამომრჩევლებთან ყოველგვარ კავშირს, ცხადია, რომ ვერ განიცდიან ამომრჩევლების მუდმივ ზეგავლენას და ცხადია ისიც, რომ ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ამომრჩეველს დეპუტატის გაწვევის და გაწვეულის მაგიერ სხვა დეპუტატის არჩევის შესახებ; დარჩება მხოლოდ ქაღალდზე, მხოლოდ ფორმალურ უფლებათ. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ უფლებას, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ ამომრჩევლებს, მივსცეთ რეალური სახე. თბილისში და ბათომში, მაგალითად, ადგილი ჰქონდა დეპუტატის გაწვევის შემთხვევას, მის მიერ ანგარიშის წარდგენის შემდეგ. ეს მეტად კარგი საქმეა და ამ მიმართულებით დანარჩენმა საბჭოებმაც უნდა გადადგან მტკიცე ნაბიჯები. დეპუტატმა რეგულიარულად უნდა ჩააბაროს ამომრჩევლებს ანგარიში როგორც თავის მუშაობის, ისე საბჭოს მუშაობის შედეგებზე.

სახელმწიფო მშენებლობის საქმეში საბჭოს წევრთა აქტიურად ჩაბმის დარგში ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდს წარმოადგენს საბჭოს წევრთა მიმაგრება დაწესებულებებზე და წარმოებებზე. ზოგიერთმა საბჭოებმა ამ მიმართულებით უკვე გადასდგეს პირველი ნაბიჯი. ძნელია ჯერ-ჯერობით იმის თქმა, თუ რა ნაყოფს გამოიღებს ეს ღონისძიება, მაგრამ თუ ანგარიშს გაუწევთ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ქალაქების გამოცდილებას, შეიძლება დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ამ დარგში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები, თუ. რასაკვირველია, ამხანაგები არ დაკმაყოფილდებიან მარტო ფორმალური მიმაგრებით, არამედ მოითხოვენ მიმაგრებულ ამხანაგებისაგან კონკრეტულ მუშაობას.

მიმაგრებულის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შესძლოს შეამჩნიოს ესა თუ ის ნაკლულოვანებანი და ნაკლულოვანებათა მიზეზები წარმოების, დაწესებულების მუშაობაში და სათანადო ორგანიზაციებში (სექცია, საბჭო, პრეზ.) დასვას საკითხი აღმოჩენილ ნაკლულოვანებათა მოსპობის შესახებ.

ჩვენი კავშირის სხვა დიდ ქალაქების მაგალითის მიხედვით, თბილისის საბჭომ ზოგიერთ დიდ წარმოებებში დაარსა ეგრედ წოდებული დეპუტატთა მაგიდები. დეპუტატთა მაგიდებს აქვს ლიტერატურა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების შესახებ (აგრეთვე კანონმდებლობის საკითხებზედაც), ქალაქის საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, ამ მაგიდებთან შესდგება ქალაქის საბჭოს წევრებისა და კანდიდატების მორიგეობა. დეპუტატთა მაგიდები ღებულობენ განცხადებებს მუშებისაგან, აწარმოებენ მოლაპარაკებას ამ განცხადებების შესახებ ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმთან და სხვ. საბჭოს პრეზიდიუმმა უნდა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ დეპუტატთა მაგიდების საშუალებით შემოსულ განცხადებებზე, შეკითხვებზე და წინადადებებზე პასუხი,—არა ბიუროკრატიული, არამედ ნამდვილი პასუხი,—გაცემულ იქნას უმოკლეს ვადაში. ასეთ პირობებში დეპუტატთა მაგიდები გადაიქცევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღათ, რომლის საშუალებით საბჭოებს ექნებათ ცოცხალი, ორგანიული უშუალო კავშირი მასებთან.

ქალაქის საბჭოების პლენუმებისა და სექციების ნორმალურ მუშაობას ხშირად ხელს უშლის ის გარემოება, რომ საბჭოს სხდომის დღეს ინიშნება აგრეთვე სხვა ორგანიზაციების სხდომებიც: პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციების, აგრეთვე სხვადასხვა თათბირები, რომლებსაც უნდა დაესწროს საბჭოს მუშაკთა მნიშვნელოვანი რიცხვი. ერთიან პარტიულ დღის მაგალითის მიხედვით უნდა შემოღებულ იქნას ერთიანი საბჭოთა დღე. თბილისში ეს უკვე არის პრაქტიკაში. იმ დღეს, რომელიც საბჭოთა დღედ არის გამოცხადებული, არავითარი ისეთი სხდომები და თათბირები არ უნდა დაინიშნოს, რომელნიც ხელს შეუშლიან საბჭოს სხდომის მუშაობას.

ამ დღეს (ერთ დღეს კვირაში) უნდა მუშაობდენ მხოლოდ საბჭოს პლენუმი, სექციები, კომისიები და საბჭოს სხვა მასიური ორგანიზაციები.

თუ ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოების გამოცოცხლების შესახებ, თუ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ საბჭოები ნამდვილად გადაიქცენ სახელმწიფოს მმართველობის მუშათა მასიურ ორგანოებად, ეს ნაწილობრივ შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ, მტკიცე მატერიალურ ბაზისზე. თუ ქალაქის საბჭოების მატერიალური ბაზისი განმტკიცებული არ იქნა, ფუჭი იქნება ყოველივე ლაპარაკი საბჭოების გამოცოცხლებაზე. ამას გვეუბნება ჩვენ პარტიულ და საბჭ. ორგანოების დადგენილებები.

საკავშირო კომპარტიის ცეკას ივლისის (1927) დადგენილება ქალაქის საბჭოების გამოცოცხლების შესახებ ერთხელ კიდევ ადასტურებს და ხაზს უსვამს ამ დებულებას. აი რა წინადადებას იძლევა ეს დადგენილება: „ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ნამდვილად გატარდეს ცხოვრებაში მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებული და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონში ყველაზე უფრო სრულად გამოხატული ის უფლებები ქალაქის საბჭოებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ქალაქის საბჭოების განმგებლობაში საქალაქო მნიშვნელობის წარმოებათა და კონებათა გადაცემა და საგუბერნიო ბიუჯეტებში ქალაქების ბიუჯეტების გამოყოფას". შემდეგ საკავშირო კომპარტიის ცეკა ავალებს საბჭოთა კავშირის ცაკის ფრაქციას დაამუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ცეკას „ძირითადი დებულებები ქალაქის საბჭოების მოწყობის შესახებ", რისთვისაც საფუძვლად აიღოს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მიღებული დებულება ქალაქის საბჭოების მუშაობის შესახებ.

უნდა გაფართოვდეს ქალაქის საბჭოების საბიუჯეტო უფლებები კონებრივი უფლებები, უფლება-მოვალეობები და შესაძლებლობები ქალაქის მეურნეობის (კომუნალური და სამრეწველო) მოწყობის დარგში, კულტურულ მშენებლობის დარგში. ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქალაქის ბიუჯეტების გარკვევით გამოყოფა და მათი განმტკიცება. ქალაქს უნდა ჰქონდეს თავის შემოსავლისა და გასავლის მტკიცე ნუსხა. ქალაქის საბჭოს განმგებლობაში უნდა გადაცემულ იქნას იმ წარმოებათა და დაწესებულებათა განსაზღვრული კონტინგენტი, რომლებიც იმყოფება ქალაქის ტერიტორიაზე, მთელი მათი შემოსავალ-გასავლით.

თათბირმა გამოარკვია, რომ ქალაქის საბჭოების მშენებლობის საქმეში ფართო საბჭოთა დემოკრატიის საფუძველზე, საორგანიზაციო—უფლებრივ ფარგლების გაფართოებაში, მატერიალურ ბაზისის გაფართოებაში, სოციალისტურ სახელმწიფოს მართველობის საქმეში აქტიურ მონაწილეობის მხრივ, ჩვენ უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ.

თათბირმა მიიღო მთელი რიგი წინადადებები საბჭოების პლენუმების მუშაობის, სექციების მუშაობის, დეპუტატებისა და ამომრჩევლების კავშირის, მასიური მუშაობის, საბჭოების მატერიალური ბაზისის, უფლებათა გაფართოების, აღმასრულებელ ორგანოების ორგანიზაციის საკითხების შესახებ.

ამ წინადადებებმა თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვონ იმ პროექტში „ქალაქის საბჭ. დებულების" შესახებ რომელიც წარედგინება საქართველოს ცაკ. მორიგ სესიას.

საბჭოების და კერძოდ ქალაქის საბჭოების მუშაობა რაც დრო გადის, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამას ხაზს უსვამს საკავშირო კომპარტიის 15 ყრილობის დადგენილებებიც.

თუ მენშევიზმიდან დაქანებული ტროცკისტული ოპოზიცია ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ თითქოს ხდება საბჭოების გადაგვარება, ცხოვრებამ ამტკიცა სრულიად წინააღმდეგი: ჩვენი საბჭოები არა თუ არ გადაგვარდენ, არამედ ხდებიან საიმედო იარაღად მთელ სახელმწიფო აპარატის გარდასაქმნელად.

მათიკაშვილი.

კურ ელემენტების გავლენისაგან რომლებიც თავის ინვენტარს (სას.-სამეურნეო მანქანები და სხვა) იყენებენ, როგორც საშუალებას ღარიბ გლეხობის დასამონავებლად; რისთვისაც როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან, ისე სახელმწიფო ორგანოებთან მოეწყოს გამქირავებელ პუნქტთა ფართე ქსელი, აღნიშნული პუნქტების დანიშნულება იქნება მანქანების გაქირავება შეღავათიან პირობებში ხელმოკლე მეურნეებზე აგრეთვე ხელის შეწყობა მიწების დამუშავების, მოსავლის მოწევის და სხვ. სამუშაოების საზოგადოებრივი წესით შესრულებისათვის.

ზ) ყოველმხრივ ხელი შეეწყოს კოლექტიურ მეურნეობებს და ხელმოკლე გლეხებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენის საქმეში და [illegible] ბული შეღავათები იქნეს შემოღებული კრედიტის მიღების, მანქანის ღირებულების გადახდის და სხვა ოპერაციების გასაადვილებლათ. კულაკური ელემენტებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების შეზღუდვის მიზნით, გამომუშავებულ იქნას სათანადო ნორმები, (მანქანების რეალიზაციის დროს შემცირდეს კულაკების დაკმაყოფილების შემთხვევები, არავითარი შეღავათი კულაკებს მანქანების ღირებულების გადახდის დროს და სხვ.)

თ) საჭიროდ იქნეს ცნობილი ღარიბთა ფონდის გაძლიერება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებით, აღნიშნულ ფონდებს მიეცეს საწარმოო-კოოპერატიული დანიშნულება (კოლექტიური მეურნეობანი), გადიდებულ იქნეს ამასთანავე ღარიბთა წილი, სხვა კრედიტებში.

ი) კოოპერატიულ სამუშაოზე ღარიბებს და საშუალო გლეხობის ყველაზე უფრო საიმედო ელემენტების წამოყენებასა და ამ ელემენტებისაგან სოციალისტ. კოოპერატორების ახალი ფართე კადრების შექმნასთან ერთად, გაძლიერებული იქნეს ბრძოლა კულაკურ ელემენტებთან, რომლებიც ცდილობენ პირველი საფეხურის კოოპერატიულ ორგანიზაციების დაპყრობას.

კ) მოწონებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირის შექმნა, როგორც ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამაერთიანებელი ცენტრის, როგორც ორგანოსი, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ სამომხმარებლო და შინამრეწველურ კოოპერაციასთან ერთად, განავითაროს კოოპერატიული საზოგადოებრიობა სოფლად და კოოპერატიულად შეკავშირების სოციალისტურ მეთოდებს შეაჩვიოს გლეხობის მრავალმილიონიანი მასები.

4. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი

ა) მოწონებულ იქნეს ცეკას 1926 წ 30 დეკემბრის თარიღით გამოტანილი დადგენილება კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის შედეგების შესახებ და დაევალოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების პარტიულ მუშაკებს, ხელი შეუწყონ კოლექტიური მეურნეობის მშენებლობას, განამტკიცონ საბჭოთა მეურნეობანი და აქციონ ისინი სოციალისტური ტიპის სამაგალითო, მსხვილ მეურნეობათ; ამავე დროს გაძლიერდეს დახმარება გლეხურ მეურნეობისადმი (გასაქირავებელი, აგრონომიული პუნქტების, სატრაქტორო კოლონების და სხ. მოწყობა საბჭოთა მეურნეობებში).

ბ) ყოველმხრივ ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენისა და ამ მანქანებით საერთოდ სარგებლობის მიზნით ღარიბ და საშუალო გლეხობის მიერ შექმნილ ამხანაგობების ქსელის გაფართოებას, მაგრამ ამასთანავე სასტიკი ბრძოლა იქნეს წარმოებული ცრუ ამხანაგობების (საერთოდ ცრუ კოოპერატივების) წინააღმდეგ, რომლებსაც კულაკური ელემენტები იყენებენ ყოველგვარ შეღავათების, კრედიტების და სხვა უკანონოთ მისაღებად.

5. მიწით სარგებლობა და მიწათ მოწყობა

ა) ყოველმხრივ ხელი შეეწყოს მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლების განმტკიცებას და მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ყოველგვარი ცდა (პირდაპირი და არაპირდაპირი) მიმართული მიწის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, როგორიცაა მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება და სხ რომელსაც ადგილი ჰქონდა კავკასიის და შუა აზიის ზოგიერთ რაიონებში.

ბ) იმ რაიონებში, სადაც მიწის იჯარით გაცემა ხელს უწყობს კულაკური ელემენტების ზრდას, თანდათან შემცირდეს იჯარით გასაცემ მიწების საერთო რიცხვი. საიჯარო ვადა შემცირდეს ერთი თესლბრუნვის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 6 წლისა.

იმ პირებს, რომლებიც მიუხედავათ სახელმწიფო და კოოპერაციის დახმარებისა, მაინც არ ამუშავებენ მიწებს თვითონ, ან თავისი ოჯახის წევრთა დახმარებით, არამედ ყოველწლიურად იჯარით აძლევენ მათ სხვას.—ასეთ პირებს სათემო და სარაიონო აღმასკომების დადგენილებით, შეეზღუდოს მიწის იჯარით გაცემის უფლება 3-დან 6 წლამდე ზედიზედ; აღნიშნული ვადის შემდეგ-კი, აეკრძალოს მიწით სარგებლობა და მიწა გადაეცეს საადგილ-მამულო საზოგადოებას.

სასტიკათ იქნეს დასჯილი, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, ყველა ვინც დაარღვევს მოიჯარადრობის კანონებს.

სახელმწიფო და საფონდო მიწები იჯარით მიეცეს, უმთავრესად, შრომის ტიპის მეურნეობათ და იჯარის ვადა განისაზღვროს 6 წლის პერიოდით, გამონაკლისი სახელმწიფო საფონდო მიწებისათვის, ცალკე რაიონებში, დასაშვებია მხოლოდ ცენტრალურ საადგილ-მამულო ორგანოების ნებართვით.

გ) ყოველმხრივ ხელი შეეწყოს მიწით სარგებლობის ისეთი ფორმების განვითარებას, რომელიც ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის და მის მოწყობისათვის კოოპერატიულ ნიადაგზე; შეზღუდული იქნეს მიწების გამოყოფა ინდივიდუალურ მეურნეობათა მოსაწყობათ, განსაკუთრებით იქ, სადაც ასეთი წესი ხელს უწყობს კულაკურ ელემენტების ზრდას.

დ) გლეხობის ღარიბეს და ხელმოკლე ფენების მიწათმოწყობა ჩატარდეს სახელმწიფოს ხარჯზე. მიწათმოწყობის ჩატარება მჭიდროთ იქნეს დაკავშირებული სხვა საორგანიზაციო-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებებთან. (აგრო-დახმარება, კრედიტი, მელიორაცია, მანქანების მიწოდება და სხვა). ყურადღება მიექცეს, რათა მიწათმოწყობის ჩატარების დროს გლეხთა ღარიბეს ფენების ინტერესები უზრუნველყოფილ იქნეს მიწების გამოყოფის დროსაც (მიწის ხარისხი, ნაკვეთის მდებარეობა და სხვ.).

ე) შემცირებული იქნეს ვადა, რომელიც მიღებულია გეგმით სამიწათ-მოწყობო სამუშაოების ჩასატარებლად.

ვ) მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის ძირითადი წესების საკავშირო მასშტაბით შემუშავება.

6. დაქირავებული შრომა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირი

ა) ყურადღება მიექცეს იმას, რომ სასოფლო - სამეურნეო მუშების და მუშა-ქალების მიმართ სათანადოთ ტარდებოდეს ცხოვრებაში შრომის კოდექსი კულაკური ტიპის მეურნეობებში და სასტიკ პასუხი მოეთხოვოს შრომის კოდექსის დამრღვევთ.

ბ) ყურადღება მიექცეს იმას, რომ სათანადოთ ტარდებოდეს ცხოვრებაში დროებითი წესები გლეხთა იმ მეურნეობისა, სადაც იყენებენ დამხმარე დაქირავებულ შრომას და სასტიკი პასუხი მოეთხოვოს ამ „დროებითი წესების" დამრღვევთ.

გ) გატარებული იქნეს ცხოვრებაში სასოფლო - სამეურნეო მუშებისა და - ქალების სოციალური დაზღვევა.

დ) საჭიროთ იქნეს ცნობილი სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კავშირის მუშაობის გაძლიერება იმ მოჯამაგირეთა ორგანიზაციულად შესაკავშირებლათ, რომლებიც დღემდე არ არიან შეკავშირებულნი, ამავე დროს სოფლის იმ ნახევრად კულაკური ელემენტების სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირში [illegible]ანათ, რომელთათვისაც შრომის დაქირავება წარმოადგენს არსებობის ძირითად წყაროს.

7. ხელმოკლე გლეხობის დაზღვევის კომიტეტები

ა) დაევალოს ცეკას რათა მიიღოს ზომები [illegible] მოსამზადებლათ, რომელიც ხელმოკლე გლეხობის [illegible]ლობისაგან დაზღვევის კანონის [illegible]არებლად საბჭოთა უახლოეს ხანზე.

ბ) ყოველმხრივ ხელი შეეწყოს გლეხთა თემების საზოგადოებების გაძლიერების მიზნით, რათა ასეთი საზოგადოება სინამდვილეში იქცეს გლეხობის და საშუალო ნაწილის მასიურ დახმარების ორგანიზაციათ და სამეურნეო ღონისძიებათა ისეთ ორგანოებად, რომელიც ხელს შეუწყობს ხელმოკლე გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ღარიბ გლეხობისათვის ინდივიდუალურ დახმარების გასაწარმოებულ მუშაობასთან ერთად მეტი ყურადღება მიექცეს ხელმოკლე ფენებისათვის სა[illegible] - კოლექტიური დახმარების [illegible].

8. საბჭოთა — კულტურული მუშაობა

ა) საბჭოების, როგორც მშრომელი გლეხობის მასების პროლეტ. ხელმძღვანელობის პოლიტიკური აღზრდის ცენტრების გამოცოცხლებისაკენ მიმართული [illegible] გაგრძელებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშუალო გლეხურ აქტივს და გაფართოვდეს მოჯამაგირე და ხელმოკლე გლეხობის მოზიდვა აქტივში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხ- და მოჯამაგირე-ქალთა (საბჭ - დელეგატ - ქალთა) მოზიდვას დაწინაურებას ხელმძღვანელობაზე საბჭოებში.

ბ) 1928 წ-ში, საბჭოების მომავალ გადარჩევებთან დაკავშირებით, უნდა დაიწყოს მუშაობის ფართე საანგარიშო კამპანია, არჩევნებში ჩაბმულ ღარიბ და საშუალო გლეხობის რიგება მეტი ფენები, უზრუნველ იქნას პარტიის ხელმძღვანელი საარჩევნო კამპანიის განმავლობა სასტიკი თვალყური [illegible] სიმკაცრით დაცულ იქნას ინსტრუქციით დაწესებული, სიებიდან კულაკური და არაპროლეტარული ელემენტების [illegible] ნორმა.

გ) დაევალოს სამუშაო საკითხი საბჭოების და სააადგილ - მამულო საზოგადოებების ურთიერთ დამოკიდებულებების შესახებ, მხოლოდ უზრუნველყოფილ იქნას საბჭოების ხელმძღვანელი როლი სააადგილო საზოგადოებებში (კრებების მიცემის უფლება ამომრჩეველთა სიიდან გარიცხ[illegible]).

დ) აუცილებლად იქნეს ზომები საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი ცხოვრებაში გადატარებისათვის, ყოველმხრივ შეეწყოს ამ საქმეში მოსახლეობის და საბჭოების ინიციატ[illegible].

გაძლიერდეს [illegible] და კერძოთ სასკოლო [illegible] ნაციონალურ რაიონებში, განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს ჩამორჩენილ რაიონებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო მუშათა, მოჯამაგირეთა გლეხობის მოზიდვას ყველა სკოლებში, რისთვისაც უნდა ღარიბი გლეხობის ბავშვთა განსაკუთრებული სასკოლო [illegible].

მიღებული იქნეს [illegible] ზომები ისეთი, რა ბავშვებს განსაკუთრებით [illegible], რომელნიც დაქირავებულ [illegible] აყვანილებს [illegible] ნამდვილი [illegible] შესაძლებლებში სწავლისათვის.

ე) აუცილებელი განსაკუთრებული ყურადღება ტექნიკური სკოლების, ყოველწლიური სახელოსნოების [illegible] და ისეთი ხელობის შესწავლაში, რომელიც საჭიროა სახურნეობაში.

ვ) გაძლიერდეს [illegible] სოფლის ინტელიგენციის [illegible] შექმნისა და არსებულ კვალიფიკაციის ამაღლებისა, მათგან სოფლის სოციალისტ[illegible] აქტიური და შეგნებულ [illegible] შექმნის მიზნით.

განსაკუთრებული [illegible] მიექცეს სოფლად კოოპერატივ[illegible]თა და [illegible] სამმართველო[illegible] ლების მომწყობ [illegible] კადრის შექმნას.

ზ) გაძლიერდეს [illegible] მანათლებელი [illegible], მეურნეობის [illegible] განსაკუთრებული ყურადღება სოფლის რადიო - და [illegible] და კინოების საქმის [illegible] საქმით[illegible]ხველოების ქსელის გაფართოებას და სხვ.

ზ) გაფართოებულ იქნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები და მიღებულ იქნას ზომები ახალგაზრდა მოჯამაგირეთა და ღარიბ ახალგაზრდა გლეხთა შემადგენლობის გადიდებისათვის ამ სკოლებში (სტიპენდიების რაოდენობის გადიდება, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ბავშვების საერთო საცხოვრებელი ზინებისათვის საჭირო ხარჯების გადიდება და სხ.)

თ) ყოველგვარი საშუალებით იქნეს ჩაბმული დემობილიზაცია ქმნილი წითელ არმიელები და წითელ ფლოტელები საბჭოთა და კულტურულ მშენებლობაში სოფლად, რისთვისაც მათი საზოგადოებრივი პოლიტიკური მომზადება წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში სათანადოთ უნდა გაუმჯობესდეს.

ი) ახალი ამოცანების განხორციელება სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში მოითხოვს, რომ პროფკავშირებმა ყოველმხრივ გააძლიერონ თავისი მონაწილეობა სოფლის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, აუცილებელია მნიშვნელოვნად გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საშეფო მუშაობა, თანასოფლელთა საზოგადოებების მუშაობა და აგრეთვე მნიშვნელოვნად გაფართოვდეს პროფკავშირების კულტმუშაობა სოფლად (რადიო, კინო, ბიბლიოთეკები), განსაკუთრებით პროფკავშირის წევრებს შორის, რომლებიც წლის უმეტესი დროის განმავლობაში დაკავშირებული არიან საგლეხო მეურნეობასთან. (სეზონური მომუშავენი, გარე სამუშაოზე გასულნი და სხ.)

9. პარტიულ-საორგანიზაციო საკითხები

ა) ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს საბჭოებსა და კოოპერატივებთან არსებული ღარიბთა ჯგუფები, ისე, რომ დროგამოშვებით იმართებოდეს ამ ჯგუფების კრებები სოფლად, თემსა და რაიონში მათი მუშაობის გამოცდილების ურთიერთშორის გაზიარების მიზნით.

ბ) პარტიულ კომიტეტებთან (საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებიდან ცეკამდე) დაარსდეს სოფლად მუშაობის განყოფილებები, რომლების თაოსნობითაც საჭიროების მიხედვით უნდა იმართებოდეს ღარიბთა ჯგუფების სამაზრო და საგუბერნიო კონფერენციები.

გ) მთელი ყურადღება მიექცეს უმთავრესად ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის იმ აქტივის მომზადებას და მოზიდვას პარტიაში, რომელიც იზრდება სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირში, ღარიბესთა ჯგუფებში, საბჭოების, კოოპერაციის, სადელეგატო კრებების და სხ. პრაქტიკულ მუშაობაში.

დ) ახალი პარტიული ძალებით გაძლიერდეს კოოპერატიული და საბჭოთა ორგანოები, რათა სოფლად მუშაობაში უზრუნველყოფილ იქნას პარტიული ხაზის სისწორით გატარება მათ მიერ.

პარტიული ცხოვრება

ლენინგრადის აქტივის კრება

ლენინგრადი, 24 დეკემბერი. შესდგა ლენინგრადის აქტივის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამ. კიროვის მოხსენება მე-15 პარტყრილობის შედეგების შესახებ. კრებას დაესწრო 9.000 კაცი. ერთხმადაა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც ყრილობის გადაწყვეტილებებს კრება სცნობს სავსებით და მთლიანად სწორად, როგორც მუშათა კლასის ინტერესების, ისე მისი ისტორიული ამოცანების თვალსაზრისით. აქტივი ფიქრობს, რომ პარტიას შეუძლია დააყენოს საკითხი პარტიიდან გამორიცხულ ზინოვიევ-კამენევის ჯგუფის ოპოზიციონერების პარტიის რიგებში უკანვე დაბრუნების შესახებ, თუ ისინი ნამდვილად პატიოსნად ბოლშევიკურად შეასრულებენ იმ პირობებს, რომლებსაც ყრილობის გადაწყვეტილებები შეიცავენ, ხოლო იმ ოპოზიციონერების მიმართ, რომელნიც ტროცკიზმის ერთგული დარჩენ, აქტივს საჭიროდ მიაჩნია კიდევ უფრო სასტიკი ბრძოლის წარმოება; ამ ოპოზიციონერების მიერ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მუშაობის განვითარების შემთხვევაში პარტიამ მათ წინააღმდეგ უნდა მიმართოს პროლეტარიული დიქტატურის განკარგულებაში არსებულ ყველა საჭირო თავდაცვითი ზომებს (ატს).

პარტიიდან გამორიცხვა

ტომსკი, 24 დეკემბერი. საოლქო საკონტროლო კომისიამ გამოააშკარავა ოპოზიციონერთა ჯგუფი, რომელიც აწარმოებდა არალეგალურ მუშაობას პარტიულებსა და უპარტიოებს შორის. პარტიული გამოძიების დროს ზოგიერთი ოპოზიციონერი დაჟინებით იცავდა ოპოზიციის შეხედულებებს.

5 კაცი გამორიცხულია პარტიიდან და სამს მიეცა გაფრთხილება (ატს).

გმობენ ტროცკისტულ პარტიას

ქუთაისის სამაზრო პარტკომში შემოსულია ყოფილ ოპოზიციონერების შემდეგი განცხადებები:

„ჩვენ, ქვემოთმოხსენებული ამხანაგები, ვეკუთვნოდით ს. კ. პ. (ბ) ოპოზიციას და ვაწარმოებდით ფრაქციულ აქტიურ მუშაობას ცეკას უმრავლესობის წინააღმდეგ.

გულწრფელად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი ანტი-პარტიული მუშაობა ბრძოლის ხასიათზე აყენებდა მესამე ძალას. ჩვენ უკვე ვგრძნობდით, რომ 7 ნოემბრის დემონსტრაციამ გამოააშკარავა ოპოზიციის ანტი-პარტიული და ანტი-საბჭოთა საქმიანობა.

მიუხედავად ოპოზიციის მრავალ დაპირებისა, ის მაინც არ მიდის პარტიასთან შეთანხმებაზე და ამრიგად ემზადება მეორე პარტიის შექმნისათვის. ეს კი ლენინურ პარტიაში ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია. ვცნობთ რა ოპოზიციის ყველა ნაბიჯებს პარტიისათვის დამღუპველად, ჩვენ ოპოზიციასთან ვსწყვეტთ როგორც იდეოლოგიურ, აგრეთვე ორგანიზაციულ კავშირს და სავსებით ვემორჩილებით პარტიულ მასების ნებისყოფის გამომხატველ ლენინურ მე-15 პარტ-ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს.

ჩვენ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, ენერგიას და ცოდნას მოვანდომებთ პარტიის მთლიანობას, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და სოციალიზმის აღმშენებლობის საქმის გაფართოებას. ამასთანავე დავძენთ, რომ სრულ შეცდომათ მიგვაჩნია „83" განცხადება. ვხსნით ამ უკანასკნელზე ჩვენ ხელმოწერას.

სამსონ ისიდორესძე გოგოლაშვილი, ვარლამ მიმინოშვილი, ევგრაფი ზოხიაშვილი, სევერიანე შავგულიძე, სამსონ მერკვილაძე, პიმენ გოგოლაშვილი, გიორგი სანებლიძე, მიხეილ ილარიონის ძე გელოვანი, სარდიონ ზოსიმეს ძე ფირცხალავა.

მე ვიზიარებდი ზოგიერთ ოპოზიციონურ შეხედულებებს.

მე პირადათ ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ვაწარმოებდი ფრაქციულ მუშაობას და მონაწილეობას ვიღებდი არალეგალურ კრებებზე.

მე მხოლოდ თავი შევიკავე ცეკას თეზისების მიღების დროს და წინააღმდეგ მივეცი ხმა ქალაქის აქტივის კრებაზე ამხ. გეხალიას მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციას. სხვა მე არაფერი ჩამიდენია პარტიის წინაშე ისეთი, რაც კომპარტიის წესდებას არღვევდა.

მე ვაცხადებ, რომ მე-15 პარტყრილობის ყველა დადგენილებები ჩემთვის სავალდებულოა და, თუ ჩემი მოვალეობა ამ მხრივ ვერ შევასრულე, გთხოვთ ჩემს წინააღმდეგ მიიღოთ ყოველგვარი ზომები. ამასთანავე ვაცხადებ, რომ ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს ტროცკისტულ ოპოზიციასთან.

კლ. სულავა.

„ვაცხადებ, რომ მე 1927 წლის 14 ნოემბრიდან სრულიად ჩამოვცილდი ოპოზიციას როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად ვფიქრობ, რომ ჩემს გულწრფელ განცხადებაში ამხანაგებს, პრეზიდიუმის წევრებს, ეჭვი არ შეეპარებათ და ვიქნები ისეთივე პარტ. ნდობით აღჭურვილი, როგორც კომუნისტურ პარტიის ყველა წევრი".

პლატონ ქუთათელაძე.

მე როგორც კომუნისტი ვემორჩილები და ვიზიარებ მე-15 ყრილობის ყველა დადგენილებებს. რაც შეცდომები ჩავიდინე ვცდები გამოვასწორო. ამასთან აღვნიშნავ, რომ მე არავითარი ფრაქციული მუშაობა არ მიწარმოებია და არც მცოდნია ბიუროს არსებობა. არც მომავალში ვაწარმოებ ფრაქციულ მუშაობას, ვინაიდან იგი დაუშვებელია, თანახმად პარტიის წესდებისა.

მართა შარაბიძე.

ვიზიარებ რა საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთხუთმეტე ყრილობის დადგენილებებს, დღეიდან როგორც ორგანიზაციულ, ისე იდეურ კავშირს ვწყვეტ ოპოზიციასთან. ვაცხადებ გულწრფელად, რომ მეთხუთმეტე პარტ-ყრილობის გადაწყვეტილებებს და ცეკას დირექტივებს სავსებით და უცვლელად გავატარებ ცხოვრებაში, როგორც ლენინური კომპარტიის წევრი.

ვ. გურულიშვილი.

ჩემი განმარტება

ვინაიდან ზოგიერთ ამხანაგებს ეჭვი ეპარება, რომ მე ვარ ოპოზიციონერი, ვაცხადებ, რომ არც ვყოფილვარ და არც ვარ ოპოზიციონერი. მე ვემორჩილები პარტიის ყველა დადგენილებებს და არ ვიცი, სად ან რით მიეცი ვისმე საბუთი ჩემი ოპოზიციონერათ გამოცხადებისა.

კირილე ფიფჩიაძე.

ჩვენი პასუხი ოპოზიციას

(მუშკოოპი)

ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას ჩვენ ვუპასუხებთ ლენინის რიგების გამაგრებით და ლენინის პარტიის ხაზის განმტკიცებით.

ოქტომბრის გაწვევაზე პარტიაში შესასვლელად შემოიტანა განცხადება რვა ამხანაგმა. კომუჯრედმა საერთო კრებაზე ეს ამხანაგები მიიღო პარტიაში. მათ შორის არიან შემდეგი ამხანაგები: რძ. ქარხ. მუშები გოქაძე, ალამამიავი, გასპაროვი, გოცირიძე, ჯალიაშვილი, მახალდიანი (მუშა დურგალი), კილურაძე, სამიაშვილი (ნოქარი მეჭურჭლე).

ასე ვამაგრებთ ლენინის რიგებს.

ა. სეხნიაშვილი.

კოლექტიურ ხელშეკრულების განხილვა

ცვლილებები შეიტანეს

თბილისის წყალსადენის სამმართველოს და მის სახელოსნოს მუშა - მოსამსახურეებმა განიხილეს კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც დაესწრო კომუნალურ კავშირიდან ამხ. მარტიაშვილი. დიდი ხნის მსჯელობის და აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ კოლხელშეკრულებაში შეიტანეს შემდეგი ახალი მუხლები: 1) ხელფასის 5 პროცენტით გადიდება ჩამორჩენილ მუშებზე, 2) მუშა - მოსამსახურეების თავისი შექმნილ „პროდუქტებით" დაკმაყოფილება, რაც გამოიხატება წყლის ფულის გაორკეცებაში. თუ დღემდე უცოლო მუშა იღებდა წყლის ფულს 30 კაპიკს, და ცოლიანი კი 1 მან. 25 კაპ. დღეს ეს თანხა გაორკეცებულია, 3) დათხოვნილ მუშას მიუხედავათ ადმინისტრაციის გაფრთხილებისა, — მიეცემა ნახევარი თვის ჯამაგირი, 4) ყველა მუშა მოსამსახურეს, რომლებიც მუშაობენ რვა საათს, მიეცემათ ერთი თვის შვებულება.

გარდა ამისა, მუშა - მოსამსახურეებმა მოითხოვეს, რათა თანაბრად იქნეს განაწილებული ხელფასი, და ერთი და იგივე სამუშაო არ ფასდებოდეს სხვადასხვა ფასებში, რაც იწვევს ხელფასის სიჭრელეს.

ხილდა.

განიხილეთ და დაამტკიცეთ
თუთუნის ქარხნებში

პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თამბაქოს ქარხნებში ჩატარდა მუშების მასიური კრებები, სადაც განხილულ იქნა ახალი კოლხელშეკრულების პროექტი. მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კოლხელშეკრულების პროექტის განხილვაში. მეორე თამბაქოს ქარხნის მუშებმა უკვე განიხილეს კოლხელშეკრულების პროექტი, რომლის დროსაც მუშები უმთავრესად აღნიშნავდენ ზოგიერთ მუშების ხელფასის ჩამორჩენილობის და მოითხოვდენ ამ ნაკლის გამოსწორებას.

ახალი კოლხელშეკრულების პროექტის მიხედვით, მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ახალი სატარიფო ცხრილით თამბაქოს წარმოებებში მუშების ხელფასი მომატებულია 5 პროცენტით. თუ მუშა პირველ თანრიგით ძველი ხელშეკრულებით ღებულობდა 19 მანეთს, ეხლა იღებს 19 მ. 50 კაპ.

მუშები მიუთითებდენ აგრეთვე სპეცტანსაცმლის უვარგისობაზე, მოითხოვდენ მანქანების წმენდისათვის შეტანილ [illegible] ქანების წმენდისათვის გასამრჯელოს მიცემას და სხვა. ყველა ეს მოთხოვნილებანი შეტანილ იქნა ახალ კოლხელშეკრულების პროექტში.

თამბაქოს წარმოებებში

თამბაქოს წარმოებებში ამჟამად მიმდინარეობს კოლხელშეკრულების გადასინჯვის კამპანია. მუშების მასიურ კრებებზე კეთდება [illegible]ბის შესახებ. მუშები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ახალი კოლხელშეკრულების პროექტის განხილვაში და შეაქვთ ახალ-ახალი მუხლები. ამჟამად განიხილება თამბაქოს და სხვა სახელმწიფო წარმოებებში შეტანილია ახალი მუხლები, რომლებიც საგრძნობლად აუმჯობესებს მუშების ნივთიერ მდგომარეობას. ახალ კოლხელშეკრულების პროექტში შეტანილია მუხლი, რომლითაც მუშას ავადმყოფობის დროს ოთხი თვის განმავლობაში ენახება სამსახური.

გარდა ამისა ხელშეკრულებაში შეტანილი მუხლი, რომლის ძალით რაციონალიზაციის გამო შტატ-გარეთ დარჩენილ მუშა-მოსამსახურეს მიეცემათ ერთი თვის გასასვლელი დახმარება.

„ტელასი"

ტელასის მუშა - მოსამსახურეებს ახალი სატარიფო ცხრილით ხელფასი გაუდიდდათ რვა პროცენტით.

სოფლმშენში 16 დეკემბერს, მოეწყო მუშების მასიური კრება, რომელმაც განიხილა კოლხელშეკრულების ახალი პროექტი. მუშებმა კოლხელშეკრულების ახალ პროექტს დაუმატეს ახალი მუხლები, როგორიცაა არის ფეხსაცმელების მიცემა, ჯამაგირის მომატება 6 პროცენტით და სხვა.

ჯ.

ყრილობები და თათბირები

საქართველოს ექიმთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა და კბილის ექიმთა მე-6 ყრილობა.

ყრილობა მოკლე მისალმებელ სიტყვით გახსნა მედსანშრომის კავშირის ც. გ. თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯიჯაძემ. პრეზიდიუმის, სამდივნოს არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა შეუდგა მუშაობას.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ ვრცელი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჯიჯაძე. მომხსენებელმა ყრილობას გააცნო მედსანშრომის კავშირის მდგომარეობა, აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში კავშირს დაეტყო დიდი რიცხობრივი ზრდა; კავშირის წევრთა რიცხვმა გაიზარდა 10.670 კაცამდე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეს და მოჰყავს ცნობები. საიდანაც სჩანს, რომ ამჟამად საქართველოში მუშაობს 1134 ექიმი, უმუშევარია მარტო 84 ექიმი, რაც ძალიან მცირე პროცენტათ უნდა ჩაითვალოს. კბილის ექიმთა რიცხვი მთელ რესპუბლიკაში უდრის 224 კაცს, მათ შორის უმუშევარია 65. სულ კი უმუშევართა რიცხვი აღწევს 1600-მდე.

საექიმო სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კლ. ცომაია, რომელმაც დაახასიათა სექციის ბიუროს საქმიანობის ყველა დარგები.

თათბირი ნედლეულობის დამზადების შესახებ

უკანასკნელი სხდომა

თათბირის მუშაობა 24 დეკემბერს გადატანილი იქნა კომისიებში. კომისიებმა დაამუშავეს ყველა მოხსენებები და ამ მოხსენებათა ირგვლივ გამოიმუშავეს სათანადო ღონისძიებები.

გუშინ საღამოს ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის შენობაში შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა. კომისიების მიერ გამოქვეყნებულ იქნა შემუშავებულ რეზოლიუციების ის პუნქტები, რომლებიც კომისიის წევრთა შორის იწვევდენ აზრთა სხვადასხვაობას. აღნიშნულ პუნქტების ირგვლივ გაიმართა კამათი, რის შემდეგ ამ პუნქტებში შეტანილი იქნა ცვლილებები. რეზოლიუციების საბოლოო რედაქცია თათბირის დადგენილებით დაევალა ამ.-კავკ. სახალხო საგეგმო კომისიას.

რეზოლიუციების განხილვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მდივნების თათბირი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ამიერ-კავკ. თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების ბინაზე გაიხსნა ა.-კ. რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და დიდი სამაზრო ორგანიზაციების თავდაცვა - ავიაქიმის პასუხისმგებელ მდივნების თათბირი.

თათბირი გახსნა საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ამხ. ხ. ეგიზოვმა, რომლის შესავალ სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან. 2) მასიური მუშაობა, 3) მოსახლეობის გასამხედროება; 4) სექციების მუშაობა, 5) საფინანსო საკითხები, 6) საორგანიზაციო საკითხები. შემდეგ მოსმენილ იქნა მთიანი ყარაბახის წარმომადგენლის ამხ. ახუმიანის მოხსენება. იგი აღნიშნავს, რომ მთიანი ყარაბახის გლეხობა ძლიერ დაინტერესებულია საზოგადოების მუშაობით. ორგანიზაციის მუშაობა გამოცოცხლდა „თავდაცვის კვირეულის" შემდეგ. ამჟამად ყარაბახში ითვლება 40 უჯრედი. რომელიც აერთიანებს 2.957 წევრს. ქ. სტეპანაკერტში მოწყობილია ტირი, შემდგარი [illegible] აღჭურვილი, ჩამოყალიბებულია სასროლო, პირველი დახმარების და კორესპონდენტთა წრეები. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მუშაობის წარმოებას ხელს უშლის სუსტი კავშირი ადგილებთან და სათანადო ლიტერატურის უქონლობა.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა თბილისის მეორე რაიონულ საბჭოს მოხსენება. მომხსენებელი ამხ. კრიშტაფოვიჩი ამბობს, რომ ორგანიზაციას დაეტყო ზრდა და გამოცოცხლება „თავდაცვის კვირეულის" ჩატარების შემდეგ. რაიონში არსებობს 64 უჯრედი 4.470 წევრით. ჩატარებულია დიდი მუშაობა თავდაცვის დარგში. მომზადებულია ავიაქიმრაზმების 120 მეთაური. არსებობს 4 პირველი დახმარების წრე. მოწყობილია 15 სამხედრო კუთხე. არსებობენ სასროლო, საავიაციო, ქიმიური და სხვ. სექციები. მუშაობაში ჩაბმულია მრავალი თადარიგის მეთაური, რაც უნდა ჩაითვალოს საბჭოთა მიღწევად.

მოხსენებების შემდეგ მომხსენებლებს მიეცა შეკითხვები.

ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების დაარსება

კვირას, 25 დეკემბერს, შესდგა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების „ოზეტ"-ის თბილისის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო 160 კაცი. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ პიტოევი, მელიცევი, კოკიელოვი, ბენიაშვილი და ლინეცკი.

საზ-ბის საინიციატივო ბიუროს სახელით საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს ამხ. მარკმანმა და ბენიაშვილმა. გამოირკვა, რომ საზოგადოებაში ჩაწერილია 103 კაცი, საწევრო ანარიცხები შეგროვილია 101 მანეთის რაოდენობით; გასაღებულია „ოზეტი"-ს ლატარიის 600 ბილეთი, მოსკოვიდან მიღებულია კიდევ 1000 ბილეთი. მოთხოვნილება ბილეთებზე იზრდება.

მოხსენების შემდეგ განხილულ იქნა წესდება. შემდეგ მოხდა არჩევნები „ოზეტი"-ს გამგეობაში არჩეული არიან: ბენიაშვილი, მარკმანი, კოკიელოვი, მელიცევი, ლინეცკი, მალიხოვი, ეგისკელოვი; ზაკტრეგერი; ფირბერგი ცალკინდი და გარბატოვი.

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: ზონენშვილი, ხოდეში და იზრაილი. გამგეობაში საპატიო წევრებად არჩეული არიან: ამხ. კალინინი, ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხაკახიანი, შ. ელიავა, ლ. ქართველიშვილი, შამია ორახელაშვილი; ი. ვარძიელი; ა. გეგეჭკორი და გ. კუპშიძე.

დასასრულ კრებამ მოისმინა ამხ. მარკმანის საინფორმაციო ცნობა ებრაელთა დარბევის შესახებ რუმინეთში. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ოზეტი"-ს თბილისის ორგანიზაციის წევრები აღშფოთებული არიან რუმინეთის ხელისუფლების ძალადობით ებრაელთა მოსახლეობაზე. კრება აღნიშნავს რომ პოგრომები კაპიტალისტურ წესწყობილების შედეგია, მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა, ნამდვილი საწინდარი ხალხთა ძმური თანამშრომლობისა, რასაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირში.

ძირს ბურჟუაზია! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას"!

საყურადღებო მოვლენა მეცნიერების დარგში

ჩვენს გაზეთში მოთავსებულმა ცნობამ, რომ ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის მსახურის ბავშვმა გარედ გასვლის დროს დაიგდო გველის მაგვარი ცხოველი, დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში. მკვდარი გველისმაგვარი ცხოველი ამჟამად ჩადებულია ფორმალინში და დღეს გადაეცემა ზოოლოგებს შესასწავლად.

განზრახულია ამ ცხოველის რენტგენის სურათის გადაღება, რითაც ადვილი გამოსაცნობი გახდება, თუ რა ჯიშის, ან წარმოშობისაა იგი.

საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების ზოოლოგმა როსტამბეკოვმა, აღნიშნული მოვლენის შესახებ გამოსთქვა აზრი, რომ გველი, რა ჯიშისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია დიდხანს დაჰყოს ადამიანის კუჭში. გველის ხორცი, ძალიან ადვილად მოსანელებელია. კუჭში ის არაფრით არაა საფრთხილო. საშიშია მარტო გველის ძვალი, რომელსაც შეუძლია გასჭრას კუჭის ან ნაწლავის გარსი.

გარდა ამისა, როსტამბეგოვის გადმოცემით, არც ერთ ხერხემლიან ცხოველს, რომელსაც წარმოადგენს გველი არ შეუძლია მოინელოს კუჭის მიერ გამოყოფილი სიმჟავეები. ამგვარად, მისი აზრით ზემოხსენებული შემთხვევა უნდა ჩაითვალოს იშვიათ და საყურადღებო მოვლენათ, რაც საჭიროთ ხდის მის საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას.

ეკონომიურ საბჭოში

„ბალბოსტანკავშირის" ლიკვიდაცია

„ბალბოსტანკავშირის" ლიკვიდაცია დამთავრებულად ჩაითვალა და სალიკვიდაციო კომისია გაუქმებულ იქნა.

ტომატის ქარხნის აგება დუშეთის მაზრაში

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო პირველ რიგში აგებულ იქნეს ტომატის ქარხანა დუშეთის მაზრაში. ს. მ. უ. საბჭოს წინადადება მიეცა სასწრაფოდ წარმოადგინოს ეკონომიურ საბჭოში (საგეგმო კომისიის მეშვეობით) ქარხნის პროექტი და ფინანსიური ხარჯთაღრიცხვა.

ხე-ტყის მასალის შემოზიდვის გეგმა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი გეგმა ხე-ტყის მასალის შემოზიდვისა 1927-28 წ. შემოსაზიდი მასალის რაოდენობა გეგმით განსაზღვრულია: საშენი მასალა 1.200.000 კუბ. ფ., მუხის ბოძი (მაღაროსათვის) 250.000 ცალი.

ხე-ტყის მასალის შემოზიდვის გეგმის შესრულება დაეკისრა ტყის მრეწველობის ტრესტს, რომელსაც დაევალა მისცეს საზ. „საშენს" 400 ვაგონამდე ხე-ტყის მასალა. იმ ფასებში რაც საკავშირო ვაჭრობის სახკომის მიერ იქნება დაწესებული.

გარდა ამისა ეკონომიურ საბჭომ დაადგინა ნება მიეცეს „საბინაო კავშირს" და „თბილისის ვაჭრობას" დამოუკიდებლად შემოზიდონ (გეგმის გარეშე) ხე-ტყის მასალა, თვითეულმა არა უმეტეს ას-ასი ვაგონისა.

თბილისის შინამრეწველთა შორის

(მე-4 საქალაქო კონფერენციის გამო)

საბჭოთა აღმშენებლობაში წვრილ შინამრეწველობას უკავია საპატიო ადგილი. იგი შესამჩნევად ეხმარება მსხვილ მრეწველობას. მაგალითად: სახელმწიფო საგეგმო კომისიის და ც. ს. სამ. ცნობებით საქართველოში 1926—27 წლის განმავლობაში შინამრეწველობას შეუქმნია საერთო პროდუქციის 36 პროც.; სახ. მრეწველობას კი 54 პროც. აქედან ცხადია თუ რატომ აქცევს ჩვენი პარტია და ხელისუფლება ასეთ დიდ ყურადღებას ხელოსნებს, რატომ ცდილობს შინამრეწველობის მოწესრიგებას, მათ განთავისუფლებას კერძო პირებისაგან და ჩარჩებისაგან, კოოპერატიულათ ჩამოყალიბებას და ხელოსნებისათვის მისაღებ მარტივ ორგანიზაციების შექმნას.

არსებობს მაგალითად შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოება თბილისში, რომელიც არ ჩამორჩება სხვა საზოგადოებებს. საანგარიშო წლის განმავლობაში ამ საზოგადოების გამგეობის მუშაობა ჩატარდა ხუთი უმთავრესი მიმართულებით. 1. საორგანიზაციო, 2. წევრთა იურიდიული დახმარება, 3. საექიმო და ფულადი დახმარება, 4. კულტ-განათლების დარგში მუშაობა და 5. კოოპერატიული მუშაობა.

საზოგადოების წევრთა ახალი აღრიცხვა და წმენდა დაიწყო ამ წლის მარტის პირველიდან და გაგრძელდა სამ თვეზე მეტი. წმენდის შედეგი გვაძლევს შემდეგ სურათს:

საზოგადოებიდან გაწმენდილია სპეკულაციისათვის და სხვა მიზეზებით 133 წევრი, არ გამოცხადდენ აღრიცხვაზე და მექანიკურად გარიცხული იქნა 1343 წევრი, უკანასკნელნი წარმოადგენდენ კულაკურ ელემენტს.

საზოგადოებამ თავის წევრებს მისცა იურიდიული დარიგება სადავო საქმეებზე 218 კაცს, საამხანაგო ხელშეკრულებაზე 181 კ., საბინაო საქმეზე—167 კ. საგადასახადოზე—580 კაცს და სხ.

საექიმო დახმარება აღმოუჩინა 3.536 წევრს, ფულადი დახმარება 535 წევრს. საზოგადოების წევრთა რიცხვი ა. წ. პირველ ოქტომბრისათვის შეადგენდა 2.660 კაცს. მათში ქალების რიცხვი უდრის 375 კაცს.

გამოკვლეულია შეგირდთა მდგომარეობა. დათვალიერებულია 735 კერძო სახელოსნო და აღრიცხვაზე აყვანილია 246 შეგირდი, რომელთა უმრავლესობას არ ჰქონდა დადებული შრომის ხელშეკრულება და არც დაზღვეული იყო. საზოგადოების სტატისტიკურ განყოფილების ცნობებით ხელოსნებთან ირიცხებოდენ 549 შეგირდი 14—23 წლამდე, რაც ხელოსანთა რიცხვთან შედარებით შეადგენდა მეტად მცირე პროცენტს.

ეს იმით აიხსნება, რომ ხელოსნებს ეშინიათ შეგირდების აყვანა არსებულ ტარიფის მიხედვით, და სოცდაზღვევის გამო. მიმდინარე წელს იყო შემთხვევები, როდესაც ხელოსნები არღვევდენ თავის მოვალეობას, ამუშავებდენ შეგირდებს დაწესებულ დროზე მეტს. ზოგჯერ შეგირდები უარს ამბობენ ზედმეტ მუშაობაზე და დაწესებულ დროის შემდეგ მიდიოდენ სახლში. ამ ნიადაგზე ხელოსნები ითხოვდენ შეგირდებს. საჭიროა მუდმივი თვალყურის დევნება, რათა შეგირდთა და ოსტატთა ურთიერთობა იყოს სწორი და ნორმალური. ყველა ის შეღავათები, რომელთაც კანონი ანიჭებს ხელოსნებს, აუცილებლივ დაცულ უნდა იქნეს, რადგან ეს გააძლიერებს შეგირდთა რიცხვს და დაიცავს შეგირდებს ზედმეტ ექსპლოატაციისაგან.

შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობას თავის წევრთა შორის. ამ მხრივ მას მრავალი მიღწევები აქვს.

საზოგადოების წევრთა შორის ქალები ყველაზე ჩამორჩენილი არიან კულტურულათ და პოლიტიკურათ. არც ერთი ქალი არ არის ამხანაგობის გამგეობის წევრთა შორის, კლუბის გამგეობაში, თბილისის საბჭოში, კომისიებში, კოოპერაციაში და სხვა.

ასეთი მდგომარეობა აიხსნება ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ გამგეობის ზოგიერთი წევრები უარყოფითად უყურებდენ ქალთა უფლებებს. შინამრეწველთა კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა ხელი შეუწყოს ქალთა აღზრდა-განვითარებას, პირველ ყოვლისა წარმოებითი დარგში, რისთვისაც დაარსებულია ჭრა-კერვის წრე, ხელ-საქმის წრე და თანდათანობითი ხდება მათი ჩაბმა კლუბის მუშაობაში, კლუბის გამგეობაში კომისიებში, მუშა კორესპონდენტთა წრეში და სხ.

გამგეობა ზრუნავდა აგრეთვე ხელოსანთა შვილების სასკოლო განათლებისათვის. ყველა სასწავლებლებში ხელოსანთა შვილებს ღებულობდენ პროფკავშირის წევრების შვილებთან თანაბრად. ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის საბუღალტერო კურსებზე მიმდინარე წლის განმავლობაში სწავლობდა 32 ახალგაზრდა, მათში კურსები დაამთავრა 4 კაცმა, დანარჩენები კი განაგრძობენ მეცადინეობას. მუშკოოპის წევრებათ ერთი წლის განმავლობაში ჩაეწერა 600 ხელოსანი, რაც შეადგენს შინა-მრეწველთა საერთო რიცხვის 30 პროც.

ასეთია თბილისის შინამრეწველთა ორგანიზაციის მიღწევები. თბილისის შინამრეწველთა მე-4 საქალაქო კონფერენცია, რომელიც დღეს გაიხსნება, შეაფასებს გამგეობის მუშაობას და ახალ სამოქმედო გზას დაუსახავს მას.

ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამოიწვია პურის ნაკლებობა

უკანასკნელ დღეებში ამიერ-კავკასიის პურის ბაზარზე პურის ნაკლებობა იყო.

როგორც გამოირკვა, საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე ადგილი ჰქონდა თოვლის ნამქერებს, რამაც გამოიწვია შეფერხება მატარებლების მოძრაობაში. ამან თავის მხრივ შეაფერხა ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნილ პურის გადაზიდვა რკინის გზებით.

ეხლა გზები უკვე გაწმენდილია თოვლისაგან. ამიერ-კავკასიისათვის დანიშნულ პურის გადაზიდვაში შემდგომ დაყოვნების თავიდან ასაცილებლად, გზათა სახალხო კომისარიატმა დეპეშით წინადადება მისცა კავშირის ყველა გზებს დაუყოვნებლივ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ შეუფერხებლივ იგზავნებოდეს ამიერ-კავკასიაში პურის ტვირთები.

სოფლის მეურნეობის გადახალისება

მიწადმოქ. სახალხო კომისარიატმა შეადგინა სოფლის მეურნეობის გადახალისების გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობაში ახალი კოლექტივების მოწყობა და არსებულ კოლექტივების მუშაობის გაფართოება.

ამჟამად საქართველოში ითვლება 7 სასოფლო-სამეურნეო კომუნა, 20 სამანქანო ამხ-ბა და 48 ამხანაგობა, რომელიც საერთო ძალღონით ეწევა მიწის დამუშავებას. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა პირველ რიგში ჩაატაროს კოლექტიურ მეურნეობათა მიწების გამოკვლევა და მოწყობა. ამასთანავე მიწსახკომმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს და კომუნა-არტელებს შეღავათიან ფასებში მიაწოდოს სამშენებლო მასალა და გაუწიოს ყოველგვარი დახმარება. სოფლის კოლექტიური მეურნეობები მოეწყობა ღარიბეს გლეხებისაგან. ასეთ კოლექტივებს მიეცემათ გრძელვადიანი სესხი. გაეწევა აგრონომიული დახმარება, დაურიგდებათ თესლეული და სხ.

მიწადმოქმედების სახ. კომისართა თათბირი

1928 წლის 28 თებერვალს ხარკოვში შესდგება საბჭოთა რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახალხო კომისართა თათბირი. საქართ. მიწად.მოქ. სახ. კომისარიატმა თავის მხრივ წინადადება შეიტანა თათბირის დღის წესრიგში, დამატებით დასმული იქნეს შემდეგი საკითხები: საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა სოფლის მეურნეობის გადახალისებასთან დაკავშირებით, მიწადმოწყობის საქმის გასაფართოებლად სახელმწიფო სახსრების გადიდება, ტყის განახლება და სატყეო მეურნეობის ორგანიზაცია მთიან რაიონებში.

ტელეფონის ახალი ქსელი

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში მიღებული ცნობებით, ამ დღეებში ბათომში მუშაობა დაიწყო ტელეფონის ახალმა სისტემამ. საჰაერო ხაზი შეცვლილია მიწის-ქვეშა კაბელით. კაბელი დაწყობილია 4 ვერსის მანძილზე. ამჟამად ტელეფონის დიდი ნაწილი გადაყვანილია კაბელზე. ჯერ-ჯერობით ქსელი აკმაყოფილებს 850 აბონენტს.

გურიის ნავთი

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში მიღებულია ცნობები გურიის ნავთიან ადგილებში წარმოებულ საგამოკვლევო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

ცნობებში აღნიშნულია, რომ პირველი ჭაბურღილის 200 საჟენის სიღრმეზე ამოღების შემდეგ დაწყებული იქნა ჭაბურღილის აცემენტება. ამ ხუთი დღის წინად ეს აცემენტება დასრულდა და ამჟამად ჭაბურღილი სავსებით მზადაა იმისთვის, რომ შემდეგი მუშაობა გაგრძელდეს.

ჭაბურღილის სამუშაოებზე ამჟამად სწარმოებს მილების დამოკლება და მისი შესაფერი რეკონსტრუქცია. ჭაბურღილის ამოღება განახლებულ იქნება უახლოეს ხანში.

შირაქის ნავთი

გუშინ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში შესდგა ტექნიკური თათბირი შირაქის ნავთიან ადგილებში მიმდინარე სამუშაოების შესახებ. თათბირს დაესწრენ იტალია-ბელგიის საკონცესიო საზოგადოების დირექტორი ა. როდრიგეცი, სამუშაოთა მწარმოებელი ინჟ. გიჭამურელი, რესპუბლიკის სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. კანდელაკი, ინჟ. გ. ჩუ ლუკიძე და სხვ.

თათბირზე გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი ზომები, რომელთა მიღებაც აუცილებელია სამუშაოთა შესაფერად ჩატარებისათვის.

ეთერის ზეთის დამზადება

საქ. საზოგადოების „საქართველოს ჩაი"-მ განზრახვა აქვს ჩაქვის სახალხო მამულების ლაბორატორიაში განაახლოს ეთერის ზეთის (კამფორის, ევკალიპტის ზეთის და სხ.) დამზადება.

ქუნთრუშას და ხუნაგის ეპიდემია

24 და 25 დეკემბერს თბილისში ავათ გახდა 4 ბავში ქუნთრუშათი და 7 ხუნაგით. ხუნაგით დაავადებულთაგან გარდაიცვალა 2 ბავში, ქუნთრუშით კი 1.

თბილისის აღმასკომში

◆ **საგზაო მშენებლობა.** მაზრაში საგზაო მშენებლობის საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად დაარსებული იქნა სპეციალური კომისია.

◆ **გამოკვლევა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა გამოიკვლიოს არტელების, სას.-სამ. კომუნების და კოლექტივების მდგომარეობა მათთვის შესაფერი დახმარების გაწევის მიზნით.

◆ **წყალსადენი სოფლად.** სოფ. ბერთუბანში (პატარძეულის რაიონი) წყალსადენის გასაყვანად გადაიდო 4500 მანეთი.

◆ **ახალი სახლი.** ტატიანოვის ქუჩაზე თბ. აღმასკომი აგებს მუშათა ახალ სახლს.

◆ **ხანძრის საწინააღმდეგოთ** თბ. აღმასკომმა დაადგინა წარმოება-დაწესებულებებში მოეწყოს სპეციალური ონკანები.

◆ **აგრო-პუნქტი.** საადგილ-მამულო განყოფილებამ გადასწყვიტა ავჭალაში მოაწყოს აგრო-დახმარების პუნქტი.

◆ **წყალსადენი გარეუბანში.** წყალსადენის სამმართველოს დაევალა ხარფუხში გაიყვანოს წყალსადენის მთავარი მაგისტრალი.

◆ **ღამის სანატორიუმი.** სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით თბილისის აღმასკომმა დაადგინა თბილისში მოაწყოს ღამის სანატორიუმი.

ახალი წიგნები

გამოვიდა ქართულ ენაზე მე-15 პარტყრილობის მოხსენებები და მოხსენებათა გარშემო რეზოლიუციები:

1) **სტალინი და კოსიორი**—„საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. მოხსენება მე-15 პარტყრილობაზე".

2) **ორჯონიკიძე**—მოხს. ცენტრ. საკონტრ. კომისიის მუშაობის შესახებ.

3) **მოლოტოვი**—სოფლად მუშაობის შესახებ.

4) **ბუხარინი**—ანგარიში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომინტერნში მუშაობის შესახებ.

5) **რიკოვი და კრჟიჟანოვსკი**—დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (იბეჭდება).

6) საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის რეზოლიუციები და დადგენილებები. (იბეჭდება).

სხვადასხვა

◆ **ც. მუშათა კლუბის რემონტი.** კლუბის გამგეობამ შენობის კაპიტალურ შეკეთებისათვის გაიღო 1004 მ. 54 კაპ. რემონტი დასრულდა.

◆ **ჩასახლება ახალ ბინებში.** ყოფ. სემინარიის შენობაში სახ. უნივერსიტეტმა ჩაასახლა 120-მდე უბინაო სტუდენტი.

◆ **მუდმივი სტაჟიორები.** მიწსახკომმა სახ. უნივერსიტეტს დაუთმო ერთი მუდმივი სტაჟიორის ადგილი.

◆ **წითელი ჯვრის სამალარიო ლაბორატორია** გადაეცა საქართველოს ტროპიკულ ინსტიტუტს.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** ჩოხატაურიდან—ჩუგარის, როსტოვიდან—კრასნიჩენკოს, გუდერმესიდან—ნიკოლოზიშვილს, ბაქოდან—ვირაპს, ბაქოდან—კამინოვისას, ამბოლიდან—დარბინიანს, ოზურგეთიდან—გოგუაძეს, ნახიჩევანიდან—სარქისოვს, კავკასკიდან—ფიჩუტს, ეჩმიაძინიდან—მარტიროსოვს, თელავიდან—ასაბაძეს მოსკოვიდან—მილტონიანს, ილტიდან—ნემსაძეს და არზრუმიდან—შივლიკერის.

ჩაუბარებელი დეპეშები

გალიდან—ფალავანდიშვილს, ფოთიდან—შინამრეწველობის კოოპერატივის სამკერვალოს, ხაჩმასიდან—ლიტვინოვს, ბაქოდან—ბელიაევას, ახალსენაკიდან—მეძმარიაშვილს, ლიუქსემბურგიდან—იანოვსკისას, გულრიფშიდან—ციტბეკოვს, ლენინაკანიდან—გრიგორიანს, სუხუმიდან—ზელენსკის, დუშეთიდან—პროშკინს, ზინ —ვოდიდან კოსტინის, შულავერიდან—გუგუშვილს, ბეშთაშენიდან—აზოვისას, ფოთიდან—ჩიხაიძეს, არდატოვიდან—პასკევიჩს, ხიდისთავიდან—ართაძეს, თელავიდან—ლომიძეს, დუშეთიდან—ლომიძეს.

შემთხვევები

„მკლავაძე" გამომძიებელთან

გუშინ იუსტიციის სახალხო კომისარიატში, საგამომძიებლო განყოფილებაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას:

გამომძიებელ კ. ხოჯიაშვილის მიერ გამოძახებული იყო დასაკითხავად მოქ. **ანტონ მდივანოვი.**

ანტონ მდივანოვს ბენზინი გადაუსხამს თავის დისათვის და მოუნდომებია მისი დაწვა. ანთებული ასანთიც უსვრია ცეცხლის გასაჩენათ, მაგრამ ქალი გადაურჩენიათ.

როცა გამომძიებელმა დაამთავრა მდივანოვის დაკითხვა და გამოუცხადა, რომ ის გაგზავნილი იქნება საპატიმროში, იქვე მდგომმა მილიციელმა გაიყვანა პატიმარი დერეფანში.

დერეფანში მდივანოვი დაეტაკა მილიციელს, წაჰქცია და მოუნდომა რევოლვერის წართმევა. მილიციელს დაეხმარენ მოქალაქეები და იქვე ახლოს მდგომი წითელარმიელები. მდივანოვმა ისკუპა და გადახტა ფიცრულ კამერაში, სადაც იმჟამად გამომძიებელი არ იმყოფებოდა. ბოროტმოქმედმა ჩაიკეტა კარები.

გამოწვეულ იქნენ დამხმარე ძალები, ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც იძულებული გახდენ ზევიდან ჩამხტარიყვნენ კარიკეტილ კამერაში.

მდივანოვი შეიპყრეს და გაგზავნეს საპატიმროში. ბოროტმოქმედი 20 წუთის განმავლობაში იბრძოდა.

უეცარი სიკვდილი

26 დეკემბერს, გოგილის აბანოს ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა უცნობი მამაკაცი დაახლოებით 63 წლის. გარდაცვალებულის ვინაობის გამოსარკვევად გვამი გადაგზავნილ ქალაქის პირველ საბჭოთა საავადმყოფოს პროზექტურაში.

დაჯახება

გუშინწინ, საღამოს 6 ნახ. საათზე, საბჭოს ქუჩაზე ჯაფარიძის სახელობის ბაღთან მიმავალ ეტლს დაეჯახა ტრამვაის ვაგონი. დაჯახების დროს ეტლში მჯდომ ქალს ვართანუშა სარქისიანცს გადმოუვარდა 4 წლის ბავში, რომელიც მსუბუქად დაშავდა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ დაჯახება არ ყოფილა გამოწვეული ვატმანის დაუდევრობით.

ქურდობა

გუშინწინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილმან ქურდობის 6 შემთხვევას. დაპატიმრებულია 4 ქურდი.

ხულიგნობა მცირდება

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების ცნობებით, ქუჩაში წესრიგის დარღვევის შემთხვევები უკანასკნელ თვეში შემცირდა 45 პროცენტით.

ყუმბარის მსხვერპლი

26 დეკემბერს, დილით ლოტკინის გორას ახლოს პატ. მწყემსებს უნახავთ ყუმბარა; ყუმბარა ჩაუფლავთ მიწაში და ზევიდან ცეცხლი გაუჩაღებიათ. ყუმბარა გასკდარა და ორი მწყემსი მძიმედ დაუშავებია.

დაშავებულთა ვინაობა ირკვევა.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ მცხეთის რაიონში ნადირობის დროს მოქ. კოლია ინწკირველს, მცხოვრებ 25 თებერვლის ქ. № 13, შემთხვევით გავარდა სანადირო თოფი.

თოფის ლულის ნაჭრები ინწკირველს მოხვდა მარცხენა ყბაში და გავიდა მეორე მიმართულებით.

დაშავებულს პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინეს მცხეთის საავადმყოფოში. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ მოელის.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ. საღამოს მტკვარში გადავარდა [illegible] „ტატკით" პეტრე ისაევი.

ისაევი დაღრჩობას გადაარჩინეს.

დამპალი ყველის აღმოჩენა

გუშინ, მილიციის თანამშრომლებმა პუშკინის ქუჩაზე ერთ-ერთ გასტრონომიულ სავაჭროში აღმოაჩინეს სრულიად დამპალი შვეიცარული ყველი.

დამპალი ყველის წონა უდრის დაახლოებით 5 ფუთს. ყველი იმდენად დამპალი იყო, რომ გასინჯვის დროს მასში აღმოჩნდა ცოცხალი პარაზიტები.

დამპალი შვეიცარული ყველი სანიტარულ ზედამხედველობის მიერ აღმოჩენილი იქნა აგრეთვე ოთხ კერძო სავაჭროში.

ყველა ვაჭრებს უვარგისი ყველი ჩამოერთვათ და გადაიყარა.

როგორც ირკვევა ყველის გაფუჭებას იწვევს მისი ცუდათ შენახვა.

რემედასში

რემედასის კვირეული

იანვრის 22-დან მთელს საქართველოში ჩატარდება რემედასის კვირეული (საზამთრო კამპანია). მთელი შემოსავალი, როგორც ფულადი, აგრეთვე ნატურალური, მოხმარდება პოლიტპატიმართა დახმარების საქმეს.

პლენუმი

10 იანვარს გაიხსნება საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ჟურნალი „რემედასი"

ამ დღეებში გამოვა და დაურიგდება ხელის მომწერლებს ჟურნალ „რემედასის" მე-2-ე ნომერი.

საქ. უნივერსიტეტში

შრომის ხელფასის ნორმები

სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაკთა შრომის და ხელფასის ნორმების შესახებ არსებულ დებულების ცხოვრებაში გასატარებლად შესდგა კომისია: პროფ. კ. კეკელიძის, პროფ. შ. ნუცუბიძის და ამხ. ხულუზაურის შემადგენლობით.

ლიტერები

პირველ იანვრისათვის საქ. უნივერსიტეტის აღმასრულებელ სტუდენტებს დაურიგდებათ შეღავათიან სამგზავრო ბილეთები. სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სამხედრო საექიმო კომისიაში გატარების საბუთი.

შოფერების შემოწმება

შრომის სახალხო კომისარიატმა ჯანმრთელობის კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცა წესები და სავალდებულო დადგენილება შოფერების საექიმო შემოწმების შესახებ შემოწმება იწარმოებს პერიოდულად. შემოწმებული იქნებიან როგორც ამჟამად მომუშავე შოფერები, ისე შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე აყვანილი უმუშევარი შოფერები და ის პირნი, რომლებიც აპირებენ შოფერების სკოლაში ან კურსებზე შესვლას.

ყოველგვარი ავარიის და კატასტროფის შემდეგ შოფერი იქნება შემოწმებული, თუ ამას მოითხოვს შემთხვევის გამომკვლევი კომისია. იმ ადგილებში, სადაც არსებობს ფსიხო-ტექნიკური კაბინეტი, იწარმოებს აგრეთვე შოფერების ფსიხო-ტექნიკური შემოწმება. ყოველ შემოწმების შემდეგ შოფერს ეძლევა პირადი ბარათი, ურომლისოთ შოფერი დაშვებული არ იქნება სამუშაოზე.

შოფერების საექიმო შემოწმება გამოწვეულია ავტომობილების კატასტროფასთან ბრძოლის მიზნით.

მუშკორების საყურადღებოდ

დღეს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68), შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებაზე მოწვეული არიან აგრეთვე თბილისის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები.

დღის წესრიგში სდგას ამხ. კ. ხომერიკის მოხსენება საბჭოების ხელახალი გადარჩევისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ.

ხელოვნება

ახალი წარმოდგენები რუსთაველის თეატრში

ძველი რეპერტუარის გადახალისების მიზნით, რუსთაველის თეატრის დირექციას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარში დადგას რამდენიმე ახალი წარმოდგენა.

მთელი დასი ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ქართული არლეკინადა—„ბერიკაობა“-ს მოსამზადებლად. მისი დადგმა განზრახულია იანვრის შუა რიცხვებში. „ბერიკაობა“-ს გარდა დასი ამზადებს აგრეთვე მორიგ პრემიერას „გარდატეხა“-ს (ლავრენევის), რომელიც დაიდგმება იანვრის ბოლო რიცხვებში. შემდეგ დასი და რეჟისურა შეუდგება ვენციანოვის პიესის—„ჯუმა მაშიდი“-ს მომზადებას. ამ პიესის სიუჟეტი აღებულია ინდოელების ცხოვრებიდან.

ჩამოთვლილ პრემიერების გარდა, რუსთაველის თეატრის დირექციას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარში დადგას ვსევოლოდ ივანოვის „ჯავშნიანი მატარებელი“ და ლავრენევის პიესა „ამბოხება“. ორივე ეს პიესა ამჟამად ითარგმნება და ახლო ხანში შეუდგებიან მათ მომზადებას.

ძველი რეპერტუარიდან სეზონის მეორე ნახევარში განმეორებული იქნება „ჰამლეტი“, „ამერიკელი ძია“—(ორივე ნაწილი), „ანზორი“, „ხაჭე მარცხნივ“ და სხ.

დასახელებულ ახალი წარმოდგენებიდან პირველი პრემიერა იქნება „ბერიკაობა“. „ბერიკაობა“-ში მთავარ როლებს ასრულებენ: კვაჭი—ვ. დავითაშვილი, ჭიპი ჭიპუნტირაძე—ეთერ ქულიანი, გაბო ჩხუბიშვილი,—შ. ღამბაშიძე, ნაცა ქექია—მ. გოძიაშვილი, ქოსა ტყუილა—შ. აღსაბაძე, ბოხოხა—აბაშიძე, როხროხა—ვ. შიხაშვილი, ბოთე ქანთარია, რეფო—ბ. კობახიძე, მიფრინია—ბ. შავიშვილი, მოფრინია ნინო ვლადიმერის ასული ალექსი მესხიშვილი, გოგონა—ივ. ჯორჯაძე, ცანგალა—გ. ლიდიძე და სხ.

ძველი ქართული კედლის მხატვრობა

ახლო ხანში თბილისში გაიმართება ძველი ქართული კედლის მხატვრობის ასლების გამოფენა. ასლები გადაღებულია ცნობილ მხატვარ ქალის ნ. ტოლმაჩევსკაიას მიერ. მხატვარი ტოლმაჩევსკაია ორი წელიწადია, რაც საქართველოში ეწევა კედლის მხატვრობის შესწავლას და მათი ასლების გადაღებას. ამ ხნის განმავლობაში მან გადაიღო აფხაზეთსა, სამეგრელოსა და იმერეთსა და დასავლეთ საქართველოში დაცულ უძველეს მონასტერ-ეკლესიების კედლის მხატვრობის ასლები, რომლებიც ხელოვნების თვალსაზრისით წარმოადგენენ საშუალო საუკუნოების მხატვრობის ნიმუშებს.

◆ **„სიცოცხლე—სიხარული“.** ოპერის თეატრში დღეს პირველად წარმოდგენილი იქნება კომპ. დ. არაყიშვილის ოპერა „სიცოცხლე-სიხარული“.

◆ **„მორგანის მძახალი“.** დღეს რუსთაველის თეატრში სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „მორგანის მძახალი“.

◆ **საბავშო თეატრი.** სომეხ ხელოვანთა სახლს „ჰაიარტუნს“ საბავშო თეატრის მოსაწყობად თბ. აღმასკომმა გადასცა 1000 მანეთი.

◆ **„ლურჯი ხალათი“.** გამოვიდა ს. ერთაწმინდელის აგიტ-რევოლიუციონური სატირის პიესების კრებული „ლურჯი ხალათი“.

◆ **პროლეტმწერალთა ასოციაცია.** ქუთაისში დაარსდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც ახლო ხანში გამოსცემს ჟურნალს.

◆ **„მგზავრები“.** ქუთაისში გამოვიდა პოეტ შ. ჩარკვიანის ლექსების ახალი წიგნი „მგზავრები“.

კინო და მუშა-მაყურებელი

საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების ინიციატივით გუშინ, 27 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა დისპუტი კინოზე. კლუბის სათეატრო დარბაზი სავსე იყო რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებით. მოხსენებით გამოვიდა ამხ. არუთინოვი.

მოხსენების თემას შეადგენდა: საბჭოთა კინემატოგრაფიის მდგომარეობა, მისი პერსპექტივები და საქართველოს კინო-მრეწველობა. მომხსენებლის აზრით, კინემატოგრაფიის პროლეტარული იდეოლოგიის პრინციპებზე განვითარებას ხელს უშლის „სალაროს ინტერესები“. მთელი უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ კომერციის გზაზე დამდგარი კინო ემსახურება „ობივატელს“, შორდება საბჭოთა იდეოლოგიას და იხრება რევოლიუციონური თემატიკიდან. ამის დასამტკიცებლად მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები და აცხადებს, რომ მხატვრულ - იდეოლოგიურად გამართლებულ სურათ „ჯავშნოსანი პოტიომკინის“ დადგმის დროს კინო - თეატრები ცარიელი იყო, ხოლო „ობივატელური“ ჟემონების სურათები „კაცი რესტორნიდან“, „პოეტი და მეფე“ თვეობით მიდიან საბჭოთა ეკრანზე.

— ამ საერთო გზას ვერ ასცდა საქართველოს კინო - მრეწველობაც, აცხადებს მომხსენებელი, — სახკინმრეწვის მუშაობის პირველ პერიოდში ჩვენ გამოუშვით ისტორიულ - რევოლიუციონური სურათები „არსენა ჯორჯიაშვილი“, „წითელი ეშმაკუნები“, შემდეგ კი გადავიხარეთ „ობივატელისაკენ“ და გამოუშვით „თავადის ასული მერი“, „ბელა“, „შირვანსკაიას თავგადასავალი“ და „იბრაგიმ და გოდერძი“. სალაროს ინტერესებისადმი სამსახურმა გაამრუდა საქართველოს კინო-მრეწველობის იდეოლოგიური ხაზი, განაგრძობს მომხსენებელი. რევოლიუციონურ თემებისათვის გვერდის ავლის მიზეზი უნდა ვეძიოთ — მომზადებულ სცენარისტების უყოლობაში, რეჟისორების მიერ თანამედროვეობის ვერ გაგებაში და სხ. ჩვენ ვცდილობთ გამოვასწოროთ მუშაობის აღნიშნული ნაკლი და ვაპირებთ მხატვრულ - იდეოლოგიურად დამუშავებულ სურათების დადგმას. ამგვარ სურათების ციკლს ეკუთვნის მიმდინარე დადგმები: „კრაზანა“, „ჯანყი გურიაში“, „ყაზახები“ და „ელისო“.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე წარმოებითი ხასიათის ფილმებს, სოფლისა და მუშათა კლუბების კინოფიკაციის საკითხს. სახკინმრეწვის საცენარო სახელოსნო მუშაობას წარმოების იდეოლოგიურად განმტკიცების საქმეში და განაცხადა, რომ საქართველოს კინო - მრეწველობის უახლოესი ამოცანაა თავისი წარმოება განავითაროს მუშა-მაყურებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები. ცხოველი ინტერესი გამოიწვია მოხსენებას გარშემო გამართულ კამათმა.

— აგიტაცია - პროპაგანდისა და მუშათა მასების მხატვრულად აღზრდის ნაცვლად, — განაცხადეს კამათში გამოსულმა მუშებმა — საქართველოს კინო - მრეწველობა ემყარება პროლეტარულ იდეოლოგიისათვის მავნე კომერციას. იგი გვერდს უხვევს მუშა - მაყურებლის მოთხოვნილებას, მისდევს ობივატელურ ფენების სამსახურს, უყურადღებოდ სტოვებს მუშათა კლუბებს და პროვინციას, არავითარ ზომებს არ იღებს კულტურულად ჩამორჩენილ სოფლების კინოფიკაციისათვის და მოძრავი კინოების შესაქმნელად.

— სახკინმრეწვი, — აცხადებს ერთი მუშა—არ დგამს თანამედროვე ყოფა-ცხოვრების და წარსულ რევოლიუციონურ ეპოქების გადმომცემ ფილმებს. იგი საზოგადოებას აწვდის ყალბ შინაარსიან სურათებს, ცალმხრივად და დამახინჯებულად ამუშავებს ისტორიულ ფაქტებს, წინაპართა ყოფას. მის მიერ გამოშვებული სურათები უმთავრესად გადმოსცემენ: ქორწილს, ქალის გატაცებას, სისხლის აღებას, „უიმედო სიყვარულს“, მკვლელობას, თავდასხმას, ყაჩაღობას და სხ. თანამედროვე მუშა - მაყურებელი კი სხვაგვარი მოთხოვნილებით მიდის კინოში. მას სურს ეკრანზე იხილოს ინდუსტრიის გზაზე მდგარ დღევანდელ საქართველოს სურათი და უცხოეთის პრიმიტიული სოფლების გარდაქმნას.

ზოგიერთი ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ საქართველოს კინო - მრეწველობის პერსპექტიული გეგმაც ვერ არის საიმედო: „კრაზანა“-ს, (ვოინიჩის) „ელისო“-ს (ყაზბეგის), „ყაზახები“-ს (ტოლსტოის) და „ბოშური სისხლი“-ს (შერკოვიჩის) გადაღებამ შეუძლებელია რაიმე იდეოლოგიური გამართლება ჰპოვოს, მიტადრე იმ რეჟისორების დადგმაში, რომელთაც მრავალი სურათები გაუფუჭებიათ და ზარალის მეტი არაფერი მოუტანიათ საქართველოს კინო - მრეწველობისათვის.

დისპუტი გაგრძელდა 5 საათს, რომლის შემდეგ ნაჩვენები იყო კინო სურათი „მხდალი“.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს დროგამოშვებით გამართოს ასეთი დისპუტები თბილისის მუშათა კლუბებში.

ვ. ქ—ი.

სასამართლო

„ბამბის ჩხრიალი“

მოგიყვებით ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ „ჩხრიალებდა“ საქართველოს ბამბა ვინმე „სპეც“ ალი ახმედოვის ხელში.

ალი ახმედოვი არ გეგონოთ „უბრალო მომაკვდავი“! ის ძველი გაქექილი კომერსანტია, რომელიც „ქვასაც წვენს ადენდა“ თავის დროზე.

გასაკვირი აქ ბევრი არაფერია. გასაკვირია მხოლოდ ის, თუ როგორ შეძვრა ეს „ჩრჩილი“ საქართველოს მებამბეობის კომიტეტში, როგორ „დამკვიდრდა ის ბამბის სასუფეველში“.

1925 წლიდან მოქ. ალი ახმედოვი მოევლინა დასავლეთ საქართველოს მებამბეობის კომიტეტის რწმუნებულად. წელიწადზე მეტი იმუშავა ახმედოვმა ამ ასპარეზზე და, შეიძლება ითქვას, რომ ყველანი „აალაპარაკა“...

მოდით და ნუ „ალაპარაკდებით“! რამდენი უნდა ჰქონდეს კაცს ჯამაგირი, რომ ყოველ დღე ნაირ-ნაირი მიირთვა, ყოველდღე ნაირნაირი ჩაიცვა, ყოველდღე იქეიფოს და უხვად არიგებდეს ქალებში საჩუქრებს, როგორიც არის „კოვერკოტის“ საკოსტიუმე, დუხი „კოტი“ „ლორიგან“ და ჩულქები „ვიქტორია“.

ამ მხრივ მართლაც დიდი „სახელი გაითქვა“ ახმედოვმა. წარმოიდგინეთ, სპეც-ჯამაგირიანი ხალხიც განცვიფრებით ლაპარაკობდა: „ზოგის ბამბაც კი ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“.

და, თურმე ნუ იტყვით, ახმედოვი „აჩხრიალებდა“ კი არა, სულ სიქას აცლიდა ბამბას.

ახმედოვმა იმდენი „აჩხრიალა“ ბამბა, რომ საგამომძიებლო ორგანოებს დაურღვევია მყუდროება და უკანასკნელნიც იძულებული გახდენ შეემოწმებიათ ამ არაჩვეულებრივი „ჩხრიალის“ ხმა.

და გამოირკვა მეტად დამაფიქრებელი რამ ამბავი.

თურმე ახმედოვს დასავლეთ საქართველოს მებამბეობის შემოსავალი „დაუგირავებია“ სანდომიან მანდილოსნებისათვის და თავისი რწმუნებულობის ფუნქციები განუსაზღვრავს მით, რომ სილამაზის მიხედვით სათანადო „საპრიზო“ საჩუქარი გაუნაწილებია „ბანოვანთა“ შორის.

ამ უკანასკნელ „ფუნქციების“ შესრულებას დროს დაახლოვებით ერთი წლის განმავლობაში ახმედოვს გაუწევია „ზედნადები ხარჯები“ სულ „ცოტა“ 16,262 მანეთის რაოდენობით.

უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ახმედოვმა ბამბის შემოსავლიდან „დროის გასატარებელ ფონდში“ გადარიცხა 16,262 მანეთი, რომელიც არცერთ წიგნში არ გაუტარებია, მხოლოდ დრო კი „გაუტარებია“...ამას მოწმობს მთელი საბრალმდებლო მასალა.

ერთი სიტყვით, ახმედოვს „ხელგაშლილად“ უხარჯავს მებამბეობის კომიტეტის ფული.

გარდა ბამბისა, ახმედოვს არ დაუზოგავს არც სიმინდი, რომელიც კომიტეტს აზერბეიჯანის მებამბეობისათვის უნდა გადაეგზავნა.

ახმედოვს აღმოაჩნდა „გაქაფული“ „სულ ცოტა“ 800 ფუთი სიმინდი. ეს, ასე ვსთქვათ „დესერტად“ დააყოლა ბამბას ახმედოვმა.

სულ ახმედოვმა გაფლანგა 17,782 მანეთი.

საქმე გამოიძია უფროსმა გამომძიებელმა ხ მესარქიშვილმა.

გარდა ახმედოვისა, პასუხისგებაში არიან მიცემულნი: მოქ. ბარნაბ ქართველიშვილი (ახმედოვის მეგობარი, კერძო პირი), რომელიც ახმედოვის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა საყალბეების ჩადენაში, და აგრეთვე იაკობ კიჩმაზოვი (მისივე თანამშრომელი), რომელმაც ცოტა სიმინდი „წაიხარჯა“.

ახმედოვს, სწორედ იმ დღეს, როცა ის დაპატიმრეს, მოუსწრია ერთი კავერკოტის კოსტიუმის საჩუქრად მიტანა მანდილოსნისათვის.

მერ.

ცილისწამების მსხვერპლი

ეს ამბავი მეტად საინტერესოა, როგორც თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სრულიად უდანაშაულო კაცი გახდეს თითით საჩვენებელი, გაილანძღოს, შერცხვენილი გამოვიდეს თავის ტოლ - ამხანაგებში და, კიდევ მეტი, წამოსკუპდეს საბრალმდებლო სკამზედაც, როგორც მავნე ელემენტი.

მოქალაქე იოსებ ციციშვილი მსახურებდა გამომცემლობა „შრომა“-ს წიგნის მაღაზიაში. მართალია მისი თანამდებობა და ჯამაგირი არ იყო დიდი, მაგრამ ბედს მაინც არ ემდუროდა, რადგან პატიოსანი შრომით თავს ასე თუ ისე ინახავდა. იყო უბრალო დარაჯი.

გადაეკიდენ ციციშვილს იქაური თანამშრომლები: არშაკ ერამოვი და მაკარი არუთინოვი. ეუხირდნენ, გააბეს ინტრიგების ქსელი და მოინდომეს მისი თავიდან მოცილება. შეკრეს პირი: შეფიცეს ერთმანეთს ერთგულება და შეთანხმებული გზით დაიწყეს მუშაობა ციციშვილის სამსახურიდან მოსაშორებლად.

— რა არის ამაზე ადვილი; დავაბრალოთ წიგნების ქურდობა; მივაჩვენოთ ადმინისტრაციას; რომ წიგნები მაღაზიიდან მართლაც იკარგება; გაძევდა და მორჩა; სამუდამოდ დაგვიკარგავს თავს ციციშვილი; — სთქვეს არშაკამ და მაკარმ.

კიდეც მოაქანდაკეს ეს „სამგმირო“ საქმე. დაიწყო უსინდისო დასმენა. პროფსაბჭოს ადმინისტრაციას, გამომცემლობა „შრომა“-ს წიგნის მაღაზიის ადმინისტრაციას, სისხლის სამართლის მილიციას ზედი-ზედ მისდით ცნობები, რომ ციციშვილი ქურდია, რომ მან გაძარცვა მაღაზია; ყოველ დღე იპარავს სხვადასხვა ნივთებს და სხვ.

სისხლის სამართლის მილიციას ჰქონდა საბუთი დაეპატიმრებია ციციშვილი. ის ასეც მოიქცა; რადგან დაწესებულებასთან ახლო მდგომი პირები ერამოვი და არუთინოვი ასეთ რეკომენდაციას აძლევდენ ციციშვილს.

ციციშვილი ზის ციხეში. ერამოვი და არუთინოვი ერთმანეთს ულოცავენ „გამარჯვებას“.

დაინიშნა საქმე სასამართლოში.

და რა გამოირკვა?

გამოირკვა, რომ ყოველივე ეს აგებულია პირად ინტერესებზე, ცილისწამებაზე, შურისძიებაზე, რომ მოქ. ციციშვილი პატიოსანი მუშაკია.

სასამართლომ შეაბრუნა „კეხი“ და პასუხისგებაში მისცა არშაკ ერამოვი და მაკარი არუთინოვი.

შრომის სასამართლოს წინაშე აღძრულ იქნა შუამდგომლობა, რომ მოქ. იოსებ ციციშვილი აღდგენილ იქნეს სამსახურში, როგორც უდანაშაულო.

მანი.

რკინისგზებზე

დამატებითი მატარებელი

27 დეკემბრიდან თბილის—ბაქოს შორის ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ დანიშნა ახალი დამატებითი სამგზავრო-საბარგო მატარებელი № 21-22.

თბილისიდან მატარებელი გადის კენტ რიცხვებში ღამის 9 საათზე და 25 წუთზე. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დღის 12 საათზე. ბაქოდან გამოდის ლუწ რიცხვებში დილის 9 საათზე და 47 წუთზე და თბილისში მოდის მეორე დღეს საღამოს 6 საათზე და 35 წუთზე ადგილობრივი დროით.

ამნისტიის ცხოვრებაში გატარება

შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა ჩვიდმეტი საქმე მატარებლების დაჯახების, ვაგონების გადავარდნის, მატარებლების დაკავებულ ხაზებზე მიღების და სხვათა შესახებ.

ყველა ამ შემთხვევებს გზისთვის მიუყენებია 26.847 მანეთის ზარალი.

დამნაშავედ ცნობილ იქნა გზის 28 აგენტი, რომლებსაც კომისიამ მიუსაჯა სხვადასხვაგვარი ადმინისტრატიული სასჯელი.

ოქტომბრის ათი წლის თავის გამო გზებზე გამოცემულ ამნისტიის თანახმად და ა.-კ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ქ. ფეანოვის განკარგულებით კომისიის დადგენილება სისრულეში მოყვანილი არ იქნება

ექსპორტი და იმპორტი

ამიერ-კავკასიის ექსპორტი იზრდება

1926—27 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ გატანილი იქნა, ნავთის პროდუქტებისა და მარგანეცის გარდა, 9.486.000 მანეთის საქონელი. ამ თანხიდან [illegible].000 მანეთი მოდის აზერბაიჯანზე. 4.079.000 მანეთი საქართველოზე და 544.000 მანეთი სომხეთზე.

მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმის მიხედვით, ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ გატანილი იქნება 11.922.000 მანეთის საქონელი; აქედან საქართველოზე მოვა 6.460.000 მანეთი, აზერბეიჯანზე—4.850.000 მანეთი და სომხეთზე—612.000 მანეთი.

საიმპორტო მოწყობილობის განაწილება

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საექსპორტო - საიმპორტო სამმართველოში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა საკითხი 1927—28 წლის გეგმით ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ მოწყობილობის განაწილების შესახებ.

მთელი კონტინგენტი, გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ მოწყობილობისა, განაწილებულია ცალკე რესპუბლიკებს შორის მათი მოთხოვნილებების მიხედვით.

„შობის ხე“

„შობის ხე“-ს მოწყობა—მეტად მავნე ჩვეულებაა. იგი იწვევს ახალგაზრდა წიწვიანი ტყეების განადგურებას.

ამჟამად თბილისში გლეხების მიერ შემოტანილ „შობის“ ხეების რიცხვი აჭარბებს წარსულ წლებში შემოტანილ ხეების რიცხვს. „შობის“ ხეები შემოდის უმთავრესად მანგლისის რაიონიდან. უნდა ითქვას, რომ მანგლისის რაიონს ძლიერ ემჩნევა წიწვიანი ტყეების გაჩეხვა. და ეს მაშინ, როდესაც მანგლისის საუცხოვო ჰაერი უმთავრესად ამ წიწვიანი ტყეების არსებობის შედეგია. ასეთ პირობებში ამ ტყეების დაცვა აუცილებელია. „შობის“ ხეები მოვაჭრენი ამბობენ, რომ მათ არავინ უშლის ხელს მანგლისის ტყეების გაჩეხვაში.

სულ სხვანაირად არის საქმე წავკისში. აქ ტყეების დასაცავად მიღებულია გადამწყვეტი ზომები და თბილისში მიღებულია ცნობა, რომ დაპატიმრებულია 15 კაცი, რომელთაც თბილისში გასასყიდათ მოჰქონდათ აუარებელი დაჩეხილი „შობის“ ხეები.

ტყეები ნადგურდება. საჭიროა ზომების მიღება, რათა გადარჩენილ იქნას რამოდენიმე ათასი ხე, რომელთაც საფრთხე მოელის.

ბ.

კურსები

გზის ოსტატების და მემანქანეების მოსამზადებლად

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო პირველი იანვრიდან თბილისში ხსნის 6 თვიან კურსებს გზატკეცილების ოსტატების და გზის სატკეპნ მანქანებზე მომუშავე მემანქანეების მოსამზადებლად.

კურსების გახსნა გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ გზატკეცილთა უწყება განიცდის გზის ოსტატების და მემანქანეების ნაკლებობას. ამჟამად მას ყავს მემანქანეები და ოსტატები, მაგრამ მათ უმეტესად მიღებული აქვთ მხოლოდ პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება და თეორეტიულ ცოდნას კი მოკლებულნი არიან. ეს უკანასკნელი კი საგზაო მშენებლობაში დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

გარდა სპეციალურ საგნებისა კურსანტებს შეასწავლიან მათემატიკას, საზოგადო მეცნიერებას, გეოგრაფიას და სხვა.

კურსები მოამზადებს 30 კაცს. კურსებზე მიღების დროს უპირატესობა მიეცემა გზებზე მომუშავე შავ-მუშებს. მეცადინეობის პერიოდში კურსანტები უზრუნველყოფილი იქნებიან: ბინით, განათებით, გათბობით, სმა-ჭამით და ყველა სასწავლო ნივთებით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 28 დეკემბერს, სამუშაოზე გასაგზავნათ, შრომის ბირჟაში უნდა გამოცხადდენ შემდეგი პროფესიის უმუშევრები:

რკინის გზელთა სექციიდან: ნინო გლობენკო.

მშენებელ მუშაკთა მე-5 სექციიდან: ალექსანდრე ივანოვი.

მედიკურ მუშაკთა სექციას მოუვიდა, ახალი მოთხოვნილება ექიმებზე: გომბორის საექიმო პუნქტზე (ვაზიანიდან 25 ვერსის მოშორებით) ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი 64 მანეთი.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში საჭიროა ერთი ექიმი ქართული ენის მცოდნე—ჯამაგირი 140 მანეთი. ლეჩხუმის მაზრაში: ექიმი—გინეკოლოგი, ჯამაგირი—160 მან (ლაილაშში). ჭრებალოში: ერთი ექიმი, ჯამაგირი—160 მან. ცაგერში—კბილის ექიმი, ჯამაგირი 115 მანეთი. სოფ. ზუბაში—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—50 მანეთი. ქვემო სვანეთში ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—70 მან.. აღნიშნულ ადგილებში წასვლის მსურველთ უფლება ეძლევათ იქონიონ კერძო პრაქტიკა. მიეცემათ ბინა, განათება და გათბობა.

კულტურული მუშაობა უმუშევართა შორის

უმუშევართა კულტურული დონის ამაღლების მიზნით, ბირჟის კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს კლუბი-სამკითხველო, რისთვისაც გამოჰყო სპეციალური ოთახი. ამასთან ერთად ჩატარდება ლექციები, საუბრები, და მოხსენებები. ამ დღეებში კომიტეტი დაამტკიცებს საკლუბო 1927-28 წ. გეგმას და ხარჯთაღრიცხვას.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 28 დეკემბერი

დღეს, 28 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

ამიერ-კავკასიის ძირითადი საექსპორტო საქონელი — რუსულ ენაზე.

ქალების მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში—რუსულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—ქართულ ენაზე.

მუშათა გაზეთი—ქართულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტექნიკაზე—ქართულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობა.

ოპერა „სიცოცხლე-სიხარული“-ს ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განცხადება

საქართველოს შინაგან საქმეთა სა-ხალხო კომისარიატისა იმ საზოგადოებათა და შენაერთთა ხელახალი რეგისტრაციის შესახებ, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ

ამ მიზნით, რომ სისწორით აღრიცხულ იქნეს ის საზოგადოებანი და მათი შენაერთნი, (ასოციაცია, კავშირი და სხ.), რომელნიც არ მისდევენ მოგების გამორჩენას და ანხორციელებენ თავიანთ მოქმედებას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის იანვრის 15 დათარიღებული და № 6 დადგენილების თანახმად, წინადადება ეძლევა ზემოთ დასახელებულ ტიპის ყველა საზოგადოებებს გაატარონ ხელახალ რეგისტრაციაში შინაგან საქმეთა სახ. კომ. ადმინისტრატიულ სამმართველოში. რეგისტრაცია ქ. თბილისში არსებულ საზოგადოებისა უნდა მოხდეს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სხვა ადგილებში ორი კვირის განმავლობაში.

რეგისტრაციაში გატარებისას უნდა წარმოდგენილ იქნეს:

1. საზოგადოების თუ შენაერთის წესდება 2 ეგზ. და მოწმობა მისი დამტკიცების შესახებ.
2. ცნობა საზოგადოების თუ შენაერთის ადგილმყოფელობის შესახებ.
3. საზოგადოების თუ შენაერთის მოქმედების ანგარიში 4 ეგზემპ.
4. საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაზე ცნობები 4 ეგზ. ქვემოთ ჩამოთვლილ ფორმის მიხედვით.

ა) გვარი, სახელი და მამის სახელი.
ბ) ეროვნება და ქვეშევრდომობა.
გ) განათლება.
დ) ძირითადი პროფესია.
ე) სოციალური მდგომარეობა (მუშა, გლეხი მოსამსახურე).
ვ) სოც. წარმოშობა (გლეხის შვილი, მუშის. მოსამსახურის, ყოფ. თავადის, სასულ. წოდება და სხვ.).
ზ) ეწეოდა თუ არა საზოგადო ან პოლიტიკურ მუშაობას (სად და რაში გამოიხატება, რომელ პოლიტპარტიას ეკუთვნოდა).
თ) მუშაობს თუ არა ამჟამად, სად და რა თანამდებობაზე.
ი) ითვლება თუ არა პროფკავშირის წევრად.
კ) რა დროიდან ითვლება გამგეობის წევრად.
ლ) იყო თუ არა პასუხისგებაში მიცემული, (რისთვის და სად). და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სწორი მისამართი.

შენიშვნა: გამგეობის წევრებზე წარმოსადგენი ცნობები შემოწმებულ უნდა იქნეს საზოგადოების თავმჯდომარის მიერ.

უკეთუ არსებობენ ისეთი საზოგადოებები თუ შენაერთნი, რომელთა წესდება ამ განცხადების გამოქვეყნების მომენტში დაუმტკიცებელი და გაუტარებელია რეგისტრაციაში—ვალდებულნი არიან გაატარონ რეგისტრაციაში ზემოთ ნაჩვენებ დროის განმავლობაში.

საზოგადოებები, რომელნიც გვერდს აუხვევენ ამ განცხადების შესრულებას—იქნებიან დახურულად ჩათვლილნი.

ეს განცხადება არ ეხება იმ საზოგადოებებს და მათ შენაერთებს, რომელთაც დასახული აქვთ მოგების გამორჩენა ან თავისი წევრების ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, და რომელთა რეგისტრაციის წესის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოსცემს სათანადო დადგენილებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინ. სამმართველოს უფროსი
ზერაძე.

ს. ზ. ს. ს. კომისარიატის საიდ. ნაწილის გამგე დ. ზიფერტი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბის ზემო დარბაზში შესდგება არსრაიონის უჯრედთა მდივნების თათბირი ინფორმ-აქტივისა და პარტ-ორგანიზატორების მონაწილეობით.

დღის წესრიგშია: მოხსენებები 1) პარტ-ორგანიზაციების მუშაობისა და 2) ინფორმ-აქტივის მუშაობის შესახებ.

არსრაიონის უჯრედების მდივნების, ინფორმატორებისა და პარტ-ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) ამხ. თარხანოვთან:

სოლომონ სლონიმი, ნიკოლოზ ივანეს ძე კლოჩკოვი, თომა მათეს ძე ნაპლოშვილი, კაპიტონ ლუკას ძე ქორიძე, პლატონ იოსების ძე დეკანოიძე, არშაკ გრიგოლის ძე სარქისოვი, სერგო ვასილის ძე მაისურაძე, დავით პეტრეს ძე ვაშაყმაძე, დავით ძიძელის ძე კაპანაძე, ალი ოსმანოვი, ლევან იაგორის ძე მელქონიანი, არშაკ სარქისოვი, შალვა ვასილის ძე ბერბიჭაძე და ვლადიმერ დიმიტრის ძე კოპლმაზაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული ამხანაგები არ იმყოფებიან თბილისში, შეგვატყობინონ მათი სამსახურის მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი.

დღეს, 28 დეკემბერს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) მოწვეულია თათბირი უმუშევართა ხელახალი კვალიფიკაციის შესახებ.

თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ ხვედელიძე, მარკმანი (საქ. პროფსაბჭო), მელიძე (მიწათმოქმედების სახ. კომ.) და არეშიძე (შრომის ბირჟა).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება სთხოვს ამხ. ამხ. იაკუბოვს, პოლიაკოვს, ფორმანოვს, მელაძეს და პეტროვს გამოცხადდენ დღეს, 28 დეკემბერს, დღის 12 საათზე ხსენებულ განყოფილებაში.

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, დღის 12 საათზე დანიშნულია ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ამხ. ამხ. თოდრია, ასრი, ბეკოფი, კანდელაკი დ., ორახელაშვილი მარია, მამულია, ფანცხავა ვ. (ჯანსახკომი), ხოსიანი, ლურსმანიძე, ბიბინეიშვილი, მუშიშვილი, კიკნაძე, სიხარულიძე, რახმანი, ახობაძე, ვოლსკი, მელიქიანი, ბუაჩიძე, ეული და ცხაკაია.

საქ. კ. პ. (ბ) თბ[illegible] კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ ხსენებულ განყოფილებაში (ოთახი № 54) ამხ. [illegible]:

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კონოვალოვი, ვასილ ნიკოლოზის ძე ფანცულაია, ნიკოლოზ ევსტაფის ძე ხუციშვილი, კალისტრატე კვირიკეს ძე გველესიანი და ალ. იზმაილოვი.

მე-2-რე ქართ. მსროლელთა ლეგიონის მე-11-ტე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება საქ. კ. პ. (ბ) კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვის შესახებ ამხ. ლევან ტყეშელაშვილს და ლეონტი ბუჭერის. თუ ვისმეს აქვს ამის საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში ხსენებულ კომუჯრედში.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. ქ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე, ბიურო-კოლექტივის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად. უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: გუნია, მუშკუდიანი, ნიჟარაძე, ჯღამაძე ნ., კუპრეიშვილი გიორგი, დეისაძე ალ., კიკვაძე პოლიკარპე, ჩიხლაძე ნიკა, დემონიავა იაკობ.

საქ. უნ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებული პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ 28, 29 და 30 დეკემბერს, საღამოს 5-დან—7 საათამდე სწარმოებს პარტიის წევრებისა და კანდიდატების ხელახალი აღრიცხვა (პროფკომის ოთახში ამხ. თავაძესთან). პარტიის ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა.

ტ. ს. უ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებული პარტ-კოლექტივის ბიურო, დღეს საღამოს 7 საათზე იწვევს ამავე ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის (კომუჯრედის) და კომკავშირის წევრთა საერთო კრებას, პარტიის და კომკავშირის ყველა წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

კრება შესდგება სტუდენტთა კლუბში.

უნივერსიტეტთან არსებული ფიზიკური საზოგადოება იტყობინება, რომ პარასკევს, 30 დეკემბერს, საღ. 7 საათზე ფიზიკის ლაბორატორიაში შესდგება მოხსენება ცდების მოწყობის შესახებ საშუალო სასწავლებელში დემონსტრაციებით. სასურველია ამ მოხსენებას დაესწრონ შრომის სკოლების და ტექნიკუმების ფიზიკის ყველა მასწავლებლები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს. ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია სამკურნალო ფაკულტეტის კომ. პარტიის და კომ. კავშირის წევრთა საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი დები: ელისაბედ ყანჩაველისა, დარია გამყრელიძისა, ძმები: დავით და კარპოზ თაქთაქიშვილები, შვილები: ალექსანდრე, გიორგი, ლევან (ვახტანგი) იოსების-ძენი ციციშვილები და ნინა ვასილის ასული ციციშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დილით 4½ საათზე 25 დეკემბერს გარდაეცვალათ საყვარელი დაი და დედა

მარიამ ივანეს ასული

ციციშვილისა

პანაშვიდი 27 და 28 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. 29 დეკემბერს, წირვის შემდეგ დღის 3 საათზე გამოსვენება და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე. 2—2 911

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე, შვილები: ნინა ჭეიშვილისა, შალვა, თამარა და შაქრო შავარდნაძეები, შვილიშვილები საშა, სოსო და ნინუსია ჭეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობმეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ლუკა ზაალის-ძე

შავარდნაძე

დაკრძალვა შაბათს, 31 დეკემბერს, ს. ასკანა (გურია). 918

მიიღება ხელის მოწერა „კომუნისტი“ 1928 წლისათვის

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების. წითელარმიელების. მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ.—კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 „—„	8 „	7 „ 65 „
3 „	2 „ 90 „	9 „	8 „ 60 „
4 „	3 „ 85 „	10 „	9 „ 55 „
5 „	4 „ 80 „	11 „	10 „ 50 „
6 „	5 „ 75 „	ერთი წლით	11 „ 50 „

დაწესებულებების. ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80
2 „	2 „ 60 „	8 „	10 „ — „
3 „	3 „ 80 „	9 „	11 „ 30 „
4 „	5 „ — „	10 „	12 „ 60 „
5 „	6 „ 25 „	11 „	13 „ 80 „
6 „	7 „ 55 „	ერთი წლით	15 „ — „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მანეთი

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლარი
3 „	4 „
6 „	8 „
1 წლით	16 „

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34.
0 1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, ოთხშაბათს, 28 დეკემბერს. პრემიერა ახალი ორიგინალური ქართული კომიკური ოპერა დ. ა. არაყიშვილისა
„სიცოცხლე-სიხარული“
მონაწ. დანიელიანი, მაჟაშვილი, კავსაძე, შარაშიძე, დემიანენკო, დირიჟორი სახ. არტ. ი. ბ. ფალიაშვილი
ხუთშაბათს 29 დეკემბერს სამსონ და დალილა.
პარასკევს, 30 დეკემბერს ლ ე ი ლ ა.
6. 396 1—1

ცირკი „კოლოს“ ტელ. 8—64

სამშაბათს 27, ოთხშაბათს 28 და ხუთშაბათს 29 დეკემბერს
ახალ 10 ატრაქციონის გასტროლები
პროგრამის ძირითადი საფუძველი
განთქმული იაპონელები სიმადო | ცხოველიძე | მოჭიდავე პალგანოვები და სხვ.
დასაწყისი საღამოს 8 ½ საათზე
მოდიან ახალი გასტროლიორები
დირ. ი. ზ. ცუდრიაველი. რეჟისორ. ქ. ქროდზინსკი. ადმინისტრ. მ. ტადე
ნ. 394 3—1

აპოლო
გლორია სვენსონი მხატვრულ სურათში „რა საჭიროა ცოდვის გამოცდა“

არფასტო
ფრანცესკა ბერტინი და ჟან ანჯელო („ატლანტიდა“-ს გმირი) მხატვრულ სურათში „მონტე-კარლოს ალსასრული“.

სოლეი
პარიზის უკანასკნელი მხატვრული სურათი „კულისებში“ მარჩელა ალბანის და ვერნერ კრაუსის მონაწ.

დარბაზი
ამერიკის საქვეყნო არტისტი ქალი პირლ უაიტი სურათში „სამღვთო ბრილიანტი“ 1 და 2 სერია ერთად

დაკარგა დროებითი მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ გაცემული სახელ. უნივერსიტეტთან არსებულ სამხედრო მაგიდიდან ზაქარია ხიზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 920

დაკარგა პარტიული ბილეთი № 0849692 და განათლების პროფკავშირის წიგნაკი პარმენ მაჭარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 916

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 308805 გიორგი ბუზარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 917

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 4755 ლევან ბერბერაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 14973, ლიდა თურქაძეს სახელზე, ჩ. გ. 921

მიიღება ხელისმოწერა
1928 წლისათვის
ყოველკვირეულ პოლიტიკურ ეკონომიურ და ლიტერატურულ
ჟურნალ „ახალ გზა“-ზე
ხელის მოწერის პირობები:
1 წლით . . . . . 4 მან. 80 კ.
6 თვით . . . . . 2 მან. 40 კ.
1 თვით . . . . . 40 კ.
ხელისმოწერა მიიღება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში რუსთაველის გამზირი № 34.
0—1

მოქალაქეთა საყურადღებოთ
ახალი წლის შეხვედრა
ეწყობა რესტ. „სიცოცხლეში“ და სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“) დარბაზში
გრანდიოზული კაბარე
მაგიდების დაკვეთა დაიწყო რესტ. „სიცოცხლეში“.
915

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 1-ლ აგვისტოს თარიღით და მე-419/ტ ნომრით გამოცემულ ბრძანების თანახმად,

დაწესებულია მღებავ მცენარეულობათა-ხნას და ბასმას დაღალვა

ამის გამო ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებები, რომელთაც მოეპოვება ხნა და ბასმა, ვალდებული არიან ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარადგინონ ასეთები დასადაღავად უახლოეს საბაჟოში; ამასთანავე წარმოდგენილ უნდა იქნას საბუთები ხნის და ბასმის შემოტანისა და მათზე ბაჟის გადახდის შესახებ.

აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ, თუ აღმოჩენილ იქნა ხნა და ბასმა უდაღოდ, ის იქნება კონფისკაციაქმნილი, როგორც კონტრაბანდა.

მთავარ საბაჟო სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილება. ნ. 362 3—1

კ. ბაქოდან დაბრუნდა და მსგავსათ წარსულ წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.)
მათემატიკის მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს სამხედრო აკად მიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 შესავალი კუთხიდან: ალექსის ქ. № 5), 2—7 საათ. კვირა უქმე დღეებში 9—12 3—5. 10—3

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი მეგრაბიანცი
ციებების, ფილტვის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ექ. თოდაძე
დაბრუნდა საზღვარ გარედან და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე-ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა). ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერისხიდთან. ტელ. № 15 № 07—8

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—15

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი
ავადმყოფ ბის მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი
არჩ. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ავადმყოფ ბს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე. ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოეს“-ს პირდაპირ ტელ. 12—6

ექ. ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68